ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამა (სისხლის სამართლის სპეციალიზაცია)

მეოთხე სემესტრის სტუდენტი - **ნათია აღოშაშვილი**

მობ: **595 05 75 13** mail: **natia.aghoshashvili@gmail.com**

თემის ხელმძღვანელი: **გივი მიქანაძე**

მოწვეული ლექტორი

სამაგისტრო ნაშრომი თემაზე:

უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულთა

პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვის თავისებურებანი

თბილისი, 2019 წელი

<u>აბრევიატურები</u>

1. ამკ - საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“;
2. სსკ - საქართველოს კანონი „სისხლის სამართლის კოდექსი“;
3. სსსკ - საქართველოს კანონი „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“;
4. იხ. - იხილეთ;
5. მაგ. - მაგალითად;
6. პვგ - პირობით ვადამდე გათავისუფლება;
7. სხვ. - სხვა;
8. ა.შ. - ასე შემდეგ
9. თბ. - თბილისი;
10. გვ. - გვერდი.

სარჩევი

შესავალი----------**5-7**

თავი I. პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემა საქართველოში----------

§1.პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემის განვითარების ისტორია საქართველოში----------8-10

§2. სასჯელის სახით უვადო თავისუფლების აღკვეთა----------

2.1.უვადო თავისუფლების აღკვეთის ისტორიული განვითარება----------10-13

2.2.უვადო თავისუფლების აღკვეთით სანქცირებული დანაშაულები მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით (ზოგადი მიმოხილვა)----------13-15

§3. უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულების პირობით ვადამდე გათავისუფლება (მოსახდელი სასჯელის მინიმალური ზღვარი)----------15-17

3.1.დიფერენცირებული მიდგომა (დისკრეციული და სავალდებულო)----------17-20

§4. პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემის უპირატესობები სასჯელის მოხდისგან გათავისუფლების სხვა არსებულ სისტემებთან----------20-24

§5. გადაწყვეტილების მიმღები ორგანოსთვის მიმართვაზე უფლებამოსილი პირი--------

5.1. მსჯავრდებულის ინფორმირებულობა პირობით ვადამდე გათავისუფლების უფლების შესახებ----------24-25

5.2.თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაციის უფლებამოსილება პირობით ვადამდე გათავისუფლებაში (უფლება თუ ვალდებულება)----------25-29

§6.პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე გადაწყვეტილების მიმღები ორგანო(შედარებით სამართლებრივი ანალიზი)----------29-31

თავი II. სპეციალური პენიტენციური სამსახურის როლი ----------**32**

§1. მსჯავრდებულის რისკების შეფასება და სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის შესაბამისობა რესოციალიზაციის მიზანთან----------32-40

§2.გათავისუფლებისათვის მომზადების დაწესებულებაში გადაყვანა----------40-41

2.1. რესოციალიზაციის რეალური საშუალება----------41-44

2.2. მსჯავრდებულის ქცევაზე დაკვირვების ეფექტური შესაძლებლობა----------44

2.3.გათავისუფლებისათვის მომზადების დაწესებულებაში გადაყვანილი უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულის კონტროლის მექანიზმები----------44-47

თავი III. სასამართლოს მიერ საკითხის განხილვა----------48

§1.უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულის გათავისუფლების საკანონმდებლო საფუძვლების ანალიზი----------48-49

1.1.სასამართლოს მიერ შესაფასებელი გარემოებები ----------49-54

1.2.საქმის განხილვის წესი და პროცესში მონაწილე პირები (სავალდებულო და არასავალდებულო)----------54-55

თავი IV. პირობით ვადამდე გათავისუფლებულ მსჯავრდებულთა გამოსაცდელი პერიოდი----------56

§1. მსჯავრდებულის გამოსაცდელი ვადა----------56-57

§2. გამოსაცდელ ვადაში მსჯავრდებულის კონტროლის და დახმარების მექანიზმი-57-62

დასკვნა----------63-65

გამოყენებული ლიტერატურა----------66-70

დანართი #1----------71

შესავალი

წარმოდგენილ ნაშრომში განხილული საკითხი - *უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულთა პირობით ვადამდე გათავისუფლება,* ერთ-ერთი ძირითადი მექანიზმია სასჯელის მიზნის მიღწევისთვის, კერძოდ, მსჯავრდებულის რესოციალიზაციის ხელშეწყობისთვის. სახელმწიფო პოლიტიკის ლიბერალიზაციის კვალდაკვალ, რის საფუძველზეც ადამიანი მიჩნეულ იქნა უმაღლეს ღირებულებად, სასჯელის მიზანად განისაზღვრა არა ტკივილის მიყენება, არამედ რესოციალიზაცია, სამართლიანობის აღდგენა და ახალი დანაშაულის თავიდან აცლება. ადამიანი *თავად უნდა იყოს „მიზანი" და არა მიზნის მიღწევის საშუალება.*[1] შესაბამისად, სასჯელის აღსრულება არ უნდა იწვევდეს ტანჯვას და ტკივილის შემცირებისთვის მოძიებულ უნდა იქნეს სასჯელის ალტერანტივები, ხოლო რიგ შემთხვევებში შესაძლებელია საერთოდ აღარ გაგრძელდეს რეაგირება დანაშაულზე.[2] გრძელვადიანი პატიმრობის შემთხვევაში სასჯელისაგან გამოწვეული ტკივილის შემცირების ერთ-ერთ საშუალებად შეგვიძლია ჩავთვალოთ პირობით ვადამდე გათავისუფლება გარკვეული დათქმით, რომელიც ნაკლებ ტანჯვას გამოიწვევს ადამიანში. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის მინიმალური სტანდარტია უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირების შემთხვევაში - არსებობდეს შესაძლებლობა/მოლოდინი უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირების გათავისუფლების,[3] შესაბამისად პირობით ვადამდე გათავისუფლება ყველა

---

[1] საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. ავტორთა კოლექტივი, თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, თბ., 2013, გვ. 109

[2] ნ. კრისტი, ტკივილის საზღვრები. სასჯელის როლი სასჯელაღსრულების პოლიტიკაში, პირველი ქართული გამოცემა, 2017, გვ. 20

[3] Kafkaris v. Cyprus, # 21906/04, 12.02.2008

მსჯავრდებულზე უნდა გავრცელდეს, მათ შორის უვადო თავისუფლებააღკვეთილ პატიმრებზეც, რადგან მათ არ უნდა ჩამოერთვათ გათავისუფლების იმედი. არავის შეუძლია ამტკიცოს, რომ უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირი ყოველთვის საშიშროების შემცველი იქნება საზოგადოებისათვის, ხოლო მეორეს მხრივ, ასევე იმედდაკარგული პატიმარი გამოიწვევს ციხის მართვის გართულებას.[4]

საქართველოში დღეს არსებული რეალობა ხაზს უსვამს პრობლემის აქტუალურობას, კერძოდ, შემაშფოთებელია სტატისტიკური მაჩვენებელი, რომლის თანახმადაც, მიუხედავად საკანონმდებლო შესაძლებლობისა, ამ კატეგორიის მსჯავრდებულთა პირობით ვადამდე გათავისუფლების რიცხვი ნულს უთანაბრდება.[5] ამასთან, სასჯელის სახით უვადო თავისუფლების აღკვეთის შემოღების ვადის გათვალისწინებით (1997წ.) მოსალოდნელია, რომ პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვის მაჩვენებელი საგრძნობლად გაიზრდება. ამ პროცესში დაბრკოლებების იდენტიფიცირების მიზნით საჭიროა კომპლექსური მიდგომა, კერძოდ, კვლევების ჩატარების საჭიროება როგორც საკანონმდებლო და სასამართლო პრაქტიკის, ისე საზოგადოების ცნობიერების შესწავლის კუთხით. შესაბამისად, აღნიშნული ნაშრომის ფარგლებში საკითხის სიღრმისეულად დამუშავების მიზნით გამოყენებულ იქნა ლოგიკური, სისტემური და შედარებით-სამართლებრივი კვლევის მეთოდები, კერძოდ გაანალიზებულ იქნა როგორც ქვეყნის კანონმდებლობა, ისე განხორციელდა შედარებით - სამართლებრივი ანალიზი, ასევე, კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა სასამართლოს მიერ გამოტანილი უვადო თავისუფლების აღკვეთის მოხდისაგან პირობით გათავისუფლებაზე უარის თქმის/უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლაზე უარის თქმის შესახებ განჩინებები.[6] განსახილველი საკითხის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების კვლევის მიზნით, გამოკითხულ იქნა 160 ადამიანი, რომელთაც უწევდათ პასუხი გაეცათ როგორც დახურულ ისე ღია კითხვებისათვის და მიეცათ შესაძლებლობა გამოეთქვათ საკუთარი მოსაზრებები უვადო თავისულების აღკვეთის როგორც სასჯელის არსებობისა და მისგან გათავისუფლების შესაძლებლობასთან დაკავშირებით (იხ. დანართი, ჩატარების ადგილი - სოციალური ქსელი, რესპოდენტთა შერჩევის პრინციპი - შემთხვევითი, ასაკობრივი ჯგუფი - 16-დან 53 წლამდე, გენდერული მაჩვენებელი - მდედრობითი 79%; მამრობითი 21%). უშუალოდ უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების თავისებურებებისა და დაბრკოლებების გამოვლენის მიზნით კვლევები არ

[4] Report to the Hungarian Government on the visit to Hungary carried out by the European Committee for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment, CPT/Inf (2007)24 s. 33

[5] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის No190509/01 წერილის დანართი (27/06/2019წ)

[6] როგორც ადგილობრივი საბჭოების, ისე სასამართლოების მიერ არ მომხდარა უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულების პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღება

განხორციელებულა იმ ფონზე, როდესაც პრობლემის აქტუალობიდან გამომდინარე აუცილებელიც კია. შესაბამისად, წარმოდგენილ ნაშრომს გააჩნია პრაქტიკული ღირებულება და მიზნად ისახავს უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულების პირობით ვადამდე გათავისუფლების პროცესში არსებული დაბრკოლებების, თავისებურებების გამოვლენას, რაც პირდაპირ კავშირშია სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებასთან.

თემის მიზნებიდან გამომდინარე I თავში, კვლევის მეთოდად გამოყენებულია პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემის საკანონმდებლო ანალიზი (შედარებით - სამართლებრივი ანალიზი), სადაც მოკლედ შევეხებით: სასჯელის სახე - უვადო თავისუფლების აღკვეთის შემოღებას, გათავისუფლების დისკრეციულ და სავალდებულო სისტემას, პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემის უპირატესობებს სასჯელის მოხდისგან გათავისუფლების სხვა არსებულ სისტემებთან, გათავისუფლების შუამდგომლობით მიმართვას და გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს და განსახილველი ინსტიტუტის შესახებ სხვა ზოგად საკითხებს; ნაშრომის II თავი სრულად ეხება სპეციალური პენიტენციური სამსახურის როლს უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულების პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემის სათანადოდ ამოქმედებისათვის; III თავში მიმოხილულია წინამდებარე საკითხის ძირითადი ეტაპი - სასამართლოს მიერ გათავისუფლების საკითხის სათანადო განხილვა და გადაწყვეტა; და ბოლოს, წარმოდგენილი ნაშრომის IV თავში მოკლედ განვიხილავთ პირობით ვადამდე გათავისუფლებული მსჯავრდებულის გამოსაცდელ პერიოდს და ზედამხედველობის მექანიზმებს, რომელთა ეფექტური ფუნქციონირება ხელს შეუწყობს სასამართლოს მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღებას, ხოლო მოგვიანებით ზოგადად მოცემული ინსტიტუტის რეალურ ამოქმედებას.

თავი I. პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემა საქართველოში

§1.პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემის განვითარების ისტორია საქართველოში

პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემა დაამკვიდრა ფრანგმა ა. ბონევილ დე მარსანჟიმ 1847 წელს, რომელიც გულისხმობდა სასჯელის ნაწილის მოხდის შემდგომ მსჯავრდებულის გათავისუფლებას, მომავალში მისი სათანდო ქცევის პირობით. [7] პირობით ვადამდე გათავისუფლების ინსტიტუტის გამოყენება ემსახურება, როგორც საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვას და მსჯავრდებულის რესოციალიზაციას[8] და შემდგომ ხელახალი დანაშაულის თავიდან აცილებას, მსჯავრდებულის დახმარებას და ზედამხედველობით რეინტეგრაციას,[9] ასევე, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების გადატვირთულობის თავიდან აცილებას და შემდგომ მის ეფექტურ მართვას.[10] აღნიშნული ინსტიტუტის

---

[7] ჟ. პრადელი, შედარებითი სისხლის სამართალი, ე. სუმბათაშვილის თარგმანი, თბ. 1999, გვ. 467

[8] მ. შალიკაშვილი, დ. ჩიხლაძე, პირობით ვადამდე გათავისუფლებული მსჯავრდებულებისათვის რისკ-ფაქტორების შეფასების კრიმინოლოგიური ანალიზი, თბილისი/ბერლინი 2013, გვ.63

[9] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, რეკომენდაცია Rec(2003)22, პირობით ვადამდე გათავისუფლების თაობაზე, პრეამბულა

[10] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, რეკომენდაცია R.(99)22, ციხის გადატვირთულობის და ციხის მოსახლეობის გაზრდის თაობაზე, პრეამბულა

არასწორად (არასამართლიანად) განხორციელებამ შესაძლებელია სავალალო შედეგები გამოიწვიოს.[11] პირობით ვადამდე გათავისუფლების უფლების **არასწორად** განხორციელება გულისხმობს როგორც მსჯავრდებულის *ვადამდე გათავისუფლებას მატერიალური საფუძვლების* (ის კრიტერიუმები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს მსჯავრდებული) *არარსებობისას,* ისე *გათავისუფლებაზე დაუსაბუთებლად უარის თქმას* შესაბამისი საფუძვლების არსებობისას.

პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემა საქართველოში რამდენჯერმე შეიცვალა. თავდაპირველად, 2006 წლამდე საკითხს განიხილავდა ტერიტორიულად განსჯადი სასამართლო დაწესებულების დირექტორის შუამდგომლობის საფუძველზე, ხოლო მსჯავრდებულს არ ჰქონდა სასამართლოსთვის აღნიშნული მოთხოვნით მიმართვის უფლება. ამგვარმა სამართლებრივმა ვითარებამ გამოავლინა შესაბამისი მოხელეების ხშირი მოსყიდვა, რამაც დღის წესრიგში დააყენა არსებული სისტემის ცვლილების საჭიროება.[12] 2006 წლიდან სასჯელაღსრულების დეპარტამენტში შეიქმნა <u>დეპარტამენტის მუდმივმოქმედი კომისია,</u> რომელიც ასრულებდა არა მარტო შუამავლის როლს სასამართლოსა და მსჯავრდებულს შორის, არამედ ერთგვარი „ფილტრის“ ფუნქციას ითავსებდა[13] და გარკვეული გარემოებების შეფასების შემდგომ იღებდა გადაწყვეტილებას სასამართლოსთვის შუამდგომლობით მიმართვის ან მიმართვაზე უარის თქმის თაობაზე. კომისიის უარი სასამართლოსთვის მიმართვის თაობაზე უნდა ყოფილიყო მოტივირებული,[14] რაც უზრუნველყოფდა თითოეული გადაწყვეტილების ინდივიდუალურობასა და სამართლიანობას. სახალხო დამცველის ანგარიშში მითითებული სტატისტიკური მონაცემებით (07.2006 წ. - 12.2009 წ.), დასახელებულ პერიოდში მუდმივმოქმედ კომისიას პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ შუამდგომლობით ჯამურად მიმართა სულ 4294 მსჯავრდებულმა, რომელთაგან 1377 გათავისუფლდა პირობით ვადამდე. წლების მიხედვით ეს სტატისტიკა შემდეგნაირად გამოიყურება: 2006 წელს მიმართა 344–მა მსჯავრდებულმა, რომელთაგან დაკმაყოფილდა 59 (17%); 2007 წელს - 1339–მა, რომელთაგან დადებითად გადაწყდა 271 (20%) მსჯავრდებულის გათავისუფლების საკითხი; 2008 წ.- 2611–მა, საიდანაც დაკმაყოფილდა 1047 (40%) მსჯავრდებულის შუამდგომლობა.[15] 2009 წლის

---

[11] კ. ნიკოლეიშვილი, პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განმხილველი ადგილობრივი საბჭოს დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა, სამართლის ჟურნალი, #1, 2014 გვ.310

[12] კ. ნიკოლეიშვილი, პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განმხილველი ადგილობრივი საბჭოს დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა, სამართლის ჟურნალი, #1, 2014 გვ.312

[13] გ. მიქანაძე, პატიმრობის პირობით ვადამდე განთავისუფლების უფლება, ევროპული გამოცდილება და საქართველოს რეალობა, წიგნში: კ. კორკელია, ადამიანის უფლებათა დაცვა, მიღწევები და გამოწვევები, სტატიათა კრებული, თბ. 2012, გვ. 130

[14] საქართველოს კანონი პატიმრობის შესახებ 2006 წლის მდგომარეობით, მუხლი 68, ძალადაკარგულად გამოცხადების თარიღი: 01.10.2010

[15] საქართველოს სახალხო დამცველის საანგარიშო მოხსენება საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2008 წლის მეორე ნახევარი, გვ. 82

ცვლილებამდე გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოდ გვევლინება სასამართლო, ხოლო აღნიშნული ცვლილებებით შეიქმნა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მუდმივმოქმედი კომისია, რომელმაც სრულად შეითავსა სასამართლოს ფუნქციები, ხოლო სასამართლო აღნიშნულ საკითხს იხილავდა მხოლოდ კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში. 2010 წლის 1 ოქტომბერს ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს კანონი „პატიმრობის შესახებ“ და ძალაში შევიდა „საქართველოს პატიმრობის კოდექსი“, რომელმაც პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე გადაწყვეტილების მიმღები ორგანო - *მუდმივმოქმედი კომისია* ჩაანაცვლა *საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭოებით*, ხოლო მუდმივმოქმედმა კომისიამ შეითავსა ძირითადად ზედამხედველობის ფუნქცია აღნიშნული საბჭოების საქმიანობაზე, მაგრამ დამატებით მას შეეძლო ასევე საკუთარი ინიციატივით გამოეთხოვა საბჭოს მიერ განხილული ნებისმიერი საქმე, რომლითაც მსჯავრდებულს უარი ეთქვა სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლაზე, და მიეღო შესაბამისი გადაწყვეტილება. მოგვიანებით, 2014 წლის ცვლილებით სრულად გაუქმდა სამინისტროს მუდმივმოქმედი კომისია.

20.06.2017 წ.-დან კანონმდებელმა დიფერენცირებული მიდგომა დააწესა ვადიანი და უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირების, არასაპატიმრო სასჯელით მსჯავრდებული პირების პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტისას. ვადიანი თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხს განიხილავს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭო, ხოლო უვადო თავისუფლებააღკვეთით მსჯავრდებული და ალტერნატიული სასჯელდანიშნული მსჯავრდებულების პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხზე გადაწყვეტილების მიღება სასამართლოს პრერეროგატივაა.

საქართველოს კანონმდებლობა იცნობს პირობით ვადამდე გათავისუფლების დისკრეციულ მოდელს (დეტალურად ვისაუბრებ თავი I, §3.2), რომლის მიხედვითაც გათვალისწინებულია მოსახდელი სასჯელის მინიმალური ვადები, რა დროსაც მსჯავრდებული მოიპოვებს პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემის გამოყენების შესაძლებლობას. მოსახდელი სასჯელის მინიმალური ვადები დამოკიდებულია <u>*დანაშაულის კატეგორიებზე*</u> და <u>*სასჯელის სახეზე*</u>, კერძოდ სისხლის სამართლის კოდექსის 72-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით პვგ შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ მსჯავრდებულმა ფაქტობრივად მოიხადა: ნაკლებლად მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ ნახევარი; მძიმე დანაშაულისათვის - არანაკლებ

ორი მესამედი; განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის - არანაკლებ სამი მეოთხედი; ასევე არანაკლებ სამი მეოთხედი მსჯავრდებულისათვის, რომელსაც შეცვლილი უფრო მსუბუქი სასჯელი გაუუქმდა. განსხვავებულ მიდგომას აწესებს კანონმდებელი არასრულწლოვან მსჯავრდებულისა და უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულის შემთხვევაში. ამკ-ს 95-ე მუხლის მიხედვით არასრულწლოვანი მსჯავრდებული სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე შეიძლება გათავისუფლდეს მხოლოდ მაშინ, თუ მან ფაქტობრივად მოიხადა: ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ ერთი მესამედი; მძიმე დანაშაულისათვის - არანაკლებ ნახევარი; განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის - არანაკლებ ორი მესამედი. ხოლო სსკ-ის 71-ე მუხლის მიხედვით უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლდეს პირობით ვადამე, თუ ფაქტობრივად მოიხადა თავისუფლების აღკვეთის ოცი წელი.

სისხლის სამართლის კოდექსმა 2017 წლის 1 ივნისს პირობით ვადამდე გათავისუფლების მუხლიდან (მუხლი 72) ცალკე გაიტანა უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულის გათავისუფლება და დაემატა 72^1 მუხლი - სასჯელის სახით დანიშნული უვადო თავისუფლების აღკვეთის გადასინჯვა, აღნიშნული ემსახურებოდა გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს შეცვლას.

§2. სასჯელის სახით უვადო თავისუფლების აღკვეთა

2.1.უვადო თავისუფლების აღკვეთის ისტორიული განვითარება

საქართველოს 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსი სასჯელის სახედ არ ითვალისწინებდა უვადო თავისუფლების აღკვეთას. საქართველოს კანონმდებლობა სასჯელის სახედ, ნაცვლად უვადო თავისუფლების აღკვეთისა, იცნობდა *განსაკუთრებულ ღონისძიებას - სიკვდილით დასჯას.* პირველი მცდელობა სიკვდილის დასჯის გაუქმების იყო საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის მე-19 მუხლი, რომლის მიხედვითაც გაუქმდა სიკვდილით დასჯა ნებისმიერი კატეგორიის საქმეზე, როგორც მშვიდობიან, ისე საომარ მდგომარეობისას. რამდენიმე ევროპულმა სახელმწიფომ მე-19 საუკუნეში სრულად გააუქმა სიკვდილით დასჯა, თუმცა უმრავლესმა ქვეყანამ - მხოლოდ გარკვეული დანაშაულებზე, შესაბამისად საქართველოს მიერ სიკვდილის დასჯის სრულად გაუქმება უპრეცედენტო ჰუმანურ აქტს წარმოადგენდა.[16] მისი მიღებიდან მალევე საბჭოთა რუსეთის მიერ განხორციელდა საქართველოს ოკუპაცია, შესაბამისად ახლად მიღებული კონსტიტუციის მოქმედება შეჩერდა და გაუქმდა სიკვდილით დასჯის აკრძალვაც. საზოგადოების გარკვეული ნაწილი სიკვდილის დასჯას ემხრობოდა შემდეგ არგუმენტებზე დაყრდნობით: განსაკუთრებულად საშიში დანაშაულის ჩამდენი პირის

[16] ჯ. ხეცურიანი, დამოუკიდებლობიდან სამართლებრივი სახელმწიფოსაკენ, თბ., 2006, გვ. 40

სიკვდილით დასჯა გამოიწვევს საზოგადოების მორალურ კმაყოფილებას, სამართლიანობის აღდგენის შეგრძნებას; სიკვდილით დასჯა საიმედოა, რადგან სამუდამო პატიმრობის შემთხვევაში შესაძლებელია პირი სასჯელის მოხდისგან გათავისუფლდეს; სიკვდილით დასჯა ეკონომიურია, საზოგადოებას მძიმე ტვირთად არ აწევს სიკვდილით დასჯა, განსხვავებით სამუდამო პატიმრობისგან; *სიკვდილით დასჯა უფრო ჰუმანური სასჯელია, ვიდრე მუდმივი პატიმრობა.* [17] სიკვდილით დასჯას საბოლოოდ ითვალისწინებდა შემდეგი დანაშაულები: ***სახელმწიფოს ღალატი; ჯაშუშობა; ტერორისტული აქტი, დივერსია; ბანდიტიზმი; განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში*** [18]. სიკვდილით დასჯით სანქცირებული იყო ძირითადად სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები. საქართველოს 1960 წლის სსკ-ს 22-ე მუხლი განმარტავდა სასჯელის მიზანს: *"სასჯელი როდია მხოლოდ დასჯა ჩადენილი დანაშაულისათვის, არამედ მიზნად ისახავს აგრეთვე გამოასწოროს და ხელახლა აღზარდოს მსჯავრდებულნი..."*, სწორედ რომ აღნიშნული ჩანაწერიდან გამომდინარეც უნდა გაუქმებულიყო სასჯელის სახე - სიკვდილით დასჯა, სიკვდილით დასჯით სასჯელის მიზანი - მსჯავრდებულის გამოსწორება შეუძლებელი იქნებოდა *''გამოსასწორებელი სუბიექტის''* არარსებობის (ლიკვიდაციის) გამო. ამავდროულად, სიკვდილით დასჯა ადამიანს აქცევს დანაშაულთან ბრძოლის მიზნის მიღწევის ობიექტად, რაც თავისთავად ეწინააღმდეგება ადამიანის ღირსების დაცვის უფლებას, ვინაიდან ადამიანი *თავად უნდა იყოს „მიზანი" და არა მიზნის მიღწევის საშუალება.* [19] ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის #6 დამატებითი ოქმით (მიღებულ იქნა 1983 წლის 28 აპრილს) აიკრძალა სიკვდილით დასჯა, რომლის რატიფიცირება საქართველომ, როგორც ევროპის საბჭოს წევრმა ქვეყანამ, მოახდინა 2000 წლის 13 აპრილს.[20] აღნიშნული დამატებითი ოქმის რატიფიცირებამდე სიკვდილით დასჯის მოწინააღმდეგე საზოგადოების ნაწილმა, რომელიც თვლიდნენ, რომ სიკვდილით დასჯის გაუქმების შემთხვევაში ყველაზე მიზანშეწონილი და სამართლიანი იქნებოდა მისი ჩანაცვლება სამუდამო პატიმრობით, [21] 1995 წელს შეძლეს მიეღწიათ მორატორიუმისათვის. კერძოდ, 1995-1996 წლებში მოსამართლეებს გამოჰქონდათ განაჩენი სიკვდილით დასჯის შესახებ, რომლის აღსრულება არ ხდებოდა. 1997 წლის 25 ივლისს საქართველოს პრეზიდენტის მიერ მიღებული შეწყალების ბრძანებულებით ყველა სიკვდილმისჯილი მსჯავრდებული (54 მსჯავრდებული) შეიწყალა პრეზიდენტმა და

[17] ჯ. ხეცურიანი, სიკვდილით დასჯა, არგუმენტები და ფაქტები, თბ. 1997, გვ. 60

[18] სსსრკ სისხლის სამართლის კოდექსი, მ.24 (1960წ. რედაქცია)

[19] საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. ავტორთა კოლექტივი, თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, თბ., 2013, გვ. 109

[20] ე. გოცირიძე და სხვ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2013, გვ. 86

[21] ჯ. ხეცურიანი, სიკვდილით დასჯა, არგუმენტები და ფაქტები, თბ. 1997, გვ. 64

სასჯელის ზომად ყველა მათგანს განესაზღვრა 20 წლით თავისუფლების აღკვეთა.[22] და ბოლოს, 1997 წლის 11 ნოემბერს პარლამენტმა აღიარა პრინციპი-*სიცოცხლის უზენაესი ღირებულება*, გააუქმა სიკვდილით დასჯა და აღნიშნულ კანონში გამოჩნდა ტერმინი/სასჯელი *„უვადო თავისუფლების აღკვეთა“.* [23] რომელმაც ჩაანაცვლა სიკვდილით დასჯა. საქართველოს კონსტიტუციიდან გამომდინარე სახელმწიფოს ვალდებულებას წარმოადგენს დაიცვას ადამიანის სიცოცხლე და ადამიანის ღირსება, რამაც განაპირობა კიდეც სიკვდილით დასჯის საბოლოო გაუქმება. „ადამიანის სიცოცხლე ხელშეუვალი უფლებაა. იგი ადამიანისათვის თანდაყოლილია და არა კანონით ბოძებული. იგი ადამიანად ყოფნას, მის ღირსებას უკავშირდება და შესაბამისად, არც მისი ჩამორთმევა შეუძლია ვინმეს.“[24] სამწუხაროდ, თანამედროვე მსოფლიოს ზოგიერთ და მათ შორის ისეთ განვითარებულ ქვეყანაშიც კი, როგორიცაა ამერიკა (რამდენიმე შტატი), ჯერ კიდევ შემორჩენილია აღნიშნული სასჯელი, თუმცა შეინიშნება მისი აღმოფხვრის მცდელობის ტენდენცია, მაგ., 2019 წლის 13 მარტს კალიფორნიის გუბერნატორმა ხმამაღალი განაცხადი გააკეთა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ შემდეგი ფრაზით: „გამიზნულად ვინმეს მკვლელობა არასწორია“ და გამოაცხადა მორატორიუმი, რის საფუძველზეც 737 სიკვდილმისჯილის განაჩენის აღსრულება შეჩერდა.[25]

1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსმა, რომელიც ამოქმედდა 2000 წლის 15 თებერვლიდან, სასჯელის სახედ უვადო თავისუფლების აღკვეთა გაითვალისწინა სსკ-ს 51 მუხლში. უვადო თავისუფლების აღკვეთა სსკ-ის 51-ე მუხლის მიხედვით შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში. მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი აწესებს რამდენიმე აკრძალვას, რაც დაკავშირებულია დანაშაულის სიმძიმესთან, ასევე დამნაშავის ასაკსა და დანაშაულის განვითარების სტადიასთან. კერძოდ, უვადო თავისუფლების აღკვეთა არ ენიშნება იმას, ვისაც დანაშაულის ჩადენამდე თვრამეტი წელი არ შესრულებია ან ვისაც განაჩენის გამოტანის მომენტისთვის სამოცი წელი შეუსრულდა, აგრეთვე აკრძალულია უვადო თავისუფლების აღკვეთის დანიშვნა დანაშაულის მომზადების ან მცდელობისათვის. როგორც აღვნიშნე, უვადო თავისუფლების აღკვეთა საქართველოში სიკვდილით დასჯის ალტერნატივად დაწესდა, რაც დადებითად უნდა შეფასდეს, მაგრამ უვადო თავისუფლების აღკვეთასაც ჰყავს მოწინააღმდეგეები, რომლებიც მიუთითებენ აღნიშნული სასჯელის პროპორციულობასა და მსჯავრდებულის უფლებების შესაძლო არაკონსტიტუციურ შეზღუდვაზე. საკითხავია, უვადო თავისუფლების აღკვეთის სასჯელის

---

[22] საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №387, თბ., 1997 წლის 25 ივლისი

[23] საქართველოს კანონი სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიების – სიკვდილით დასჯის სრული გაუქმების შესახებ, თბ. 1997

[24] ე. გოცირიძე და სხვ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2013, გვ. 72

[25] იხ. https://www.npr.org/2019/03/12/702873258/gov-gavin-newsom-suspends-death-penalty-in-california (ბოლოს ნანახი 26.05.2019)

შეფარდების შემთხვევაში ხომ არ დგას რესოციალიზაციის პრობლემა, რამდენადაც არსებული მოსაზრების თანახმად, პირობით ვადამდე გათავისუფლების უფლების არ ქონა ხელს უშლის მსჯავრდებულის რესოციალიზაციას.[26] თუ მსჯავრდებული სარგებლობს პირობით ვადამდე გათავისუფლების უფლებით, შესაძლებელია მსჯავრდებულის რესოციალიზაცია სახელმწიფოს მხრიდან სათანადო ღონისძიებების გატარებით.[27] უვადო თავისუფლების აღკვეთა, პირობით ვადამდე გათავისუფლების უფლების გარეშე, გამოიწვევს არა მარტო მსჯავრდებულის მენტალურ დაზიანებას, არამედ სხვა დამატებით გვერდით მოვლენებს, კერძოდ, როცა მსჯავრდებულს არ აქვს არაფერი დასაკარგი, რთულია მისი ქცევის გაკონტროლება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ციხის მართვის გართულება, ბუნტი და სხვ.

საქართველოს კანონმდებლობა უვადო თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაშიც ითვალისწინებს პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემის ამოქმედებას, რაც შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლს და ევროპის საბჭოს რეკომენდაციის-2003/22 ზოგად პრინციპებს.[28] თუმცა, პრაქტიკულად რამდენად ეფექტურად ხორციელდება აღნიშნული უფლების რეალიზაცია, ამას შემდგომ თავებში დეტალურად განვიხილავ.

2.2.უვადო თავისუფლების აღკვეთით სანქცირებული დანაშაულები მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით (ზოგადი მიმოხილვა)

უვადო თავისუფლების აღკვეთა სსკ-ს 51 მუხლის მიხედვით შეიძლება გამოყენებულ იქნეს *მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის* ჩადენის შემთხვევაში. ***2019 წლის ივნისის მდგომარეობით*** პენიტენციურ დაწესებულებაში სასჯელს იხდის 71 უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებული (70 მამაკაცი, 1 ქალი).[29] თავდაპირველად, აღნიშნული სასჯელი დაწესებული იყო მხოლოდ შემდეგი დანაშაულებისათვის: განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში (სსკ-ის 109 მუხლი); ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება (სსკ-ის 260 მუხლი, ნაწ. 3); საქართველოში ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან

[26] გ. მიქანაძე, პატიმრობის პირობით ვადამდე განთავისუფლების უფლება, ევროპული გამოცდილება და საქართველოს რეალობა, წიგნში: კ. კორკელია, ადამიანის უფლებათა დაცვა, მიღწევები და გამოწვევები, სტატიათა კრებული, თბ. 2012, გვ. 134-135

[27] თ. ცქიტიშვილი, სასჯელის პროპორციულობა, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბ. 2016, გვ. 567

[28] ევროსაბჭოს რეკომენდაციით პირობით ვადამდე გათავისფულება ხელმისაწვდომი უნდა იყოს უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირებისთვისაც.

[29] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის No190509/01 წერილის დანართი (27/06/2019წ)

პრეკურსორის უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონოდ გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა (სსკ-ის 262 მუხლი, ნაწ. 3); საქართველოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის დარღვევა (სსკ-ის 308 მუხლი, ნაწ. 2); ტერორისტული აქტი (სსკ-ის 323 მუხლი, ნაწ. 4); საქართველოს პოლიტიკური თანამდებობის პირზე თავდასხმა (სსკ-ის 325 მუხლი); საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირზე ან დაწესებულებაზე თავდასხმა (სსკ-ის 326 მუხლი); სტრატეგიული ან განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის ხელში ჩაგდება ან ბლოკირება ტერორისტული მიზნით (სსკ-ის 330 მუხლი); აგრესიული ომის მომზადება ან წარმოება (სსკ-ის 404 მუხლი); გენოციდი (სსკ-ის 407 მუხლი); დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ (სსკ-ის 408 მუხლი); საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების განზრახ დარღვევა შეიარაღებული კონფლიქტის დროს (სსკ-ის 411 მუხლი, ნაწ.2).

დღევანდელი მდგომარეობით სსკ-ით გათვალისწინებულ შემდეგ დანაშაულებებს დაემატა სანქცია უვადო თავისუფლების აღკვეთა: არასრულწლოვნით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) (143[1] მუხლი, ნაწ. 4); წამება (144[1] მუხლი, ნაწ. 3); სტაციონარული პლატფორმის მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლება, განადგურება ან დაზიანება (227[2] მუხლი, ნაწ. 3); საბოტაჟი (318 მუხლი, ნაწ. 3); ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა, გასაღება ან გამოყენება ტერორისტული მიზნით (323[1] მუხლი, ნაწ. 5); საერთაშორისო ტერორიზმში მონაწილეობა (232[2] მუხლი, ნაწ. 2); ტექნოლოგიური ტერორიზმი (324 მუხლი, ნაწ. 5); კიბერტერორიზმი (324[1] მუხლი, ნაწ. 2); ტერორიზმის დაფინანსება, ტერორისტული საქმიანობის სხვაგვარი მატერიალური მხარდაჭერა ან რესურსებით უზრუნველყოფა (331[1] მუხლი, ნაწ. 3); პოლიციელზე, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეზე ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენელზე ანდა საჯარო დაწესებულებაზე თავდასხმა (353[1] მუხლი, ნაწ. 3); ეკოციდი(409 მუხლი, ნაწ. 2).

უვადო თავისუფლების აღკვეთით სანქცირებული დანაშაულების რაოდენობრივი ზრდა გამოწვეულია ახალი ქმედების კრიმინალიზაციით. დანაშაულს თითქოს მუტაციის უნარი აქვს, კაცობრიობის განვითარებასთან ერთად იზრდება დანაშაულებრივი ფანტაზიები,[30] შესაბამისად ხდება ახალი ქმედებების კრიმინალიზაცია და სახელმწიფოს მხრიდან მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკის გატარება მათი გავრცელებული ხასიათისა თუ საშიშროების გათვალისწინებით. იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორს გ. ნაჭყებიას დავეთანხმები, რომ ხანგრძლივმა პატიმრობამ შეიძლება გამოიწვიოს

[30] მ. ჩანქსელიანი, სასჯელის მიზნების სასჯელის ევოლუციის თეორიაში, აკადემიური მაცნე, თბ. 2012, გვ. 125

პოზიტიური პასუხისმგებლობის გრძნობის დაჩლუნგება და არა გამოღვიძება.[31] სწორედ სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციაზე მიუთითებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის, 1 ნაწ.-ის ჩანაწერი, *სასჯელის უფრო მკაცრი სახე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მაშინ, თუ ნაკლებად მკაცრი სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის განხორციელებას.“* [32] „სასჯელმა თავის მიზანს შეიძლება მიაღწიოს, როდესაც იგი მიზანშეწონილი, თანაზომიერი და სამართლიანია“, ხოლო სასჯელის ინდივიდუალიზაცია, როგორც სამართლიანი სასჯელის წინაპირობა, კანონის და სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის მიზნის შესრულების აუცილებელი წინაპირობაა.[33]

§3. უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულების პირობით ვადამდე გათავისუფლება (მოსახდელი სასჯელის მინიმალური ზღვარი)

თუკი სასჯელის ყველა მიზანი მიღწეულია და პატიმრობა მაინც გრძელდება უვადოდ, მაშინ უვადო თავისუფლების აღკვეთა უსამართლობის დამკვიდრებას ემსახურება.[34] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირების შემთხვევაში გვექნება არამარტო მაშინ როდესაც არ არსებობს მექანიზმი, რითაც სახელმწიფო ორგანოს ვალდებულებას წარმოადგენს გარკვეული პერიოდის შემდგომ უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირების სასჯელის გადახედვა, არამედ სასჯელის დანიშვნისას აღნიშნული უფლების, ასევე იმ საფუძვლების განუმარტებლობა, რის საფუძველზეც მსჯავრდებული მოიპოვებს გათავისუფლების უფლებას. აღნიშნული მე-3 მუხლის დარღვევა წარმოიშობა სასჯელის დანიშვნის მომენტიდან თუ მსგავსი დაცვის მექანიზმები სახელმწიფოში არ მოქმედებს.[35] შესაბამისად, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2003)23, რომელიც ეხება ციხის ადმინისტრაციის მიერ უვადო და სხვა გრძელვადიანი პატიმრების მართვას, ითვალისწინებს უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულებისათვის პირობით ვადამდე გათავისუფლების უფლების მინიჭების

[31] გ.ნაჭყებია, სასჯელის მიზნების საკანონმდებლო განსაზღვრებისა და თავისუფლების უვადოდ აღკვეთის მიმართების პრობლემა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, სამართლის ჟურნალი, მართლმსაჯულება და კანონი, #2(37), თბ. 2013, გვ. 113

[32] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 53, ნაწ. 1

[33] მ. ლეკვეიშვილი, სასჯელის ინდივიდუალიზაცია, როგორც სასჯელის შეფარდების მნიშვნელოვანი პრინციპი; სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბ. 2016, გვ.199-200

[34] ი. დვალიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელის და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, მერიდიანი, 2013, გვ. 60

[35] https://www.echr.coe.int/Documents/FS_Life_sentences_ENG.pdf

აუცილებლობას.[36] სასჯელის მიზნის განხორციელება არის პირველი და უმთავრესი საფუძველი „უკანა კარის“ სტრატეგიის (პირობით ვადამდე გათავისუფლება) გამოყენებისა, ასევე აღნიშნული შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ციხეების გადატვირთულობის გამო.[37] საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს მოწყვლადი კატეგორიის - უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულების პირობით ვადამდე გათავისუფლებას. პვგ-ს ფორმალურ საფუძველს წარმოადგენს მოსახდელი სასჯელის მინიმალური ზღვარი.[38] **სსკ-ს დღევანდელი რედაქციით 72[1] მუხლის 1-ლი ნაწილი ითვალისწინებს სასჯელის სახით დანიშნული უვადო თავისუფლების აღკვეთის გადასინჯვის როგორც ფორმალურ, ისე მატერიალურ საფუძვლებს. ფორმალური საფუძველია - ფაქტობრივად სასჯელის მოხდის მინიმალური ზღვარი - რომელიც 2014 წლის 31 ოქტომბრის ცვლილებით 25 წლიდან 20 წლამდე შემცირდა.** სასჯელის მოხდის მინიმალური ზღვარის 25 წლიდან 20 წლამდე შემცირება ერთის მხრივ დადებითად უნდა შეფასდეს, რამდენადაც ზოგადი თვალსაზრისით შემცირებულია სავალდებულოდ მოსახდელი სასჯელის ხანგრძლივობა, რითაც მცირდება რესოციალიზირებული მსჯავრდებულის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში დატოვების რისკი. თუმცა მეორეს მხრივ შესაფასებელია უკვე შემცირებული ზღვარის პირობებშიც კი შესაძლოა მსჯავრდებულის ასაკიდან გამომდინარე დაიკარგოს ინსტიტუტის მიზანი. მაგ. ბელგიაში უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებული მოიპოვებს პირობით ვადამდე გათავისუფლების უფლებას, თუ მან ფაქტობრივად მოიხადა თავისუფლების აღკვეთის 10 წელი.[39] ასევე გასათვალისწინებელია აღნიშნული ვადის დაწევა ხომ არ გამოიწვევს დაზარალებულში და საზოგადოებაში დაუცველობისა და პროტესტის შეგრძნებას, რასთან დაკავშირებითაც სახელმწიფომ უნდა განახორციელოს გარკვეული ღონისძიებები. ეფექტური სასჯელის აღსრულებით მიიღწევა რესოციალიზაციის მიზანი. თანაზომიერი სასჯელი თავის მხრივ ნიშნავს მის ქმედითობას (ეფექტურობას), ვფიქრობთ მინიმალური ზღვარის შემცირებით შესაძლებელია როგორც სამართლიანობის აღდგენა, ისე მსჯავრდებულის რესოციალიზაცია, თანაზომიერი სასჯელი მსჯავრდებულს უფრო სასტიკს კი არ ხდის, არამედ იწვევს მასში სინდისის ქენჯნას, პოზიტიური ცვლილებებისაკენ სწრაფვას და დანიშნული სასჯელის ზომის ადეკვატურ აღქმას

[36] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2003)23 ციხის ადმინისტრაციის მიერ უვადო და სხვა გრძლევადიანი პატიმრების მართვის შესახებ, 34-ე პუნქტი

[37] გ. მიქანაძე, პატიმრობის პირობით ვადამდე განთავისუფლების უფლება, ევროპული გამოცდილება და საქართველოს რეალობა, წიგნში: კ. კორკელია, ადამიანის უფლებათა დაცვა, მიღწევები და გამოწვევები, სტატიათა კრებული, თბ. 2012, გვ. 123-124

[38] ზ. გოთუა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სასჯელი, თბ. 2001, გვ. 93

[39] Nicola Padfield, Dirk van Zyl Smit and Frieder Dunkel, Release from prison, European policy and practice, First published 2010, p. 73

(სასჯელის ფსიქოლოგიური ასპექტი).[40] სწორედ მსჯავრდებულის „წახალისებით“, რაც მოცემულ შემთხვევაში გულისხმობს გათავისუფლების რეალური შესაძლებლობის მიცემას, მიიღწევა რესოციალიზაციის მიზანი, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს დანაშაულის განმეორების რისკს, განსხვავებით სამუდამო პატიმრობისგან, რომელიც მსჯავრდებულს უსამართლობის გრძნობას უჩენს და პირიქით, „აბოროტებს“.

კანონით გათვალისწინებული მინიმალური ზღვარის მიღწევა უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულისათვის ნიშნავს პირველი „დაბრკოლების“ გადალახვას გათავისუფლების უფლების მოსაპოვებლად, რის შემდეგაც ეძლევა შესაძლებლობა მიმართოს გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს შუამდგომლობით. აღსანიშნავია, რომ საქართველო არ მიეკუთვნება იმ ქვეყნების კატეგორიას, რომლებიც მინიმალური ვადის დადგენისას შერეულ მიდგომას ირჩევენ და შეიძლება ითქვას, რომ მსჯავრდებულის მიერ გარკვეული ვადის მოხდისას სახელმწიფოს ავალდებულებს იმსჯელოს და უპირატესად გაათავისუფლოს ისინი უვადო თავისუფლების აღკვეთისაგან, ხოლო საწინააღმდეგო გადაწყვეტილება გამომდინარეობდეს მკაცრად განსაზღვრული გამონაკლისებიდან.

3.2.დიფერენცირებული მიდგომა (დისკრეციული და სავალდებულო)

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის (2003)22 რეკომენდაცია აღნიშნავს, რომ სასურველია საპატიმრო სასჯელების შემცირება შეძლებისდაგვარად და ამის საუკეთესო საშუალებაა პირობით ვადამდე გათავისუფლება. აღნიშნული რეკომენდაციის მიხედვით, პირობით ვადამდე გათავისუფლების უფლების გამოყენება უნდა შეეძლოს ასევე უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულებსაც. უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულისთვის პირობით ვადამდე გათავისუფლების ხელმისაწვდომობაში უნდა მოვიაზროთ, როგორც კანონმდებლობით აღნიშნული უფლების მინიჭება, ასევე რეალურად ამ უფლების განხორციელება. პირობით ვადამდე გათავისუფლების ორი მოდელიდან (დისკრეციული და სავალდებულო), საქართველოში დისკრეციული გათავისუფლების სისტემა მოქმედებს, კანონით დადგენილი სასჯელის მინიმალური ვადის მოხდის შემდეგ, ვადიანი თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულის მიმართვის საფუძველზე - ადგილობრივი საბჭო, ხოლო უვადო თავისუფლებააღკვეთილების შემთხვევაში - სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას პირის გათავისუფლების შესახებ, თუ ჩათვლის, რომ **საჭირო აღარ არის სასჯელის სახით - თავისუფლების აღკვეთის შემდგომი მოხდა მსჯავრდებულის გამოსწორებისათვის.** მოსახდელი სასჯელის მინიმალური ვადის - 20 წლის შემდგომ სასამართლოს წინაშე მსჯავრდებულმა უნდა „ამტკიცოს“, რომ ის უკვე გამოსწორდა. დისკრეციული გათავისუფლების სისტემის პირობებში, ვფიქრობ, რომ მსჯავრდებულს გათავისუფლების ნაკლები შესაძლებლობა

[40] ი.ი. ამინოვი, იურიდიული ფსიქოლოგია, მეორე გამოცემა, თბ. 2014, გვ. 440

აქვს, რასაც საქართველოში არსებული რეალობაც ადასტურებს. ასევე მნიშვნელოვანია თვითონ მსჯავრდებულის მოლოდინი, რომ მიუხედავად ჩადენილი დანაშაულის სინანულისა და 20 წლის განმავლობაში ციხეში სათანადო ქცევისა, შესაძლოა მაინც სამუდამო პატიმრად დარჩეს, რამდენადაც უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირია, რომელთა გათავისუფლება არ ხდება. ასეთი „სტერეოტიპული“ მიდგომა, რასაც უნდა აღინიშნოს, რომ აქვს კიდეც შესაბამისი საფუძველი, გამოიწვევს მასში ფრუსტრაციას და დესოციალიზაციას, რასაც საბოლოო ჯამში მივყავართ სასჯელის მიზნის განუხორციელებლობამდე, *<u>განსხვავებით სავალდებულო გათავისუფლების სისტემისგან,</u>* სადაც მსჯავრდებული მოსახდელი სასჯელის მინიმალური ვადის შემდგომ, *როგორც წესი,* მოიპოვებს პირობით ვადამდე გათავისუფლებას და *საგამონაკლისოდ*, მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში შეიძლება გადაუვადდეს გათავისუფლების შესაძლებლობა, გათავისუფლების ახალი ვადის დათქმით. სავალდებულო გათავისუფლების სისტემის არსებობა ფაქტიურად გამორიცხავს „სამუდამო“ პატიმრობას გამონაკლისების გარდა. თავდაპირველად, სასჯელის დანიშვნის ეტაპზე შესაძლებელია აუცილებელი იყოს სასჯელის უმაღლესი ზომის - უვადო თავისუფლების აღკვეთის გამოყენება, რაც მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში ემსახურება სასჯელის მიზნებს და უნდა განიხილებოდეს, როგორც უკანასკნელი საშუალება (ultima ratio), რომლითაც მსჯავრდებული გაიაზრებს მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. ამავდროულად, მისთვის შანსის დატოვება გათავისუფლდეს რეაბილიტაციის პირობით, ასევე შეესაბამება სასჯელის უმთავრეს მიზანს - რესოციალიზაციას. გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ, მსჯავრდებულის გათავისუფლების გაუმართლებლობის შესახებ „მტკიცების ტვირთის“ სახელმწიფოზე გადატანა შესაძლოა ნიშნავდეს ერთის მხრივ მის რესოციალიზაციაზე პასუხისმგებლობის რეალურ აღებას, ხოლო მეორეს მხრივ, მსჯავრდებულისათვის ფაქტობრივი გათავისუფლების შესაძლებლობის გაზრდას. ასეთ შემთხვევაში, თავად სახელმწიფო ხდება ვალდებული, ამტკიცოს, თუ რატომ დაექვემდებარა მსჯავრდებული გათავისუფლებაზე უარის თქმის საგამონაკლისო შემთხვევებს. რეალური გათავისუფლების სისტემის არსებობა მეტად წაახალისებს მსჯავრდებულს სათანდო ქცევაზე და „აიძულებს“ მას არ მოიქცეს ისე, რომ გამოყენებულ იქნეს გათავისუფლების გადავადება, ამ დროს მსჯავრდებული ფიქრობს, რომ მას ეძლევა კიდევ ერთი შანსი გათავისუფლების.

ასევე იყენებენ *<u>შერეული სისტემას,</u>* რაც გულისხმობს, *როგორც დისკრეციული, ასევე სავალდებულო სისტემის* თანადროულ არსებობას. კერძოდ დისკრეციული გათავისუფლების სისტემით მსჯავრდებულისათვის პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე უარის თქმისას, გარკვეული პერიოდის შემდგომ ამოქმედდება სავალდებულო გათავისუფლების სისტემა, რომელიც თავის მხრივ გულისხმობს სავალდებულო გათავისუფლების შესაძლებლობას, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა.

შედარებით - სამართლებრივი ანალიზი - უვადო თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულთა მიერ სასჯელის მოხდის პერიოდი და გათავისუფლების პირობები სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა.

ავსტრიის კანონმდებლობის მიხედვით პირობით გათავისუფლებამ სულ ცოტა ის პრევენციის ეფექტი უნდა მოახდინოს მსჯავრდებულზე, როგორც მოახდენდა პენიტენციურ დაწესებულებაში სასჯელის მოხდის გაგრძელება.[41] პირობით ვადამდე გათავისუფლება დამოკიდებულია სამ წინაპირობაზე: 1. მინიმალური ვადის მოხდა; 2. შეფასება რეციდივის რისკზე; 3. ზედამხედველობის პერიოდის ხანგრძლივობის განსაზღვრა. უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირის მოსახდელი სასჯელის მინიმალური ვადა შეადგენს - 15 წელს. გამოსაცდელი ვადა ზედამხედველობისათვის შეიძლება იყოს არანაკლებ 3 და არაუმეტეს 10 წელი. აღნიშნულ პერიოდში შეიძლება ყოფილი მსჯავრდებული ჩაერთოს სხვადასხვა სარეაბილიტაციო პროგრამებში.[42]

გერმანიაში დისკრეციული გათავისუფლების სისტემა არსებობს, თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში პირი შეიძლება გათავისუფლდეს გამონაკლისს შემთხვევაში - სასჯელის ½ მოხდის შემთხვევაში, ხოლო ზოგადად 2/3 მოხდის შემთხვევაში. უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირი შეიძლება გათავისუფლდეს თუ მან ფაქტობრივად მოიხადა სასჯელის 15 წელი.[43]

უნგრეთში დისკრეციული გათავისუფლების სისტემა არსებობს. პირი შეიძლება გათავისუფლდეს თუ მან ფაქტობრივად მოიხადა სასჯელის 25 წელი. გამოსაცდელი ვადა არანაკლებ 15 წელი. სასამართლოს შეუძლია კანონით გათვალისწინებულ დანაშაულებზე გამოიყენოს სასჯელი უვადო თავისუფლების აღკვეთა პირობით ვადამდე გათავისუფლების უფლების გარეშე. ასევე უნგრეთის სისხლის სამართლის კოდექსი იცნობს ისეთ დანაშაულებს, რა დროსაც გამორიცხულია უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირის პირობით ვადამდე გათავისუფლება.[44]

საფრანგეთის კანონმდებლობით გათვალისწინებულია სასჯელის მოხდისგან გათავისუფლების მიზანი - მსჯავრდებულის სოციალური რეინტეგრაცია და ხელახალი დანაშაულის თავიდან აცილება. მსჯავრდებული უნდა გათავისუფლდეს, თუ ის გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს აჩვენებს, რომ ძალისხმევას არ ზოგავს სოციალური რეინტეგრაციისთვის, კერძოდ სასწავლო ტრენინგებში რეგულარულად დასწრებით, საქმიანობის ხარისხით, ოჯახთან დამოკიდებულებით, მკურნალობის სურვილითა და დაზარალებულისათვის კომპენსაციის გაწევით უნდა დაამტკიცოს მისი რესოციალიზაცია. პირობით ვადამდე გათავისუფლების ფორმალურ საფუძველს წარმოადგენს, უვადო

[41] Nicola Padfield, Dirk van Zyl Smit and Frieder Dunkel, Release from prison, European policy and practice, First published 2010, P. 49

[42] იხ. იქვე, გვ. 55

[43] იხ. იქვე, გვ. 185

[44] Criminal Code of the Republic of Hungary (2012), Release on Parole from Life Imprisonment, section 41-44

თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულის შემთხვევაში, ფაქტობრივად მოსახდელი სასჯელის მინიმალურ ვადას - 18 წელს, ხოლო რეციდივისტი მსჯავრდებულის შემთხვევაში - 22 წელს.[45]

შერეული სისტემის ქვეყნებს განეკუთვნება ბელგია, საბერძნეთი და სხვ. საბერძნეთი სამუდამო პატიმრის პირობით ვადამდე გათავისუფლების დისკრეციულ უფლებას ითვალისწინებს თუ მსჯავრდებულმა ფაქტობრივად მოიხადა თავისუფლების აღკვეთის 16 წელი, ხოლო თუ არ გაათავისუფლა შესაბამისმა ორგანომ, სავალდებულო გათავისუფლების სისტემა ამოქმედდება მსჯავრდებულის მიერ თავისუფლების აღკვეთის 20 წლის ფაქტობრივად მოხდის შემდეგ.[46] ბელგია უვადოების შემთხვევაში მხოლოდ დისკრეციულ გათავისუფლების სისტემას იყენებს, განსხვავებით ვადიანი თავისუფლების აღკვეთისა, უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებული მოიპოვებს პირობით ვადამდე გათავისუფლების უფლებას, თუ მან ფაქტობრივად მოიხადა თავისუფლების აღკვეთის 10 წელი (რაც ორჯერ ნაკლებია საქართველოში მოქმედ ვადაზე), მაგრამ რეციდივისტი მსჯავრდებულის შემთხვევაში - 16 წელი. გარდა ფორმალური მხარისა, შეფასებულ უნდა იქნეს შემდეგი საკითხები: 1. მსჯავრდებულის გამოსწორების გეგმა; 2. სურვილი, რომ აქვს დაბრუნდეს საზოგადოებაში; 3. რეციდივის რისკი.[47]

საქართველოში შერეული სისტემის ამოქმედება, ვფიქრობ, დადებითად აისახება უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირების გათავისუფლებაზე მიმაჩნია, რომ ხელს შეუწყობს სასამართლოს მიერ აღნიშნული საკითხზე თამამი გადაწყვეტილების მიღებას, რამდენადაც საკუთარ თავზე აიღებს პასუხისმგებლობას, უმტკიცოს მსჯავრდებულს, თუ რატომ არ არის გათავისუფლებისთვის მზად. აღნიშნული შუამდგომლობის განხილვისას პენიტენციური დეპარტამენტის თანამშრომელი სასამართლოში წარადგენს პოზიციას იმის შესახებ, ეთანხმება თუ არა უვადოთავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლებას. სასამართლო მხედველობაში იღებს და განჩინებაში ასახავს მსჯავრდებულზე ზედამხედველი ორგანოს პოზიციას, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში ცალსახად აცხადებს, რომ პირი მზად არის გათავისუფლებისათვის რეალური რესოციალიზაციის პირობებში. ***გათავისუფლების სავალდებულო სისტემის არსებობა, ერთის მხრივ წაახალისებს ამ სისტემის ამოქმედებას, ხოლო მეორეს მხრივ მისცემს უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირებს რეალური გათავისუფლების შესაძლებლობას, რომელზეც უარის თქმა დაკავშირებულია მკაცრ დასაბუთებასთან, ასევე თავიდან ააცილებს მუდმივი პატიმრობაში ყოფნის მოლოდინით გამოწვეულ სასოწარკვეთასა და ფრუსტრაციას.***

---

[45] Code of criminal procedure of France, Art. 729

[46] Nicola Padfield, Dirk van Zyl Smit and Frieder Dunkel, Release from prison, European policy and practice, First published 2010, p. 225

[47] იხ. იქვე, 73-74

§4. პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემის უპირატესობები სასჯელის მოხდისგან გათავისუფლების სხვა არსებულ სისტემებთან

საქართველოს კანონმდებლობა, სხვა ცივილიზებული ქვეყნების მსგავსად, იცნობს სასჯელის მოხდისგან გათავისუფლების სხვადასხვა სისტემებს. სასჯელის გათავისუფლების სისტემა შეიძლება პირობითად დაიყოს ორ ჯგუფად: ***სავალდებულო და ფაკულტატური***.[48] სავალდებულო სისტემას მიეკუთვნება *ამნისტია.* „ამნისტია“ ბერძნული სიტყვაა ნიშნავს „პატიებას“,[49] რა დროსაც სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლებისათვის მხოლოდ ფორმალური საფუძვლის არსებობაა საკმარისი, რა დროსაც პარლამენტის მიერ ნორმატიული აქტის გამოცემის შემთხვევაში მოსამართლის მიერ ხდება მხოლოდ ფორმალური კრიტერიუმის შეფასება - ეხება თუ არა მიღებული ამნისტიის კანონი კონკრეტულ ბრალდებულს ან მსჯავრდებულს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ფორმალური საფუძვლის არსებობისას მოსამართლის „ვალდებულებაა“ სასჯელის მოხდისაგან მსჯავრდებულის გათავისუფლება. რაც შეეხება სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების ფაკულტატურ სისტემას, ამ ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ *შეწყალებისა და პირობით ვადამდე გათავისუფლების* სამართლებრივი ინსტიტუტები, რა დროსაც საჭიროა შეფასდეს არა მარტო ფორმალური საფუძველი (მსჯავრდებულის მიერ სასჯელის ფაქტობრივად მოხდის ვადა), არამედ კანონით განსაზღვრული თითოეული კრიტერიუმი (მატერიალური საფუძველი).

საქართველოს პატიმრობის კოდექსის 37-ე მუხლის მიხედვით თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან გათავისუფლების საფუძვლებია: 1) პირობით ვადამდე გათავისუფლება; 2) ამნისტია; 3)შეწყალება. ევროსაბჭო წევრ ქვეყნებს მოუწდებს ისეთი ზომების გატარებისკენ, რომლებიც ხელს შეუწყობს დანიშნული სასჯელის შემცირებას და უპარატესობას ანიჭებს ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებას - პირობით ვადამდე გათავისუფლების ინსტიტუტს, ამნისტიისა და კოლექტიური შეწყალებასთან შედარებით.[50] სსკ-ს 77-ე მუხლის მიხედვით ამნისტიას აცხადებს საქართველოს პარლამენტი პირთა განუსაზღვრელი წრის მიმართ, ხოლო შეწყალების უფლებამოსილება გააჩნია სსკ-ს 78-ე მუხლის მიხედვით საქართველოს პრეზიდენტს, პირთა განსაზღვრული წრის მიმართ. პირობით ვადამდე გათავისუფლება და შეწყალება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მსჯავრდებულზე, რაც შეეხება ამნისტიას, ამნისტია შეიძლება შეეხოს ბრალდებულსაც და მსჯავრდებულსაც. პირობით ვადამდე გათავისუფლების შემთხვევაში ადგილობრივი საბჭო/სასამართლო განიხილავს ინდივიდუალურად, აფასებს კანონით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს: დანაშაულის

---

[48] ზ. გოთუა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სასჯელი, თბ. 2001, გვ. 91

[49] იხ. იქვე, გვ. 106

[50] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, რეკომენდაცია # R (99)22 , ციხის გადატვირთულობის და ციხის მოსახლეების გაზრდის თაობაზე, თავი V, მუხლი 2

ხასიათს, მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდისას გამოვლენილ ქცევას და ა.შ. ამნისტიის კანონის გამოცემის შემთხვევაში მსგავსი კრიტერიუმების შეფასება არ ხდება, ამნისტიის შესახებ კანონს პარლამენტი გამოსცემს განუსაზღვრელ პირთა წრისადმი, რა დროსაც შეუძლებელია კრიტერიუმების შეფასება და იმის დადგენა მოხდა თუ არა სასჯელის ერთ-ერთი მთავარი მიზნის - მსჯავრდებულის რესოციალიზაციის, მიღწევა. *განსხვავებით ამნისტიისგან,* საქართველოს პრეზიდენტი *შეწყალებას* განიხილავს ინდივიდუალურად განსაზღვრულ პირთა მიმართ, შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით, რომელიც მსგავსია პირობით ვადამდე გათავისუფლების კრიტერიუმებისა. პირობით ვადამდე გათავისუფლების და შეწყალების ინსტიტუტის ამოქმედებისას საქმის განმხილველი ორგანო ნათლად დაინახავს სასჯელის მოხდის გაგრძელების საჭიროებას, ხოლო ამნისტია არის სახელმწიფოს მხრიდან გამოხატული გულმოწყალება და ჰუმანურობის აქტი[51], რომელიც საერთოდ არ არის დაკავშირებული კონკრეტული მსჯავრდებულისთვის სასჯელის მოხდის გაგრძელების საჭიროების შეფასებასთან. ი. ვარძელაშვილის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ამნისტია ხელს უწყობს პირებს, ვადაზე ადრე დაბრუნდნენ საზოგადოებაში და თავი შეიკავონ დანაშაულებრივი ქმედებისაგან,[52] ვერ დავეთანმხებით ამნისტირებული მსჯავრდებულის მიერ დანაშაულებრივი ქმედებისაგან თავის შეკავების ნაწილში, რამდენადაც „პატიებამ“ შესაძლოა წაახალისოს, თუმცა სათანადო შეფასების მიღმა რჩება მისი რესოციალიზაციის ასპექტი. რესოციალიზაცია უნდა დაიწყოს პენიტენციურ დაწესებულებაში და სათანადო დონის მიღწევის შემდგომ გაგრძელდეს დაწესებულების გარეთ, მხოლოდ პატიმრის წახალისება (პატიების შედეგად ვადამდე გათავისუფლება) უპირობოდ ვერ გამოიწვევს პოზიტიური პასუხისმგებლობის ამაღლებას. როგორც პროფესორი გ. ნაჭყებია აღნიშნავს, პოზიტიური პასუხისმგებლობის ამაღლება დადებითი ასპექტია სისხლის სამართალში და იგი გულისხმობს ნორმატიული ვალდებულებისადმი ადამიანის პასუხისმგებლურ დამოკიდებულებას,[53] რაც ყალიბდება გარკვეული სარეაბილიტაციო ღონისძიებების გატარებით და მსჯავრდებულზე ფსიქოლოგიური ზემოქმედებით.

სასჯელის მოხდისგან გათავისუფლება შეიძლება იყოს პირობითი და უპირობო.[54] პირობით ვადამდე გათავისუფლება გამოსაცდელი ვადის დადგენით მიეკუთვნება სასჯელისაგან გარკვეული პირობით გათავისუფლების სისტემას, რამდენადაც მსჯავრდებულს ენიშნება გამოსაცდელი ვადა - უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირებისათვის არანაკლებ 2 და არაუმეტს 7 წლისა, რა დროსაც ხორციელდება ყოფილი მსჯავრდებულის კონტროლი, ზედამხედველობის გზით საზოგადოებაში რეინტეგრაცია.

---

[51] ზ. ნანობაშვილი, ამნისტიისა და შეწყალების სამართლებრივი ბუნება, ალმანახი, #13, 2000

[52] ი. ვარძელაშვილი, სასჯელის მიზნები, თბ. 2016, გვ. 115

[53] გ. ნაჭყებია, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. თბ. 2011წ. გვ. 42

[54] ზ. გოთუა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სასჯელი, თბ., 2001, გვ. 91

კონტროლის პირობებში ყოფილ მსჯავრდებულს აქვს იმის განცდა, რომ არასწორი საქციელის შემთხვევაში უკან მოუწევს დაწესებულებაში დაბრუნება, რაც მისთვის დანაშაულებრივი ქმედების განმეორებისაგან შემაკავებელი ფაქტორია. ამნისტიის და შეწყალების გამოყენებისას არ ინიშნება გამოსაცდელი ვადა, შესაბამისად არ ხორციელდება პრობაციის სამსახურის მიერ შეწყალებულ და ამნისტირებულ პირებზე კონტროლი, რაც საბოლოო ჯამში „სუსტი ნებისყოფისა" და მომეტებული კრიმინალური ენერგიის მქონე ყოფილი მსჯავრდებულებისთვის, რომელმაც საზოგადოებაში თავის დამკვიდრება ვერ შეძლო, შესაძლოა გახდეს ხელახალი მსჯავრის დადების საფუძველი. გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს უნდა ჰქონდეს მეტი გარანტია იმისა, რომ სასჯელის მოხდისგან ვადამდე გათავისუფლების ბენეფიციარებზე განხორციელდება კონტროლის და დახმარების სათანადო ღონისძიებები, რაც საბოლოო ჯამში წაახალისებს სასჯელისაგან მოხდის ვადამდე გათავისუფლების სისტემის ფართოდ გამოყენებას.

პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე მიმართვას ახორციელებს პენიტენციური დაწესებულება მსჯავრდებულის მიერ კანონით გათვალისწინებული სასჯელის მოხდის შემდეგ (გამონაკლისია უვადო თავისუფლებააღკვეთილი პატიმრები), ხოლო შეწყალებაზე შუამდგომლობა მხოლოდ მსჯავრდებულის სურვილზეა დამოკიდებული, ამ შემთხვევაში შესაძლებელია მსჯავრდებული არ იყოს ინფორმირებული შეწყალების უფლების შესახებ და ვერ შეძლოს აღნიშნული უფლების გამოყენება.

უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირების პირობით ვადამდე გათავისუფლება არ მომხდარა, განსხვავებით შეწყალებისგან. შეწყალების ერთ-ერთი ძირითადი მიზანია, მსჯავრდებულს კიდევ ერთხელ მიეცეს შესაძლებლობა, სახელმწიფოს მეთაურის მხრიდან გამოჩენილი ჰუმანური დამოკიდებულებით დაიბრუნოს თავისუფლება და იქცეს საზოგადოების სრულფასოვან წევრად. 2013 წლის ნოემბრიდან 2015 წლის ჩათვლით, შეწყალების საკითხთა კომისიას შუამდგომლობით მიმართა 65-მა უვადო თავისუფლებააღკვეთილმა მსჯავრდებულმა (62 მამაკაცი, 3 ქალი). შეწყალების საკითხთა კომისიის რეკომენდაციით, საქართველოს პრეზიდენტმა შეიწყალა 5 უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებული (3 ქალი და 2 მამაკაცი), რომელთაც განესაზღვრათ სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების კონკრეტული თარიღები.[55] შეწყალების დროს გასათვალისწინებელი კრიტერიუმები მსგავსია პირობით ვადამდე გათავისუფლების კრიტერიუმებისა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ პრეზიდენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არის ლიბერალური დამოკიდებულების გამოვლენა და პოლიტიკური გადაწყვეტილება, რა დროსაც შეიძლება არ ეთანხმებოდეს კონკრეტული ქმედების კრიმინალიზებას ან აღნიშნული ქმედებისთვის განსაკუთრებით მკაცრი სასჯელის დაწესებას.

[55] თ. ავალიანი, გ. ჩიტაძე, ადამიანის უფლებათა ცენტრი, შეწყალების უფლებამოსილება ქართული მოდელი და საერთაშორისო გამოცდილება, თბ. 2016, გვ. 20

თავისუფლების აღკვეთისაგან „გათავისუფლების“ ერთ-ერთი მექანიზმია თავისუფლების აღკვეთის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით, კერძოდ 73-ე მუხლის მე-7 ნაწ. მიხედვით უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირების შემთხვევაში საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ან შინაპატიმრობით. უვადო თავისუფლების აღკვეთის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით შესაძლებელია, თუ მსჯავრდებულმა ფაქტობრივად მოიხადა თავისუფლების აღკვეთის 15 წელი და თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ საჭირო აღარ არის ამ სასჯელის მოხდის გაგრძელება. როგორც უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირების პირობით ვადამდე გათავისუფლების, ისე მათთვის დანიშნული სასჯელის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას შესაფასებელი კრიტერიუმები მსგავსია, ასევე იდენტურია გადაწყვეტილების მიმღები ორგანო, რის გამოც თემის მიზნებიდან გამომდინარე, სასამართლოს მიდგომის უკეთ გამოკვეთის მიზნით, საჭიროდ მიმაჩნია ამ კუთხით სასამართლო პრაქტიკის ანალიზი.

§5. გადაწყვეტილების მიმღები ორგანოსთვის მიმართვაზე უფლებამოსილი პირი

5.1. მსჯავრდებულის ინფორმირებულობა პირობით ვადამდე გათავისუფლების უფლების შესახებ

მსჯავრდებულისთვის პირობით ვადამდე გათავისუფლების უფლების ინფორმირება საფუძველია აღნიშნული უფლების განხორციელებისა. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირების შემთხვევაში გვექნება არამარტო მაშინ როდესაც არ არსებობს მექანიზმი, რითაც სახელმწიფო ორგანოს ვალდებულებას წარმოადგენს გარკვეული პერიოდის შემდგომ უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირების სასჯელის გადახედვა, არამედ სასჯელის დანიშვნისას აღნიშნული უფლების, ასევე იმ საფუძვლების განუმარტებლობა, რის საფუძველზეც მსჯავრდებული მოიპოვებს გათავისუფლების უფლებას. აღნიშნული მე-3 მუხლის დარღვევა წარმოიშობა სასჯელის დანიშვნის მომენტიდან თუ მსგავსი დაცვის მექანიზმები სახელმწიფოში არ მოქმედებს.[56] შესაბამისად რეკომენდაციის მიხედვით, სასჯელის მოხდის დაწყებისთანავე მსჯავრდებულს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია და ის სასჯელის მინიმალური ვადა, რა დროსაც შეუძლია პვგ-ს სისტემით სარგებლობა.[57] აღნიშნული ჩანაწერიდან გამომდინარე სახელმწიფოს ვალდებულებას წარმოადგენს მსჯავრდებულს აცნობოს ინფორმაცია პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ. პირველ რიგში სასამართლომ სასჯელის

[56] https://www.echr.coe.int/Documents/FS_Life_sentences_ENG.pdf

[57] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, რეკომენდაცია Rec(2003)22, პირობით ვადამდე გათავისუფლების თაობაზე, ზოგადი პრინციპები, პუნქტი მე-4

გამოცხადებისთანავე უნდა განუმარტოს მსჯავრდებულს აღნიშნული უფლების შესახებ, შემდგომ უკვე დაწესებულებაში უფლებების გაცნობის ეტაპზე უნდა განხორციელდეს ინფორმირება. საქართველოს კანონმდებლობით ყველა დაწესებულების დებულება ითვალიწინებს მსჯავრდებულისათვის უფლებების განმარტების საკითხს, კერძოდ, შიდა კლასიფიკაციის საკანში მოთავსებისას დაწესებულების სოციალური ან/და სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების მოსამსახურე მსჯავრდებულს წერილობით გააცნობს პატიმრობის მოხდის პირობებს, თავის უფლებებს და მისდამი დაწესებულების მოსამსახურეების მოპყრობის წესებს, ინფორმაციის მიღებისა და საჩივრის შეტანის წესებს, დისციპლინურ და სხვა სახის მოთხოვნებს, აგრეთვე მსჯავრდებული გაფრთხილდება დაწესებულების დებულების დარღვევის გამო პასუხისმგებლობის თაობაზე, რომლის გაცნობასაც ბრალდებული ადასტურებს ხელმოწერით. სამწუხაროდ კონკრეტულად არ არის ჩამონათვალი თუ რა უფლებების განმარტება ხდება. ასევე მხოლოდ უფლების არსებობის შესახებ განმარტება არაა საკმარისი, საჭიროა მსჯავრდებულს მიეწოდოს ინფორმაცია უშუალოდ იმ კრიტერიუმების შესახებ, რომელთა მიხედვითაც მოხდება მისი შეფასება. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულისათვის, რომელიც თავად მიმართავს შუამდგომლობით სასამართლოს (დეტალურად 5.2 თავში ვისაუბრებ) და შესაბამისად, საჭიროა არა მხოლოდ ამ უფლების შესახებ ინფორმირება, არამედ მსჯავრდებულისათვის შესაბამისი კონსულტაციის გაწევა/დახმარება, მაგალითად, შუამდგომლობის განხილვისათვის საჭირო დოკუმენტების მოძიებასა და დართვაში.

აღსანიშნავია, რომ ზოგადად სათანადო ინფორმირებულობა უკეთ უზრუნველყოფს პატიმრის უფლებების დაცვას, ხოლო, მოცემულ შემთხვევაში, პირობით გათავისუფლების უფლების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდება შესაბამისი დახმარების გაწევით უნდა განვიხილოთ აღნიშნული უფლების ეფექტური რეალიზაციის წინაპირობად.

5.2.თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაციის უფლებამოსილება პირობით ვადამდე გათავისუფლებაში (უფლება თუ ვალდებულება)

მართალია პირობით ვადამდე გათავისუფლება კანონმდებლობით არის გათვალისწინებული, მაგრამ აღნიშნული უფლების გამოყენებისთვის საჭიროა სახელმწიფომ განახორციელოს ყველა ის ღონისძიება, რომელიც უზრუნველყოფს პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის სრულფასოვან განხილვას.[58] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის (2003)22 რეკომენდაციის მიხედვით საჭირო ღონისძიებები

[58] გ. მიქანაძე, პატიმრობის პირობით ვადამდე განთავისუფლების უფლება, ევროპული გამოცდილება და საქართველოს რეალობა, წიგნში: კ. კორკელია, ადამიანის უფლებათა დაცვა, მიღწევები და გამოწვევები, სტატიათა კრებული, თბ. 2012, გვ. 132

უნდა განხორციელდეს როგორც კი მსჯავრდებული კანონით დადგენილ მინიმალურ სასჯელს მოიხდის. [59] საქართველოს კანონმდებლობით პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემა არ შეესაბამებოდა ევროსაბჭოს აღნიშნულ რეკომენდაციას, რადგან პატიმრობის კოდექსში 2013 წლის იანვრამდე პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ შუამდგომლობას წარუდგენდა მსჯავრდებული/მისი კანონიერი წარმომადგენელი, ასევე შუამდგომლობის წარდგენის უფლება ჰქონდა დაწესებულების დირექტორს. [60] აღნიშნული მუხლის დათქმა ეხებოდა როგორც ვადიან, ისე უვადო თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულებს. აღნიშნულ პერიოდში კანონმდებელი არ განასხვავებდა პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვაზე გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს. შესაბამისად, დაწესებულების დირექტორს ადგილობრივი საბჭოსთვის შუამდგომლობით მიმართვის უფლებამოსილება გააჩნდა და არა ვალდებულება, რაც იწვევდა მსჯავრდებულზე/მის კანონიერ წარმომადგენელზე შუამდგომლობის წარდგენის, სათანადო დოკუმენტების მოძიების და პირობით ვადამდე გათავისუფლების უფლების მოპოვების ვადის განსაზღვრის ტვირთის გადატანას.[61] დადებითად უნდა შეფასდეს საქართველოს პატიმრობის კოდექსში ცვლილება, რომლითაც განისაზღვრა დაწესებულების ვალდებულება - პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე შუამდგომლობის წარდგენის შესახებ, რაც შესაბამისობაშია ევროსაბჭოს რეკომენდაციასთან. იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაცია დააგვიანებს შუამდგომლობის წარდგენას, მსჯავრდებულს/მის კანონიერ წარმომადგენელს შეუძლია წარადგინოს შუამდგომლობა, ასევე გაასაჩივროს დაგვიანება ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში. [62] ადმინისტრაციის მიერ შუამდგომლობის წარდგენით, პირველ რიგში პირობით ვადამდე გათავისუფლების უფლების მოპოვებისთვის მინიმალური სასჯელის ვადის გამოთვლის და ამ საფუძვლით მსჯავრდებულისათვის უარის თქმის პრობლემების წინაშე აღარ დავდგებით. კერძოდ, თუ მსჯავრდებული/მისი კანონიერი წარმომადგენელი არ იყო ინფორმირებული პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ და ადმინისტრაციაც არ გამოიყენებდა ამ უფლებას, კანონმდებლობით მსჯავრდებულისათვის მინიჭებული აღნიშნული უფლების რეალიზება ვერ მოხდებოდა, რითაც ირღვეოდა, *ერთის მხრივ,* ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია - ადმინისტრაციის მიერ შეტყობინების ვალდებულება პირობით ვადამდე გათავისუფლების

---

[59] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, რეკომენდაცია Rec(2003)22, პირობით ვადამდე გათავისუფლების თაობაზე, მე-17 პუნქტი

[60] საქართველოს პატიმრობის კოდექსი, 42-ე მუხლის 1-ლი ნაწ.

[61] გ. მიქანაძე, პატიმრობის პირობით ვადამდე განთავისუფლების უფლება, ევროპული გამოცდილება და საქართველოს რეალობა, წიგნში: კ. კორკელია, ადამიანის უფლებათა დაცვა, მიღწევები და გამოწვევები, სტატიათა კრებული, თბ. 2012, გვ. 132-133

[62] გ. მიქანაძე, პატიმრობის პირობით ვადამდე განთავისუფლების რეალობა საქართველოში მსჯავრდებულთა სპეციალური კატეგორიებისთვის, წიგნში: კ. კორკელია, ადამიანის უფლებათა დაცვა, კანონმდებლობა და პრაქტიკა სტატიათა კრებული, თბ. 2018 გვ. 214-215

შესაძლებლობის შესახებ [63] , ხოლო *მეორეს მხრივ,* ამავე რეკომენდაციით გათვალისწინებული სახელმწიფოს ვალდებულება - პვგ-ს უფლების განხორციელებისათვის სახელმწიფოს მიერ ყველა სათანადო ღონისძიების გატარების შესახებ. ასევე მსჯავრდებულისთვის/მისი კანონიერი წარმომადგენლისთვის შეიძლება რთული ყოფილიყო სათანადო დოკუმენტაციის შეგროვება, რასაც საბოლოოდ შეიძლება ცუდი გავლენა მოეხდინა გადაწყვეტილების მიღებაზე.[64] საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელდა ცვლილება, კერძოდ, 2017 წლის 20 ივნისს სსკ-ში დაემატა 72[1] მუხლი. აღნიშნული მუხლით განისაზღვრა უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირების ვადამდე გათავისუფლება, კერძოდ, სასჯელის სახით **უვადო თავისუფლების აღკვეთის გადასინჯვა**, რომლის გადაწყვეტაც მიეკუთვნება *სასამართლოს* კომპეტენციას. ასევე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დაემატა 285[1] მუხლი, რომელიც განსაზღვრავს სასამართლოს მიერ უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისთვის სასჯელის გადასინჯვის წესს. *სასჯელის გადასინჯვა გულისხმობს არა განაჩენით დანიშნული სასჯელის სამართლიანობის და დასაბუთებულობის შემოწმებას, არამედ სასჯელის გაგრძელების მიზანშეწონილობის გადახედვას, კერძოდ, უკვე მოხდილი სასჯელის ვადის განმავლობაში ხომ არ მოხდა უპირველესი მიზნის - რესოციალიზაციის მიღწევა, რის გამოც საჭირო აღარაა მსჯავრდებულის დატოვება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.* აღნიშნული ცვლილების საფუძველზე საქართველოს პატიმრობის კოდექსის 42-ე მუხლი, რომელიც ეხება ადგილობრივი საბჭოებისთვის ადმინისტრაციის მიერ შუამდგომლობის მიმართვის ვალდებულებას, აღარ ეხება უვადო თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულებს, რადგან უვადო თავისუფლებააღკვეთილების პვგ-ს საკითხს განიხილავს სასამართლო, ხოლო საქართველოს პატიმრობის კოდექსი არ ითვალისწინებს ადმინისტრაციის ვალდებულებას სასამართლოში აღნიშნული შუამდგომლობის დაყენების შესახებ. პრაქტიკა ცხადყოფს, რომ შუამდგომლობის ავტორი არის მსჯავრდებული. კანონმდებელმა მოწესრიგების გარეშე დატოვა უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირების პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ შუამდგომლობით მიმართვის პროცედურული საკითხები, რითაც ვადიან თავისუფლებააღკვეთილ პატიმრებთან შედარებით არათანაბარ მდგომარეობაში იმყოფებიან უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირები, მაშინ, როცა სწორედ ეს უკანასკნელნი თავიანთი ფსიქოლოგიური თუ სოციალური ფაქტორებიდან გამომდინარე, რაც გრძელვადიანი პატიმრობის თანმდევი უკუშედეგია, მიეკუთვნებიან ე.წ მოწყვლად კატეგორიას და სახელმწიფო ინსტიტუციებს

[63] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, რეკომენდაცია R (2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით, 30.3 პუნქტი

[64] გ. მიქანაძე, პატიმრობის პირობით ვადამდე განთავისუფლების უფლება, ევროპული გამოცდილება და საქართველოს რეალობა, წიგნში: კ. კორკელია, ადამიანის უფლებათა დაცვა, მიღწევები და გამოწვევები, სტატიათა კრებული, თბ. 2012, გვ. 133

უნდა გააჩნდეთ მათი მხარდაჭერის პრიორიტეტული ინტერესი. შუამდგომლობის დაყენების შემთხვევაში კი, როგორც ზემოთ აღვნიშნე, საჭიროა მოსახდელი სასჯელის მინიმალური ვადის ზუსტად განსაზღვრა, შესაბამისი დოკუმენტების მოძიება, რაც უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულს ადმინისტრაციის დახმარების გარეშე გაუჭირდება.

სისხლის სამართლის საქმეზე, სადაც მსჯავრდებულის შუამდგომლობით იხილებოდა უვადო თავისუფლების აღკვეთის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის შესახებ შუამდგომლობა, სასამართლომ არ დააკმაყოფილა უვადო თავისუფლების აღკვეთის შინაპატიმრობით შეცვლის თაობაზე შუამდგომლობა შემდეგი საფუძვლით: მსჯავრდებულს არ წარმოუდგენია რაიმე სარწმუნო ინფორმაცია/დოკუმენტი, რითაც დაადასტურებდა მის კუთვნილ ანგარიშზე თანხის არსებობას, ანდა მეუღლის ან სხვა პირის მატერიალურ თანადგომას და შინაპატიმრობის გამოყენების შესაძლებლობას,[65] რადგან არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის შესახებ საქართველოს კანონის 44[8] მუხლის მე-6 და მე-10 ნაწ. მიხედვით შინაპატიმრობა როგორც წესი აღსრულდება ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენებით, შესაბამისად, შინაპატიმრობის ელექტრონული ზედამხედველობის საშუალებით გამოყენების შემთხვევაში შეიძლება დაწესდეს საფასური. აღნიშნული დოკუმენტების წარმოუდგენლობის გამო სასამართლომ აღარ იმსჯელა უვადო თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოხდის *მიზანშეწონილობაზე*. შესაბამისად, მსჯავრდებულის შუამდგომლობა მხოლოდ იმის გამო დარჩა შინაარსობრივი განხილვის მიღმა, რომ არ ჰქონდა წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტი, რაც დაადასტურებდა მის გადახდისუნარიანობას და სასამართლოს მისცემდა შესაძლებლობას ემსჯელა გათავისუფლების მატერიალურ საფუძვლებზე. კანონმდებელმა აუცილებლად უნდა განსაზღვროს ადმინისტრაციის ვალდებულება - სასამართლოში სასჯელის მინიმალური ვადის მოხდის შემდეგ პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე შუამდგომლობის წარდგენის შესახებ (რელევანტურ დოკუმენტებთან ერთად), რითაც შემცირებული იქნება რესოციალიზებული მსჯავრდებულის საპატიმროში დატოვების რისკი.

სანამ უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულების პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვის გადატანა მოხდებოდა ადგილობრივი საბჭოდან სასამართლოში, უვადო/ვადიანი თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულის ვადამდე გათავისუფლებაზე უარის თქმის შემთხვევაში, ადგილობრივი საბჭო ***ვალდებული*** იყო აღნიშნული საკითხი განეხილა ყოველ 6 თვეში. **დღევანდელი კანონმდებლობით,** დამძიმდა უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულის მდგომარეობა გათავისუფლების საკითხის განხილვის გახანგრძლივების კუთხით, კერძოდ ნაცვლად განმხილველი ორგანოს ვალდებულებისა - პვგ-ს შუამდგომლობა განიხილოს ყოველ 6

[65] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 16 აპრილის განჩინება

თვეში ერთხელ, შეიცვალა უფლებამოსილებით, შუამდგომლობის განხილვა დამოკიდებულია მსჯავრდებულის ქმედებაზე და მისი განხილვა დასაშვებია უარის თქმიდან 1 წლის შემდეგ.[66] საქართველომ, მსგავსად ბელგიისა, ჩეხეთისა, პორტუგალიისა და სხვ., გაითვალისწინა მაქსიმალური პერიოდი, რა დროსაც არ შეიძლება განცხადების წარდგენა.[67] დადებითად უნდა შეფასდეს კანონმდებლის დათქმა უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულის შუამდგომლობის განხილვის ზეპირი მოსმენით განხილვის შესახებ, რა დროსაც გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს შეეძლება გადაწყვეტილება მიიღოს არა მარტო შესაბამისი ორგანოების მიერ შედგენილი საქმის მასალებით, არამედ უშუალოდ დაკვირვებით და შეფასებით. ამავდროულად, მნიშვნელოვანია, შუამდგომლობის ზეპირ განხილვაში მონაწილეობა მიიღონ არა მარტო პროცესის სავალდებულო მონაწილეებმა - მსჯავრდებულმა და სპეციალური პენიტენციური სამსახურის წარმომადგენელმა, არამედ იმ პირებმაც, რომლებსაც უშუალო შეხება აქვთ მსჯავრდებულთან სასჯელის მოხდის პერიოდში და შეუძლიათ სასამართლოს რეალური წარმოდგენა შეუქმნან მისი პიროვნებისა და ფსიქო-ემოციური მდგომარეობის შესახებ, რამაც არსებითი გავლენა შეიძლება მოახდინოს სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას (უფრო ვრცლად აღნიშნულ საკითხს განვიხილავთ წარმოდგენილი ნაშრომის მე-3 თავში).

§6.პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე გადაწყვეტილების მიმღები ორგანო (შედარებით სამართლებრივი ანალიზი)

საქართველოს კანონმდებლობა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, განსხვავებულ სტანდარტს აწესებს უვადო და ვადიანი თავისუფლებააღკვეთილი პირების მიმართ პირობით ვადამდე გათავისუფლების თაობაზე, კერძოდ 20.06.2017წ. სისხლის სამართლის კოდექსის 73-ე მუხლის მე-7 ნაწილში განხორციელდა ცვლილება, ასევე სსკ-ში დაემატა 72[1] მუხლი, რის საფუძველზეც გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოდ, უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულების შემთხვევაში, ადგილობრივი საბჭოების ნაცვლად განისაზღვრა სასამართლო, რაც შეიძლება აიხსნას ამ უკანასკნელზე პასუხისმგებლობის გადატანის მცდელობით. თუმცა, სამწუხაროდ, ადგილობრივი საბჭოების პრაქტიკა (უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის ნაწილში) არ იცნობს უვადო თავისუფლებააღკვეთის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის შემთხვევებს, არც სასამართლოს შეუცვლია.[68] ასეთივე ნულოვანი მაჩვენებელია პირობით ვადამდე

---

[66] სსსკ-ის 285[1] მუხლის მე-6 ნაწ.

[67] გ. მიქანაძე, მ. შალიკაშვილი, მაია(ზოია) ხასაია, სასჯელაღსრულების სამართალი, სახელმძღვანელო, თბ. 2014, გვ.265

[68] (სპეციალური პენიტენციური სამსახურის წერილის (27.06.2019, #190509/01) თანახმად 27.06.2019წ. მდგომარეობით, 71 უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსაჯვრდებულიდან 3 მსჯავრდებულმა მიმართა ადგილობრივ საბჭოს, მათ შორის ორმა - განმეორებით, 4 მსაჯვრდებულმა - სასამართლოს, უფრო მსუბუქი

გათავისუფლების შემთხვევებზე სასამართლო პრაქტიკაში.[69] საყურადღებოა ის ფაქტორები, თუ რატომ არ იღებდა გადაწყვეტილებას **ადგილობრივი საბჭო** უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირების სასჯელის გადასინჯვასთან დაკავშირებით. განსხვავებით უვადო თავისუფლების აღკვეთის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლისა, ადგილობრივ საბჭოში არ ყოფილა უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების შუამდგომლობა განხილული (ფორმალური საფუძვლის - 20 წლიანი ვადის გამო). ასევე აღნიშნულ ცვლილებებამდე უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირების პირობით გათავისუფლების/მსუბუქი სასჯელის შეცვლის სისტემის კანონმდებლობა მნიშვნელოვან ხარვეზს შეიცავდა, კერძოდ პირის გათავისუფლების შემთხვევაში დადგებოდა საკითხი: მსჯავრდებული გათავისუფლდებოდა პირობით და დაეკისრებოდა მოვალეობები, რომელიც მას უნდა შეესრულებინა *სასჯელის მოუხდელი ნაწილის ვადაში,* კერძოდ სიცოცხლის ბოლომდე - განუსაზღვრელი ვადით.[70] ასევე უვადო თავისუფლების აღკვეთის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ან თავისუფლების შეზღუდვით შეცვლის შემთხვევაში არ იყო განსაზღვრული შრომის და თავისუფლების შეზღუდვის ვადა, რასაც საბოლოო ჯამში მივყავდით უვადო შრომამდე/თავისუფლების შეზღუდვამდე. დადებითად უნდა შეფასდეს კანონმდებლობის ცვლილება გამოსაცდელი ვადის და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის/შინაპატიმრობის ვადის განსაზღვრის თაობაზე, რომელიც ვფიქრობ, რომ შესაბამისია სასჯელის მიზნებთან მიმართებით, კერძოდ გამოსაცდელი ვადით გათავისუფლებისა და მსჯავრდებულზე ზედამხედველობით მცირდება რეციდივის რისკი და შესაბამისად დაცულა საზოგადოების უსაფრთხოება. მართალია გათავისუფლების შემთხვევაში მსჯავრდებული აღარ იმყოფება საპატიმრო პირობებში, თუმცა მასე განუსაზღვრელი ვადით ზედამხედველობა შესაძლოა მივიჩნიოთ ფართო გაგებით სასჯელად, რომელიც ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-3 მუხლითა და საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლით გათვალისწინებულ - არაადამიანური და დამამცირებელი სასჯელის აკრძალვას. სახელმწიფოს მიერ განხორციელებული უვადოდ პირობით გათავისუფლება და

სასჯელით შეცვლის შესახებ შუამდგომლობით. რომელთაგან არცერთი მათგანი არ დაკმაყოფილდა. (შენიშვნა: სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომელთან გასაუბრებით ირკვევა, რომ ადგილობრივი საბჭოს მიერ უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის საკითხის მოთხოვნით გაცილებით მეტმა მსჯავრდებულმა მიმართა -17 ჯერ მოხდა განხილვა აღნიშნული საკითხის საბჭოს მიერ)

[69] 27.06.2019წ. მდგომარეობით, 71 მსჯავრდებულიდან პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ შუამდგომლობით არ მიუმართავს უვადო თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულს ადგილობრივი საბჭოებისთვის (სპეციალური პენიტენციური სამსახურის წერილი, 27.06.2019, #190509/01), ხოლო საერთო სასამართლოებისათვის მიმართული 5 შემთხვევიდან (თბილისის საქალაქო სასამართლოს 08.02.2018 და თბილისის სააპელაციო სასამართლო 12.07.2018; 20.12.2018; 05.04.2019 და 11.04.2019 წლის განჩინებები) არცერთი მათგანი არ დაკმაყოფილდა.

[70] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს კანონის პროექტზე განმარტებითი ბარათი, სსკ-ს 72^1-73.7 მუხლები

ზემოქმედება, რომელიც არ ითვალისწინებს გარკვეული პერიოდის გასვლის შემდგომ ზემოქმედებისგან გათავისუფლების შესაძლებლობას, მსგავსად აშკარად უსამართლო და არაპროპორციული სასჯელისის ვადისა გამოიწვევს არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას.[71]

გარდა ამ საკანონმდებლო ხარვეზისა, ვფიქრობ ***ადგილობრივი საბჭო საკუთარ თავზე ვერ იღებდა მსგავსი ტიპის მსჯავრდებულების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან „გათავისუფლების“ პასუხისმგებლობას, ვინაიდაინ „აშინებდათ“ სასჯელის უმაღლესი ზომა - უვადო თავისუფლების აღკვეთა, შესაბამისად კანონმდებელმა აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა მიანდო სასამართლოს.*** სასამართლოზე პასუხისმგებლობის გადატანა დასტურდება ჩანაწერში, სადაც სასჯელის გადასინჯვის საკითხის განხილვისას პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელი ვალდებულია წარადგინოს პოზიცია, მაგრამ სასამართლო პროცესზე დაკვირვებამ და სასამართლო განჩინებების ანალიზმა ცხადყო, რომ ფატქობრივად აღნიშნული უთანაბრდება პოზიციის არქონას.[72] მნიშვნელოვანი საკითხია საზოგადოების დამოკიდებულება უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულების გათავისუფლების თაობაზე. გამოკითხული 160 ადამიანიდან, 36% ფიქრობს, რომ უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირს არ უნდა ჰქონდეს გათავისუფლების შესაძლებლობა.[73] ***სწორედ ერთ-ერთი მიზეზი თუ რატომაც ვერ იღებდა გადაწყვეტილებას ადგილობრივი საბჭო შეიძლება იყოს - საზოგადოების მიერ მათი „გაკიცხვა“ მსგავსი ტიპის მსჯავრდებულების გათავისუფლების გამო.*** ვერ დავეთანხმები განმარტებით ბარათში მოცემულ მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ვინაიდან უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულები მიეკუთვნებიან „პატიმართა სპეციალურ კატეგორიას“ საჭიროა მაღალი სტანდარტის დაწესება, რომელიც გულისხმობს გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოდ - სასამართლოს დასახელებას.[74] იმ პირობებში, რომ სასამართლო საქმის სიმრავლიდან და აღნიშნული საკითხის „მეორადი ბუნებიდან“ გამომდინარე მსჯავრდებულის შუამდგომლობას ვერ განიხილავს სიღრმისეულად, ვერ მივიჩნევთ, რომ საკანონმდებლო ცვლილების მიზანი საქმის უფრო მაღალი სტანდარტით განხილვასთან დაკავშირებით, მიღწეულია და შედეგობრივი თვალსაზრისით სრულად უთანაბრდება ადგილობრივი საბჭოების საქმიანობას და ცხადი ხდება, რომ განსახილველი პრობლემის გადაჭრის გზას გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს ცვლილება არ წარმოადგენს.

---

[71] ავტორთა კოლექტივი, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, თბ., 2013, გვ.125

[72] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 8 თებერვლის განჩინება

[73] იხ. დანართი #1

[74] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს კანონის პროექტზე განმარტებითი ბარათი, სსკ-ს 72[1]-73.7 მუხლები

ევროპის ქვეყნებში ძირითადად პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს წარმოადგენს სასამართლო, კერძოდ საფრანგეთის კანონმდებლობის მიხედვით ყველა გადაწყვეტილებას გათავისუფლებაზე იღებს სასამართლო ხელისუფლება, გარდა შეწყალებისა, რომელსაც ახორციელებს საფრანგეთის პრეზიდენტი. [75] ავსტრიის კანონმდებლობის მიხედვით გადაწყვეტილების მიმღები ორგანოა - რეგიონალური სასამართლოს სენატი.[76] გერმანიაც მსგავს მიდგომას აჩვენებს, რამდენადაც პირობით ვადამდე გათავისუფლების ორგანოს წარმოადგენს სასამართლო. გერმანიის კონსტიტუციის იმპერატიული მოთხოვნაა, რომ ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც ეხება სასჯელის დანიშვნას და სასჯელისაგან გათავისუფლებას გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სასამართლომ.[77]

გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს შეცვლით აღნიშნული ნორმების ამოქმედება რომ არ მომხდარა, ეს ცალსახად მიუთითებს, რომ უვადო თავისუფლებააღკვეთილი პატიმრების შემთხვევაში, ძირითადი პრობლემური საკითხი არის არა გადაწყვეტილების მიმღები ორგანო - არამედ თვითონ მსჯავრდებულის სათანადო რესოციალიზაცია, ხოლო სათანადო ფორმალური და მატერიალური პირობების არსებობის შემთხვევაში არ უნდა მოხდეს ხელოვნურად ხელშეშლა და უნდა გათავისუფლდნენ.

თავი II. სპეციალური პენიტენციური სამსახურის როლი

სასჯელის დანიშვნა მნიშვნელობას დაკარგავს, თუ არ მოხდება სასჯელის ეფექტურად აღსრულება, რომელიც გულისხმობს გარკვეული წესების განუხრელ შესრულებას, მსჯავრდებულის გამოსწორების და რესოციალიზაციის მიზნით.[78] სწორედ პენიტენციური სამსახურის ეფექტურმა საქმიანობამ უნდა შეძლოს პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებული მიზნების შესრულება, კერძოდ ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და რესოციალიზაცია. დახურული ტიპის დაწესებულებაში რთულია რესოციალიზიის მიზნის მიღწევა, მაგრამ არა შეუძლებელი, მითუმეტეს იმ პირობებში, როცა საქმე ეხება „სამუდამო“ პატიმრებს. *„სასჯელის აღსრულების მიზნის მიღწევა დამოკიდებულია როგორც კანონის სრულფასოვნებაზე, ასევე სასჯელის განსაზღვრის პრაქტიკაზეც.“* [79] სათანადო საკანონმდებლო ბაზა, კვალიფიციური კადრები და რეაბილიტაციის საშუალებები პენიტენციური სამსახურში, მნიშვნელოვნად გაზრდის რესოციალიზაციას და შემდგომ უვადო პატიმრის საზოგადოებაში დაბრუნებას. ევროპის ქვეყნებში უვადო პატიმრების დიდი უმრავლესობა არ იხდის სასჯელს სრულად და

[75] Nicola Padfield, Dirk van Zyl Smit and Frieder Dunkel, Release from prison, European policy and practice, First published 2010, p 178

[76] იხ. იქვე, გვ. 49

[77] იხ. იქვე, გვ. 204

[78] ო. ფარტენაძე, თავისუფლების აღკვეთის აღსრულების ეფექტურობა, ბათუმი, 2009, გვ. 24

[79] იხ. იქვე, გვ. 28

უბრუნდება საზოგადოებას გარკვეული ზედამხედველობით.[80] სწორედ იმ მიზნით, რომ საქართველოშიც უვადო პატიმრებმა სრულად არ მოიხადონ სასჯელი და რეალურად ამოქმედდეს პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემა, პენიტენციურმა სამსახურმა მზადება და დადებითი ეფექტის მქონე ღონისძიებების გატარება უნდა დაიწყოს მსჯავრდებულის დაწესებულებაში მოთავსების მომენტიდან - სათანადო რისკების შეფასებითა და ინდივიდუალური გეგმის შედგენით.

§1. მსჯავრდებულის რისკების შეფასება და სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის შესაბამისობა რესოციალიზაციის მიზანთან

რისკების სათანადო შეფასებით და ინდივიდუალური გეგმის სწორად შედგენის საფუძველზეა შესაძლებელი სასჯელის მიზნების მიღწევა - უსაფრთხოების დაცვა და მსჯავრდებულის რესოციალიზაცია. საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვა ვიწრო გაგებით გულისხმობს ციხეში უსაფრთხოების დაცვას, ხოლო ფართო გაგებით - ზოგადად საზოგადოების დაცვას.[81] პატიმართა რისკის გათავლისწინებით კლასიფიკაცია ხელს შეუწყობს პირველ რიგში პატიმრებს შორის უთანხმოების პრევენციას, ასევე ციხის და საზოგადოებრივი უსაფრთხოებისგან სხვა საფრთხეების თავიდან აცილებას. [82] სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას მიეკუთვნება შეუქმნას მსჯავრდებულს სათანადო პირობები მისი საშიშროების რისკიდან გამომდინარე. საქართველოს პატიმრობის კოდექსის 64-ე მუხლის მიხედვით, როგორც წესი დახურული ტიპის დაწესებულებაში თავსდებიან უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულები. „ზოგჯერ არის მსგავსი ტენდენცია, რომ პატიმრები მაღალი რისკის დაწესებულებაში თავსდებიან ავტომატურად მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმიდან გამომდინარე.“[83] შესაბამისად, ძირითადად საწყისს ეტაპზე მსჯავრდებულებისათვის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ტიპის განსაზღვრა ხორციელდება პატიმრობის კოდექსის 61-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და 64-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე და მსჯავრდებულები ნაწილდებიან ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში, ხოლო შემდეგ, ხდება მათი მონაცემების პირველადი დამუშავება და საშიშროების რისკის განსაზღვრა.

---

[80]გ. მიქანაძე, პატიმრობის პირობით ვადამდე განთავისუფლების რეალობა საქართველოში მსჯავრდებულთა სპეციალური კატეგორიებისთვის, წიგნში: კ. კორკელია, ადამიანის უფლებათა დაცვა, კანონმდებლობა და პრაქტიკა სტატიათა კრებული, თბ. 2018 გვ. 210

[81] გ. მიქანაძე, მ. შალიკაშვილი, მაია(ზოია) ხასაია, სასჯელაღსრულების სამართალი, სახელმძღვანელო, თბ. 2014, გვ. 73

[82] სახელმძღვანელო ნელსონ მანდელას წესების შესახებ, პატიმრებთან მოპყრობის შესახებ გაეროს განახლებული მინიმალური სტანდარტული წესების განხორციელება, გვ. 22

[83] იხ. https://www.rivg.ge/media/1001537/2018/03/06/2f3906a210ed963918ac070a6ffe37ae.pdf ა. ქელბაქიანი, ნ. ცაგარელი, დ. ჭყოიძე, მაღალი რისკის პენიტენციური დაწესებულების მართვა, გვ. 22

საქართველოს კანონმდებლობა იცნობს საშიშროების რისკის 4 სახეს. საშიშროების რისკის სახეებია: ა) დაბალი - დაბალი რისკის მქონე მსჯავრდებული თავსდება დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში; ბ) საშუალო - საშუალო რისკის მქონე მსჯავრდებული თავსდება ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში; გ) მომეტებული - მომეტებული რისკის მქონე მსჯავრდებული თავსდება დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში; დ) მაღალი - მაღალი რისკის მქონე მსჯავრდებული თავსდება განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.[84] როდესაც საქმე ეხება უვადო თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულებს, სასჯელიდან გამომდინარე, ცალსახად განსაკუთრებით მძიმე კატეგორიას მიეკუთვნება მათ მიერ ჩადენილი დანაშაული (ზემოთ ვისაუბრე დანაშაულებზე რომლებზეც გათვალისწინებულია სასჯელის სახე - უვადო თავისუფლების აღკვეთა), როდესაც სასამართლოს აქვს დისკრეციის უფლება გამოიყენოს ვადიანი თავისუფლების აღკვეთა ან უვადო თავისუფლების აღკვეთა და ის იყენებს სასჯელის უმაღლეს ზომას უვადო თავისუფლების აღკვეთას, ეს მიუთითებს ჩადენილი ქმედების სიმძიმეზე და მსჯავრდებულის მომეტებულ საშიშროებაზე. შესაბამისად დავეთანხმები პოზიციას, რომ უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულები მაღალი რისკის მომცველები არიან, რადგან მათ ჩაიდინეს უმძიმესი დანაშაული და საფრთხე შეუქმნეს საზოგადოებრივ წესრიგს.[85] ბუნებრივია, მსჯავრდებულის პიროვნული საშიშროებიდან გამომდინარე, პირველ ეტაპზე რისკების შეფასებისას, მას მაღალი ალბათობით მიაკუთვნებენ „მომეტებული“ ან „მაღალი“ საშიშროების შემცველ მსჯავრდებულთა კატეგორიას.

მსჯავრდებულთათვის კარგი ქცევის წამახალისებელი შესაძლოა გახდეს უფრო დაბალი უსაფრთხოების პირობებში სამომავლოდ გადაყვანის პერსპექტივა, რის გამოც სასჯელის გარკვეული ნაწილის გასვლასთან ერთად, როგორც წესი, პატიმრები ნაკლები რისკის მატარებელნი ხდებიან.[86] ყურადღებას გავამახვილებ უკვე შეფასებული მსჯავრდებულის საშიშროების რისკის *გადაფასებაზე*, რა დროსაც მოწმდება მსჯავრდებული ისევ მიეკუთვნება თუ არა მასზე გათვალისწინებულ რისკის სახეს. ***„რადგანაც არც სახიფათოობა და არც კრიმინოგენული საჭიროებები არ არის არსებითად მუდმივი ხასიათის, რისკისა და საჭიროებების შეფასება განმეორებით უნდა***

[84] 08.05.2019 წ. #395 საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება, მსჯავრდებულის რისკის სახეების, რისკის შეფასების კრიტერიუმების, რისკის შეფასებისა და გადაფასების წესის, მსჯავრდებულის იმავე ან სხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანის წესისა და პირობების, აგრეთვე მსჯავრდებულთა საშიშროების რისკების შეფასების გუნდის საქმიანობისა და უფლებამოსილების განსაზღვრის წესის თაობაზე, დანართი 2, მუხლი 5

[85] გ. მიქანაძე, მ. შალიკაშვილი, მაია(ზოია) ხასაია, სასჯელაღსრულების სამართალი, სახელმძღვანელო, თბ. 2014, გვ. 390-391

[86] ა. ქელბაქიანი, ნ. ცაგარელი, დ. ჭყოიძე, მაღალი რისკის პენიტენციური დაწესებულების მართვა, გვ. 22 ,https://www.rivg.ge/media/1001537/2018/03/06/ (ნახვის თარიღი 15.06.2019)

განხორციელდეს ინტერვალებს შორის...“[87] საქართველოს კანონმდებლობაც ითვალისწინებს რისკის გადაფასებას, კერძოდ 08.05.2019 წ. #395 საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება, მსჯავრდებულის რისკის სახეების, რისკის შეფასების კრიტერიუმების, რისკის შეფასებისა და გადაფასების წესის, მსჯავრდებულის იმავე ან სხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანის წესისა და პირობების, აგრეთვე მსჯავრდებულთა საშიშროების რისკების შეფასების გუნდის საქმიანობისა და უფლებამოსილების განსაზღვრის წესის თაობაზე, დანართი 2, მე-18 მუხლის მიხედვით გადაფასება ხდება შემდეგი პერიოდულობით: საშიშროების მაღალი რისკის დადგენიდან - არაუგვიანეს 12 თვისა, საშიშროების მომეტებული რისკის დადგენიდან - არაუგვიანეს 18 თვისა, *განსაკუთრებულ შემთხვევებში* აღნიშნული ვადების დაუცველად შესაძლებელია რისკის გადაფასება. საშიშროების საშუალო რისკის და დაბალი რისკის დადგენის შემთხვევაში გადაფასების პერიოდულობა კანონით არ არის განსაზღვრული, ამ შემთხვევაში რისკის გადაფასება ხდება მსჯავრდებულის ქცევის მკვეთრად შეცვლისთანავე, ან პირადი განცხადების საფუძველზე (საშუალო რისკის შემთხვევაში). მნიშვნელოვანია შეფასდეს უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირების რისკების გადაფასების *დინამიკა,* სამწუხაროდ, დღევანდელი მდგომარეობით, 71 მსჯავრდებულიდან მხოლოდ 6 მსჯავრდებულის საშიშროების რისკია დადგენილი, *კერძოდ:* საშიშროების მომეტებული რისკი დადგენილი აქვს 2 მსჯავრდებულს, ხოლო საშიშროების მაღალი რისკი - 4 მსჯავრდებულს. უვადო თავისუფლებააღკვეთილი 3 მსჯავრდებულის შემთხვევაში საშიშროების რისკის პირველადი შეფასება მოხდა 2016 წლის 4 აპრილს, რა დროსაც სამივე მსჯავრდებულს დაუდგინდა საშიშროების მაღალი რისკი. მათ მიმართ საშიშროების რისკის პერიოდული გადაფასება მოხდა 3-ჯერ და სამივე შემთხვევაში საშიშროების რისკის შეცვლა არ მომხდარა. უვადო თავისუფლებააღკვეთილ 1 მსჯავრდებულს საშიშროების რისკის პირველადი შეფასების შედეგად 2016 წლის პირველ სექტემბერს დაუდგინდა საშიშროების მაღალი რისკი, რაც გადაფასდა 2017 წელს 15 აგვისტოს და საშიშროების მაღალი რისკის სახე შეეცვალა საშიშროების მომეტებული რისკით, ხოლო მომდევნო პერიოდული გადაფასებისას - 2019 წლის 8 თებერვალს, შეეცვალა საშიშროების მაღალი რისკით. უვადო თავისუფლებააღკვეთილი 2 მსჯავრდებულის მიმართ საშიშროების რისკის პირველადი შეფასების დროს დადგენილი იქნა საშიშროების მომეტებული რისკი, რაც გადაფასდა ერთხელ და მათ მიმართ საშიშროების რისკის შეცვლა არ მომხდარა, დარჩათ საშიშროების მომეტებული რისკი.[88] აღნიშნულიდან გამომდინარე დადგინდა, რომ რისკის შეფასება არ ხორციელდება ყველა უვადო თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულზე,

[87] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2003)23 ციხის ადმინისტრაციის მიერ უვადო და სხვა გრძელვადიანი პატიმრების მართვის შესახებ, მე-16 პუნქტი

[88] საქართველოს იუსტიციის სამინტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის No202058/01 წერილი (08/07/2019წ)

ასევე რისკების გადათვასების შემთხვევაშიც კი წლების შემდეგ არ იცვლება საშიშროების რისკის სახე საშუალო ან ნაკლები საშიშროების რისკით. წამოიჭრება შემდეგი ორი საკითხი: 1. *შესაძლოა დაწესებულებამ ვერ განახორციელა მასზე დაკისრებული მოვალეობა* - მსჯავრდებულში პოზიტიური პასუხისმგებლობის გამომუშავება და რესოციალიზაცია სათანადო პროგრამებისა თუ სხვადასხვა დადებითი ეფექტის მქონე ღონისძიებების გატარებით ან/და 2. *ობიექტურად და საკმარისი სიხშირით შეფასდა თუ არა მსჯავრდებულის საშიშროების რისკი*, კერძოდ, ხომ არ არიდებს თავს დაწესებულება მსჯავრდებულისათვის „დაბალი“ ან „საშუალო“ რისკის მინიჭებას, მასზე კონტროლის შემცირების თავიდან აცილების მიზნით. აქვე, შესაძლოა თავი იჩინოს საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებულმა *სტერეოტიპულმა მიდგომამ, რომ უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირები ნაკლებად შეძლებენ გამოსწორებას* და მოხდეს რისკის მხოლოდ ფორმალური, ზედაპირული გადათვასება, რაც საფუძველშივე გამორიცხავს ინდივიდუალურ მიდგომას.

მსჯავრდებულის შესახებ ინფორმაციის პირველად დამუშავებას ერთობლივად ახორციელებენ სპეციალური პენიტენციური სამსახურის და შესაბამისი დაწესებულების თანამშრომლები, კერძოდ, დაწესებულების დირექტორის მიერ შედგენილი ჯგუფი, რომელიც შედგება დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების არანაკლებ 1, დაწესებულების სპეციალური აღრიცხვის განყოფილების არანაკლებ 1 და სამსახურის მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის არანაკლებ 1 წარმომადგენლისგან. სანამ აღნიშნული ბრძანება შევიდოდა ძალაში პირველადი მონაცემების გადამუშავების ჯგუფში შედიოდა, ნაცვლად სამსახურის მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის წარმომადგენლისა, დაწესებულების სოციალური განყოფილების წარმომადგენელი, რომლის ცვლილებაც დადებითად უნდა შეფასდეს, რადგან ექსკლუზიურად დაწესებულების თანამშრომლებისგან დაკომპლექტებული ჯგუფის მიერ შეფასება - არ უზრუნველყოფდა მსჯავრდებულთა უფლებების სათანადოდ დაცვას,[89] სწორედ, რომ მსჯავრდებულთა რისკის შეფასება - გადაფასების სისტემის სრულყოფით გაუმჯობესდება პენიტენციური სისტემა. რისკის შეფასების მექანიზმის გაუმჭვირვალე პროცესი, სადაც სამწუხაროდ *ჩართულნი არ არიან მსჯავრდებულები,* შესაბამისად გადაწყვეტილება როგორც წესი მიიღება ზეპირი მოსმენის გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ გუნდი ჩათვლის, რომ მსჯავრდებულისათვის საშიშროების მომეტებული ან მაღალი რისკის დადგენის გადაწყვეტილების მიღებამდე საჭიროა მსჯავრდებულთან გასაუბრება, ეჭქვეშ აყენებს რისკის შეფასების ობიექტურობას, რაც უფრო მეტად მიიღწეოდა ყველა რელევანტური გარემოების სათანადო გამოკვლევისა და ანალიზის შედეგად.

[89] http://www.hrm.org.ge/sites/default/files/documents, ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმის მონიტორინგი, მიზანი 4.1, გვ. 9

რაც შეეხება უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულების რისკის გადაფასებას, უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულებისთვის მთელი პატიმრობის მანძილზე მაღალი ან მომეტებული საშიშროების რისკის კატეგორიაში გაყვანა არ არის მართებული, რადგან კანონმდებელი რისკის შეფასებას არ უკავშირებს მხოლოდ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს, რისკის შეფასებისას მნიშვნელოვანია არ მოხდეს რისკის გადამეტებული ან ნაკლები შეფასება.[90] შესაბამისად, გასათვალისწინებელია სხვა ისეთი ფაქტორები, როგორიცაა წარსულში სასჯელის მოხდის შემთხვევები, დაწესებულების წარმომადგენელთან და სხვა მსჯავრდებულთან დამოკიდებულება, კრიმინალური ავტორიტეტი და სხვ. პატიმრობის კოდექსით უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირები უნდა განთავსდნენ დახურული ტიპის დაწესებულებაში, რაც პრაქტიკაშიც ხორციელდება. უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულების მთელი პატიმრობის მანძილზე დახურული ან განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებით, რომელიც მხოლოდ ბლანკეტური ნორმიდან გამომდინარეობს და არ იძლევა შესაძლებლობას პიროვნების და მისი ქცევის გათვალისწინების შესაბამისად პირობების შექმნას, შეიძლება არადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობადაც კი შეფასდეს.[91] შესაბამისად, კანონმდებლობაში უნდა განხორციელდეს ცვლილება, რის საფუძველზეც დაბალი ან ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებაში შესაძლებელია მოთავსდნენ უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირები რისკის ფაქტორის გათვალისწინებით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უვადო მსაჯვრდებულები საწყისს ეტაპზე წარმოადგენენ მაღალი საშიშროების რისკის მომცველებს, შესაბამისად თავდაპირველად მათი დახურულ ან განსაკუთრებით მაღალი რისკის დაწესებულებაში მოთავსებით დაცულ იქნება, როგორც ციხის ადმინისტრაციისა და სხვა მსჯავრდებულების, ისე მათივე უსაფრთხოება. გარკვეული პერიოდის შემდგომ, დახურული ან განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში დატოვებამ, სათანადო ქცევისა და შესაძლო გამოსწორების შემთხვევაში, შეიძლება გამოიწვიოს მათი გაბოროტება, დესოციალიზაცია, რადგან აღნიშნულ დაწესებულებებში ნაკლებად სარგებლობენ იმ უფლებებით, რომელიც სხვა პატიმრებს გააჩნიათ. მიუხედავად იმისა, რომ უვადო პატიმრის სასჯელი გრძელვადიანია, რეკომენდაციის მიხედვით ისინი მალევე სათანადო ქცევის შემთხვევაში, უნდა გადაიყვანონ საშუალო ან ნაკლებად მკაცრი რეჟიმის ციხეში.[92] <u>**სამწუხაროდ, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით**</u>

---

[90] პენიტენციალური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან, სახელმძღვანელო პენიტენციალური სისტემის თანამშრომლებისათვის, თბ. 2007, გვ. 148

[91] ევროკავშირი საქართველოსთვის, უვადო თავისუფლებააღკვეთილი და მაღალი რისკის პატიმართა უფლებრივი მდგომარეობა პენიტენციურ სისტემაში, ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები, თბ. 2018, გვ. 14

[92] ევროკავშირი საქართველოსთვის, უვადო თავისუფლებააღკვეთილი და მაღალი რისკის პატიმართა უფლებრივი მდგომარეობა პენიტენციურ სისტემაში, ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები, თბ. 2018, გვ. 148

ყველა უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებული (71 მსჯავრდებული) მოთავსებულია დახურული ან განსაკუთრებული რისკის თავისუფლები აღკვეთის დაწესებულებაში.[93]**ასევე, მათგან 33 (მათ შორის – ქალი მსჯავრდებული) განთავსებულია ორ ან მეტადგილიან, ხოლო 38 – ერთადგილიან საკანში.** უვადო მსჯავრდებულების განცალკევებით მოთავსება, მითუმეტეს თუ ამას ხანგრძლივი ხასიათი აქვს, შესაძლოა მივიჩნიოთ ერთ-ერთი ხელშემშლელი გარემოებად მსჯავრდებულის რესოციალიზაციის გზაზე. შესაბამისად გაუმართლებელია მსგავსი მსჯავრდებულების იზოლირება სხვა მსჯავრდებულებისაგან იმ მოტივით, რომ ისინი გრძელვადიანი პატიმრები არიან.[94] „პატიმრობის შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლისა და 77-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირები თავსდებოდნენ იზოლირებულად და ეკრძალებოდათ ურთიერთობა ვადიან თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულებთან. აღნიშნული კანონის ძალადაკარგულად გამოცხდების შემდგომ მსგავსი ჩანაწერე კანონმდებლობაში აღარ გვხდება, თუმცა, სამწუხაროდ, პრაქტიკა მაინც საპირისპიროს ამტკიცებს. აღნიშნულიდან გამომდინარე უვადო მსჯავრდებულის უპირობოდ და მხოლოდ სტატუსიდან გამომდინარე, სხვა მსჯავრდებულებისგან იზოლირებისა და გარე სამყაროსთან შეზღუდული კონტაქტების თაობაზე, არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლოა არღვევდეს იმავე კონვენციის მე-3 მუხლსაც დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპთან ერთობლიობაში.[95] განსაკუთრებული რისკისთვის დაწესებული შეზღუდვები ფაქტობრივად, დამატებით სასჯელს უტოლდება, ამას მივყავართ სამაგიეროს მიზღვამდე და საბოლოოდ, პირობით ვადამდე გათავისუფლების უფლების გამოუყენებლობამდე. სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი სასჯელაღსრულების სამართალში გამოიხატება სასჯელის აღსრულებისას კონკრეტულ მსჯავრდებულის ყველა იმ პირობების და გარემოებების გათვალისწინებაში, რომელიც შემდგომ გაადვილებს რესოციალიზაციის პროცესს.[96] ხოლო თუ უვადო თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულებს შევხედავთ მხოლოდ როგორც განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენ პირებს და არ გადავაფასებთ მათ რისკებს სათანადო გულისხმიერებით, სასჯელის ინდივიდუალიზაციის პროცესი

---

[93] საქართველოს იუსტიციის სამინტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის No190509/01 წერილი (27.06.2019წ), რომლის მიხედვითაც 54 უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებული მოთავსებულია #8 დაწესებულებაში; 12 უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებული - #6 დაწესებულებაში; 1 უვადო თავისუფლებაღკვეთილი მსჯავრდებული – #2 დაწესებულებაში; 1 უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებული – #3 დაწესებულებაში; 1 უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებული –# 5 დაწესებულებაში; 2 უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებული – #7 დაწესებულებაში

[94] გ. მიქანაძე, არასრულწლოვან, ქალთა და უვადო თავისუფლებააღკვეთილ პატიმრებთან მოპყრობის თავისებურებანი, თბ. 2008, გვ. 46

[95] ევროკავშირი საქართველოსთვის, უვადო თავისუფლებააღკვეთილი და მაღალი რისკის პატიმართა უფლებრივი მდგომარეობა პენიტენციურ სისტემაში, ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები, თბ. 2018, გვ. 14

[96] გ. არსოშვილი, მ. შალიკაშვილი, გ. მიქანაძე, პრობაციის სამართალი, თბ. 2015, გვ. 247

დაირღვევა და ვერ მოხდება ინდივიდუალური გეგმის შედგენა მისი რისკის არასათანდოდ შეფასების გამო. ასევე დაუსაბუთებლად უფლებების ჩამორთმევა/შეზღუდვა გამოიწვევს არასამართლიანობის შეგრძნებას.

რისკების ობიექტურად შეფასება გულისხმობს კანონმდებლობით გათვალისწინებული პერიოდულობით სათანადოდ რისკების გადაფასებას. მსჯავრდებულისათვის შესაბამისი საშიშროების რისკის მინიჭებით, ეტაპობრივად ნაკლებად მკაცრი რეჟიმის ციხეში გადაყვანით და შესაბამისი ინდივიდუალური გეგმის შედგენით, მივალთ სასჯელის უმთავრეს მიზნამდე - მსჯავრდებულის რესოციალიზაციამდე, რაც საბოლოო ჯამში მიგვიყვანს პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემის ამოქმედებამდე. ბლანკეტური ნორმიდან გამომდინარე, რომელიც პირდაპირ მიუთითებს უვადო თავისუფლებააღკვეთილი პატიმრების მოთავსებას დახურული ტიპის დაწესებულებაში და წინააღმდეგობაში მოდის პიროვნების, მისი ქცევის შეფასებასთან გვხვდება სისხლის სამართლის საქმეზე, სადაც სასამართლო განიხილავდა უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულის შუამდგომლობას სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის შესახებ, სადაც აღნიშნული მსჯავრდებული მოთავსებული იყო #8 დაწესებულებაში - დახურული ტიპის დაწესებულებაში. აღნიშნულ დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულის საშიშროების რიკს წარმოადგენს - მომეტებული საფრთხის შემცველი, მაგრამ საქმეში წარმოდგენილი დაწესებულების დირექტორის ცნობით მსჯავრდებული ხასიათდება დადებითად, ასევე სპეციალური პენიტენციური სამსახურის წარმომადგენელმაც მხარი დაუჭირა მსჯავრდებულისათვის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის შესახებ, რადგან მიღწეულ იქნა სასჯელის მიზნები.[97] სწორედ აღნიშნული საქმიდან გამომდინარე წინააღმდეგობაში მოდის სპეციალური პენიტენციური სამსახურის პოზიცია, იმ შემთხვევაში თუ მსჯავრდებული დადებითად ხასიათდება, მისი ქცევა დამაკმაყოფილებელია და თან მხარს უჭერს გათავისუფლებაზე, მაშინ ისმის კითხვა რატომ არის აღნიშნული მსჯავრდებული მოთავსებული დახურული ტიპის დაწესებულებაში? აღნიშნულ დაწესებულებაში მოთავსებით მას ერთმევა ყველა იმ საშუალების გამოყენების შესაძლებლობა, რომლებსაც კანონი ანიჭებს ნაკლები რისკის შემცველ პატიმრებს. დახურული ტიპის დაწესებულებაში მსჯავრდებულს ნაკლები შესაძლებლობა აქვს მუშაობის/განათლების მიღების, რაც დაგვეხმარებოდა შემდგომში რეციდივის რისკის შემცირებაზე.[98] შესაბამისად უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირებს უნდა მიეცეთ

[97] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 16 აპრილის განჩინება სასჯელის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლაზე უარის თქმის შესახებ, სისხლის სამართლის საქმე #197/7551

[98] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, რეკომენდაცია Rec(2003)22, პირობით ვადამდე გათავისუფლების თაობაზე, ზოგადი ნაწილი, მე-7 პუნქტი

შესაძლებლობა რაც შეიძლება ხშირად ჰქონდეთ როგორც სხვა მსჯავრდებულებთან, ისე ერთმანეთთან ურთიერთობის საშუალება.[99]

სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის მიზნით დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დაწესებულებაში იქმნება მულტიდისციპლინური ჯგუფი. ჯგუფის შემადგენლობაში შედის დაწესებულების: სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი, სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების მოსამსახურე და ექიმი. უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირებთან მომუშავე პერსონალს სჭირდება სპეციალური ტრენინგების გავლა სპეციფიკურ სირთულეებთან გამკლავების მიზნით.[100] დაწესებულებებში მსჯავრდებულის ბიო-ფსიქო-სოციალურ შეფასებას, სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის შემუშავებას, ინდივიდუალური გეგმის შესრულების კოორდინაციას და მონიტორინგს ახორციელებს **<u>სოციალური სამსახური</u>**. იმისთვის რომ, სოციალურ სამსახურმა მისი ფუნქციები სათანადოდ შეასრულოს, შეისწავლოს დამნაშავის პიროვნება, აუცილებელია დანაშაულის სოციოლოგიის სათანადო შესწავლა, რომელიც ცდილობს შეისწავლოს დანაშაულის საზოგადოებრივი მიზეზები, სწორედ საზოგადოების და მისი ღირებულების, ცალკეული სუბკულტურული ჯგუფის შესწავლით, გამარტივდება როგორც სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის შედგენა, ისე სათანადო პრევენციული ღონისძიების გატარება.[101] სოციალური მუშაკის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მსჯავრდებულისათვის სათანადო დახმარების გაწევა, ასევე მსჯავრდებულის დანაშაულებრივი ქცევის, ურთიერთობების და ცხოვრების წესის, საცხოვრებელ პირობებთან დაკავშირებული გარემოებების და სხვა ფაქტორების აღწერა/შეფასება, რომლებსაც გავლენა აქვს დანაშაულის განმეორებით ჩადენაზე და რა თქმა უნდა მსჯავრდებულის რესოციალიზაციაზე. იმისთვის, რომ დადგინდეს მსჯავრდებული ნანობს თუ არა მის მიერ ჩადენილ დანაშაულს და განისაზღვროს მისი ფსიქიკური დამოკიდებულება დანაშაულთან საჭიროა კრიმინალური ფსიქოლოგიის ცოდნა,[102] განსაკუთრებით ისეთ დაწესებულებებისთვის როგორიცაა პენიტენციური სისტემა და იქ დასაქმებული ფსიქოლოგები. ვფიქრობ განსხვავებით სხვა ვადიანი პატიმრებისა, უვადო თავისუფლებააღკვეთილ პატიმრებთან საწყის ეტაპზე განსაკუთრებით უფრო მეტი სიხშირით უნდა მუშაობდნენ სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები, რამდენადაც ნევმანის და ლიტის მიერ ჩატარებულმა კვლევამ დაადგინა, რომ განაჩენის გამოტანის მომენტში დამნაშავე თავს გრძნობს საზოგადოების მსხვერპლად, ხოლო რაც უფრო მაღალია სასჯელის ზომა, მით უფრო მძაფრია გრძნობა

---

[99] ევროკავშირი საქართველოსთვის, უვადო თავისუფლებააღკვეთილ და მაღალი რისკის პატიმართა უფლებრივი მდგომარეობა პენიტენციურ სისტემაში, ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები, თბ. 2018, გვ. 14

[100] გ. მიქანაძე, არასრულწლოვან, ქალთა და უვადო თავისუფლებააღკვეთილ პატიმრებთან მოპყრობის თავისებურებანი, თბ. 2008, გვ. 56

[101] გ. არსოშვილი, გ. მიქანაძე, მ. შალიკაშვილი, პრობაციის სამართალი, თბ. 2015, გვ. 35

[102] იხ. იქვე, გვ. 35

საზოგადოების მსხვერპლად გახდომის შესახებ,[103] რაც პრაქტიკაში გამოიხატება განმარტოების სურვილით.
და ბოლოს, საბოლოოდ ფსიქოლოგის და სოციალური მუშაკის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე სპეციალური აღრიცხვის სამსახურის ვალდებულებაა კომპეტენციის ფარგლებში მოამზადოს მსჯავრდებულთა დახასიათება. ინდივიდუალური გეგმის შედგენის შემთხვევაში, დგება შეთანხმება დაწესებულებასა და მსჯავრდებულს შორის, რომელზეც ხელის მოწერითაც მსჯავრდებული აცხადებს თანხმობას მონაწილეობა მიიღოს დაწესებულების მიერ შეთავაზებულ რესოციალიზაცია/რეაბილიტაციის აქტივობებსა და საჭირო რეაგირების განხორციელებაში, რაც უნდა შეფასდეს როგორც მსჯავრდებულის მიერ რესოციალიზაციისკენ გადადგმულ ნაბიჯად.

§2.გათავისუფლებისათვის მომზადების დაწესებულებაში გადაყვანა

საქართველოს პატიმრობის კოდექსში 20.06.2017 წელს განხორციელებული ცვლილებით თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ტიპს დაემატა - გათავისუფლებისათვის მომზადების დაწესებულება, რომელიც წინ გადადგმული ნაბიჯია მსჯავრდებულის რესოციალიზაციისთვის. აღნიშნული დაწესებულების შექმნას წინ უსწრებდა სასჯელის სახის - თავისუფლების შეზღუდვის გაუქმება. 01.01.2018 წლიდან ალტერნატიული სასჯელის სახე - თავისუფლების შეზღუდვა გაუქმდა და ამოქმედდა გათავისუფლებისათვის მომზადების დაწესებულება. სასჯელი თავისუფლების შეზღუდვა გულისხმობდა მსჯავრდებულის *საზოგადოებისაგან იზოლაციის გარეშე* მოთავსებას თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში. თავისუფლების შეზღუდვას სასამართლო ვერ იყენებდა 2017 წლის 1 იანვრამდე, აღნიშნულ დაწესებულებაში ხვდებოდნენ მხოლოდ ის მსჯავრდებულები, რომელთაც ადგილობრივი საბჭოს მიერ შეეცვალათ თავისუფლების აღკვეთა თავისუფლების შეზღუდვით.[104] გათავისუფლებისათვის მომზადების დაწესებულებაში თავისუფლების აღკვეთის აღსრულების რეჟიმი დაახლოებით მსგავსია თავისუფლების შეზღუდვის აღსრულებისა. გათავისუფლებისათვის მომზადების დაწესებულების მიზანია, მსგავსად თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებისა, მსჯავრდებულმა თავიდან ისწავლოს ის უნარ-ჩვევები შედარებით თავისუფალ გარემოში მოთავსებით, რომლებიც გაუადვილებს მას საზოგადოებაში რეინტეგრაციას.[105] სწორედ, რომ გათავისუფლებისათვის მომზადების დაწესებულება არის ოქროს შუალედი,[106] რომელიც განსაკუთრებით ისეთ

[103] მ. შალიკაშვილი, ვიქტიმოლოგია - მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ, თბ. 2011, გვ. 160
[104]მ. ივანიძე და სხვ., ალტერანტიული სასჯელები, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბ. 2016, გვ. 347
[105] გ. არსოშვილი, გ. მიქანაძე, მ. შალიკაშვილი, პრობაციის სამართალი, თბ. 2015, გვ. 144
[106] იხ. იქვე, გვ. 153

მსჯავრდებულების კატეგორიას, რომლებიც გძელვადიან პატიმრობაში იმყოფებიან, გაუადვილებს ნორმალური ცხოვრების რეჟიმში დაბრუნებას. შესაბამისად გათავისუფლებისათვის მომზადების დაწესებულებაში გადაყვანით გვექნება როგორც უვადო თავისუფლებააღკვეთილები პირების რესოციალიზაციის რეალური შესაძლებლობა, ისე შედარებით თავისუფალ გარემოში მათზე დაკვირვების საშუალება, რაც საბოლოოდ გადაწყვეტილების მიმღები ორგანოსათვის შესაძლოა გახდეს წამახალისებელი დადებითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

2.1. რესოციალიზაციის რეალური საშუალება

მსჯავრდებულის რესოციალიზაცია ხანგრძლივი პროცესია, იგი იწყება მსჯავრდებულის პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებით და სასჯელის მოხდის შემდგომაც.[107] სწორედ სახელმწიფომ უნდა შეძლოს როგორც დაწესებულებაში მსჯავრდებულის რესოციალიზაცია შესაბამისი სარეაბილიტაციო პროგრამებით, ისე დაწესებულებიდან გათავისუფლების შემდგომ მისი მხარდაჭერით. უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულის არარესოციალიზაციის შემთხვევაში, სახელმწიფოს მოუწევს აღნიშნული მსჯავრდებული სამუდამოდ დატოვოს დაწესებულებაში, რაც გამოიწვევს როგორც ეკონომიკური, ისე ადამიანური რესურსების გაზრდის საჭიროებას. სამართლის ეკონომიკური ანალაზის მიზანია დაადგინოს, შესაძლებელია თუ არა კონკრეტული ნორმის/კანონის მიზნის მიღწევა ნაკლები დანახარჯით.[108] 2015-2019 წლის სტატისტიკის მიხედვით, წლიური ხარჯი ერთ მსჯავრდებულზე შეადგენს:



მოცემული მაჩვენებელი ცხადყოფს, რომ თითოეული მსჯავრდებულის საპატიმრო დაწესებულებაში საცხოვრებელი ხარჯები საკმაოდ სოლიდურ თანხებთანაა დაკავშირებული, რაც გათავისუფლების შემთხვევაში, შესაბამისი უწყებების კოორდინირებული მუშაობით შესაძლოა შემცირდეს და ამასთან, მსჯავრდებულის რესოციალზაცია უფრო ეფექტურად გაგრძელდეს არასაპატიმრო სასჯელის მოხდის

[107] ი. ვარძელაშვილი, სასჯელის მიზნები, თბ. 2016, გვ.85
[108] გ. ხუბუა, სამართლის თეორია, გვ. 111

პირობებში. ციხის კვლევების საერთაშორისო ცენტრმა (ICPS) აღნიშნა, რომ „უსაფრთხოება ძვირია და რაც უფრო მაღალია მისი დონე, მით უფრო მეტია დანახარჯი. ფინანსურად მომგებიანია უსაფრთხოების მაღალი დონის დაწესებულებებში არ იყოს იმაზე მეტი პატიმარი, ვიდრე ეს საჭიროა“.[109] რესოციალიზაცია იწყება ჯერ დესოციალიზაციით, ანუ საზოგადოებისგან იზოლირებით და შემდგომ უკვე იწყება სოციალიზაციის ეტაპები. ყველა დაწესებულების მიზანს და ამოცანას წარმოადგენს მსჯავრდებულის რესოციალიზაცია, მაგრამ განსხვავებით სხვა დაწესებულებებისგან, გათავისუფლებისათვის მომზადების დაწესებულებაში მოთავსების მთავარ მიზანს წარმოადგენს გათავისუფლებისათვის მომზადების უზრუნველყოფა და საშიშროების რისკის ზრდის თავიდან აცილება[110], რესოციალიზაციის მიღწევა ამ ორი მნიშვნელოვანი ამოცანის გარეშე წარმოუდგენლად მიმაჩნია. *„გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში შეიძლება მოთავსდეს დაბალი ან საშუალო რისკის მქონე მსჯავრდებული, რომლის მიერ ფაქტობრივად მოსახდელი სასჯელის ვადა არ აღემატება 1 წელს.“* [111] აღნიშნული ჩანაწერით შეუძლებელია უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირის გადაყვანა გათავისუფლებისათვის მომზადების დაწესებულებაში შემდეგი ფაქტორებიდან გამომდინარე: 1. რისკის სახე - აღნიშნულ დაწესებულებაში მსჯავრდებულის თანხმობით შესაძლებელია გადაყვანილ იქნეს მხოლოდ *დაბალი ან საშუალო* რისკის მქონე მსჯავრდებული. სამწუხაროდ სპეციალური პენიტენციური სამსახურის წერილიდან ირკვევა, რომ ყველა უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირი მოთავსებულია დახურული ტიპის დაწესებულებაში,[112] შესაბამისად აღნიშნულ მსჯავრდებულების რისკის სახე, როგორც წესი, იქნება მომეტებული რისკის მქონე, რაც გამორიცხავს გათავისუფლებისათვის მომზადების დაწესებულებაში გადაყვანის შესაძლებლობას. 2. მოსახდელი სასჯელის ვადა - სათანადოდ რისკების გადაფასების შემთხვევაშიც კი, რა დროსაც უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირის რისკის სახე შეიძლება იყოს დაბალი ან საშუალო, შეუძლებელია მსჯავრდებულის გადაყვანა გათავისუფლებისათვის მომზადების დაწესებულებაში, რადგან მათი *სასჯელი არის სამუდამო.* ამის საწინააღმდეგოდ სახელმწიფოებს სავარაუდო გათავისუფლებამდე გრძელვადიან პატიმრების უმრავლესობა გადაყავთ ნაკლებად მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში, სადაც მათ

[109] სახელმძღვანელო ნელსონ მანდელას წესების შესახებ, პატიმრებთან მოპყრობის შესახებ გაეროს განახლებული მინიმალური სტანდარტული წესების განხორციელება, გვ. 22

[110] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 15.07.2015 წ.-ს №71 ბრძანება №16 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ, მუხლი 16[1], მე-3 მუხლის მე-2 ნაწ.

[111] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 15.07.2015 წ.-ს №71 ბრძანება №16 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ, მუხლი 16[1], 1-ლი ნაწ.

[112] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის No190509/01 წერილის დანართი (27/06/2019წ)

საშუალება ეძლევათ დროებით, რამდენიმე დღით დატოვონ დაწესებულება, სწორედ ეს არის მზადება საზოგადოებაში კავშირის დამყარებისთვის.[113]

საფრანგეთის კანონმდებლობის მიხედვით, სანამ უშუალოდ *ადრეული* გათავისუფლება განხორციელდება, არაუმეტეს 1 წლისა შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს როგორც ელექტრონული მონიტორინგით, ისე მუშაობის პირობით გათავისუფლება, რომლის მიზანია პატიმრის ადრეულად გათავისუფლების შესაბამისობის შეფასება, თუ ეს პრობაციის პერიოდი ინციდენტის გარეშე ჩაივლის, ამ შემთხვევაში შესაძლებელია პირობით ვადამდე გათავისუფლების ამოქმედება.[114] საფრანგეთის კანონმდებლობა გათავისუფლებისათვის მსჯავრდებულის *მზადებას* იწყებს სავარაუდო გათავისუფლებამდე და არა განაჩენით გათვალისწინებული სასჯელის ვადის დასრულებამდე, რაც დადებითად უნდა შეფასდეს. საქართველოს კანონმდებლობით უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულების სამუდამო პატიმრობიდან გამომდინარე შეუძლებელია მსგავსი გათავისუფლებისათვის მომზადების სისტემის ამოქმედება. საფრანგეთის მსგავსად, საქართველოს კანონმდებლობით, შესაძლებელი უნდა იყოს სავარაუდო გათავისუფლებამდე მსჯავრდებულის გადაყვანა გათავისუფლებისათვის მომზადების დაწესებულებაში. საქართველოს კანონმდებლობით უვადო თავისუფლებააღკეთილი მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლდეს პირობით, თუ მან მოიხადა ფაქტობრივად 20 წელი და სასამართლო მიზანშეწონილად აღარ ჩათვლის მისთვის სასჯელის გაგრძელებას. შესაბამისად, გათავისუფლების მომზადების დაწესებულებაში *სასჯელის ფაქტობრივად 19 წლის მოხდის შემთხვევაში* აღნიშნული პირების გადაყვანით, პირველ რიგში გათავისუფლების შემთხვევაში მომზადებული იქნება მსჯავრდებული, ასევე მსჯავრდებულის მიერ იმის გაცნობიერება, რომ მას ნამდვილად აქვს გათავისუფლების შესაძლებლობა „აიძულებს“ მას სათანადოდ მოიქცეს და სასამართლოს დაუმტკიცოს, რომ ის გამოსწორდა. აღნიშნულ დაწესებულებაში შედარებით მარტივია რესოციალიზაცია, რადგან მსჯავრდებულს შეუძლია იგრძნოს თავი „სრულუფლებიან ადამიანად“, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის №71 ბრძანების 46[1] მუხლის მიხედვით (15.07.2015წ №16 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ) გათავისუფლებისთვის მომზადების ნაწილში მოთავსებულ მსჯავრდებულს დეპარტამენტის დირექტორის გადაწყვეტილებით შეიძლება მიეცეს უფლება, დატოვოს დაწესებულება: დაწესებულების გარეთ სწავლის ან/და მუშაობის შემთხვევაში, სამუშაო ან/და სასწავლო გრაფიკის შესაბამისად; საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ დასვენების და უქმე დღეებში; დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში, 1 კვირის განმავლობაში არაუმეტეს 3 დღე-

[113] პენიტენციალური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან, სახელმძღვანელო პენიტენციალური სისტემის თანამშრომლებისათვის, თბ. 2007, გვ. 148-149

[114] Nicola Padfield, Dirk van Zyl Smit and Frieder Dunkel, Release from prison, European policy and practice, First published 2010, p. 176

ღამისა. აღნიშნულ დაწესებულებაში მსჯავრდებულის გადაყვანა დასაშვებია, მხოლოდ მისი თანხმობის შემთხვევაში, რა დროსაც იგი იღებს ვალდებულებას ისწავლოს ან/და იმუშაოს, აგრეთვე მონაწილეობა მიიღოს დაწესებულების მიერ შეთავაზებულ სარეაბილიტაციო ღონისძიებებში ან/და სხვა სოციალურ აქტივობებში. მსჯავრდებულის მზაობა დაკისრებული მოვალეობების შესრულებაზე არის რესოციალიიზაციისკენ გადადგმული ნაბიჯი. დეპარტამენტის დირექტორი გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში იღებს მსჯავრდებულის პიროვნულ თვისებებს, დანაშაულის ჩადენის მოტივს, დამდგარ მართლსაწინააღმდეგო შედეგს ან/და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში სასჯელის მოხდისას გამოვლენილ ქცევას, გაქცევის რისკს, აგრეთვე იმ საფრთხეს, რომელიც მსჯავრდებულმა შეიძლება შეუქმნას თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებას.

2.2 მსჯავრდებულის ქცევაზე დაკვირვების ეფექტური შესაძლებლობა

პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხი დგება მაშინ თუ საჭირო აღარ არის სასჯელის შემდგომი მოხდა. პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისას რთულია შეაფასო იმ მსჯავრდებულის გამოსწორების საკითხი და კრიტერიუმები, რომელიც დახურული ტიპის დაწესებულებაშია მოთავსებული. დახურული ტიპის დაწესებულებაში მკაცრი რეჟიმიდან გამომდინარე, როცა მსჯავრდებულს მხოლოდ 1 საათის გატარების უფლება აქვს სუფთა ჰაერზე, არ ურთიერთობს სხვა მსჯავრდებულებთან, მხოლოდ მისი გარკვეულ სარეაბილიტაციო ღონისძიებებში ჩართვა, დისციპლინური სახდელის გამოუყენებლობა, ახალი დანაშაულის არჩადენა, ფსიქოლოგის/სოციალური მუშაკის დადებითი შეფასება ვერ მოგვცემს რეალურ სურათს მსჯავრდებულის თაობაზე. მსჯავრდებულს ეტაპობრივად უნდა მივცეთ თავისუფალი გარემო, რათა შევძლოთ მისი დამოკიდებულების როგორც სასჯელთან, ისე ციხის საზოგადებასთან შეფასება. გამომდინარე იქიდან რომ, გათავისუფლებისათვის მომზადების დაწესებულება არის ერთ-ერთი კარგი საშუალება როგორც რესოციალიზაციისთვის, ისე მსჯავრდებულის ქცევის დაკვირვებისთვის, სასურველია პენიტენციურ დაწესებულაში მიღებულ იქნას ყველა ზომა, რათა ყველა მსჯავრდებულს მიეცეს შესაძლებლობა, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა (რისკების გათვალისწინებით), აღნიშნულ დაწესებულებაში მოთავსებისა და ცხოვრებისთვის მოსამზადებლად. შედარებით თავისუფალ გარემოში დაკვირვებით პირობით ვადამდე გათავისუფლებისათვის გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს ექნება რეალური სურათი მსაჯვრდებულის პიროვნების, მისი ქცევის შესახებ, რითაც შეძლებს უკვე გადაწყვეტილების მიღებას თამამად და დასაბუთებულად.

2.3. გათავისუფლებისათვის მომზადების დაწესებულებაში გადაყვანილი უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულის კონტროლის მექანიზმები

გათავისუფლებისათვის მომზადების დაწესებულებაში გადაყვანილი უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულს დირექტორის გადაწყვეტილებით შესაძლოა მიეცეს დაწესებულებიდან გასვლის უფლება სწავლის/დასაქმების მიზნით. საწყისს ეტაპზე დირექტორის გადაწყვეტილებით შესაძლებელი უნდა იყოს განხორციელდეს ელექტრონული მონიტორინგი. რეკომენდაციის მიხედვით, ელექტრონული მონიტორინგის გამოყენების დროს უნდა ვიხელმძღვანელოთ პროპორციულობის პრინციპის საფუძველზე, აღნიშნული თანაზომიერი უნდა იყოს დანაშაულის სიმძიმისა და მსჯავრდებულის პიროვნულ მახასიათებელთან.[115] განსაკუთრებით მაშინ, როდესაც რიგი ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით ელექტრონული მონიტორინგი სასჯელის აღსრულების საშუალებად საერთოდ არ გამოიყენება და წარმოადგენს სასჯელის დამოუკიდებელ სახეს, მისი ჩარევის ინტენსივობიდან გამომდინარე. **<u>ელექტრონული აპარატურა</u>**-შედგება გადამცემისა და მიმღებისაგან, გადამცემს წარმოადგენს სამაჯური, რომელიც წესით დამაგრებულია მსჯავრდებულის ქვემოკიდურზე ისე, რომ მისი მოხსნა დაზიანების გარეშე შეუძლებელია.[116] იმ შემთხვევაში თუ შეუძლებელია სამაჯურის მიმაგრება ქვედა კიდურზე ობიექტური მიზეზების გამო, მაშინ სამაჯური მიმაგრებულ უნდა იქნეს მსჯავრდებულის მაჯაზე, ხოლო აღნიშნულ შემთხვევაში მიმღები უნდა დამაგრდეს სამუშაო ან/და განათლების მიღების ადგილზე, რადგან დაწესებულების დატოვების მიზანს წარმოადგენს განათლების მიღება ან დასაქმება.

რამდენიმე თვიანი დაკვირვების შემდგომ, თუ მსჯავრდებული ნათლად შეასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას, მონაწილეობას მიიღებს სარეაბილიტაციო ღონისძიებებში, გამოხატავს დასაქმების სურვილს, ფსიქოლოგების მიერ დახასიათდება დადებითად, დირექტორს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა მსაჯვრდებულს მიანიჭოს უფლება დატოვოს დაწესებულება უქმე და დასვენების დღეებში მის ოჯახთან დროის გატარების მიზნით, რაც ხელს შეუწყობს მათ შორის მსჯავრდებუთან ხანგრძლივი პატიმრობის გამო წარმოშობილი გაუცხოვების დაძლევაში და შემცირებული ემოციური კავშირის გაძლიერებაში, რაც განიხილება რესოციალიზაციის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად. პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის შეფასებისას გადაწყვეტილების მიმღები ორგანო ერთ-ერთ კრიტერიუმს აფასებს - ოჯახურ პირობებს. პატიმრის მიერ ოჯახთან კავშირით, განსაკუთრებით თავისუფალ გარემოში მათი ერთად ყოფნით სასამართლო შედარებით მარტივად შეაფასებს მსჯავრდებულის ოჯახურ

---

[115] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია № R (2014) 4 წევრი სახელმწიფოების მიმართ ელექტრონული მონიტორინგის შესახებ, პუნქტი 4

[116] მ. შალიკაშვილი, გ. მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, სახელმძღვანელო, მეორე გამოცემა, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016, გვ. 134-135

მდგომარეობას, კერძოდ მძიმე დანაშაულის ჩადენის გამო, მსჯავრდებული ხომ არ არის უარყოფილი მისი ოჯახის წევრების მიერ და ხომ არ დარჩება საზოგადოების წინაშე მარტო, რომელსაც მხოლოდ პაემნების ოდენობის მიხედვით ვერ შევაფასებთ. პარალელურ რეჟიმში სოციალური მუშაკების მიერ გამოკითხულ უნდა იქნენ ოჯახის წევრები, იმასთან დაკავშირებით, მზად არიან თუ არა მიიღონ მსჯავრდებული როგორც სრულფასოვან ოჯახის წევრად, შეძლებენ თუ არა მის მხარდაჭერას და სხვ.

და ბოლოს, როდესაც საქმე ეხება გრძელვადიან პატიმრებს, გასათვალისწინებელია როგორ იმოქმედა მათზე ამდენ წლიანმა პატიმრობამ, შეძლებენ თუ არა გათავისუფლების შემთხვევაში საზოგადოებაში თავის დამკვიდრებას და რაც მთავარია ახალი დანაშაულის ჩადენისგან თავის შეკავებას. აღდგენითი მართლმსაჯულება მსჯავრდებულის ნაწილში, გულისხმობს მსჯავრდებულისათვის ვალდებულებების დაკისრებას, რადგან საბოლოოდ მსაჯვრდებულმა გაითავისოს მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, რაც გახდება მსჯავრდებულისთვის დანგრეული ცხოვრების აღდგენის საფუძველი.[117] „სასჯელმა თავის მიზანს შეიძლება მიაღწიოს, როდესაც იგი მიზანშეწონილი, თანაზომიერი და სამართლიანია“, ხოლო სასჯელის ინდივიდუალიზაცია, როგორც სამართლიანი სასჯელის წინაპირობა, კანონის და სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის მიზნის შესრულების აუცილებელი წინაპირობაა.[118] ინდივიდუალიზაციის პრინციპი დაცულ უნდა იქნეს, არა მარტო სასჯელის დანიშვნისას, არამედ სასჯელის აღსრულების ფორმის განსაზღვრისას.

ინდივიდუალიზაციის პრინციპი ფართო გაგებით მოიცავს არა მარტო სასჯელის დანიშვნას, არამედ კონკრეტული სასჯელის აღსრულების ფორმის განსაზღვრას ინდივიდუალურად, რაც უვადო თავისუფლებააღკვეთილების შემთხვევაში განხორციელდება ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე, მისი კრიმინალური ენერგიის, წარსული ცხოვრების ზოგადი წესის და სასჯელისადმი ფსიქოლოგიური დამოკიდებულების გათვალისწინებით. სწორედ ჩემს მიერ შეთავაზებული საკონანმდებლო იდეებით, რა დროსაც ეტაპობრივად მოხდება მსჯავრდებულის გადაყვანა ჯერ ნახევრად ღია დაწესებულებაში, შემდგომ გათავისუფლებისათვის მომზადების დაწესებულებაში და მას მისი ქცევის შესაბამისად მიეცემა უფლება ჯერ გავიდეს დაწესებულებიდან სამუშაოს ან განათლების მიღების მიზნით, და შემდგომ უკვე უქმე დღეებში, საბოლოოდ ხელს შეუწყობს აღდგენითი მართლმსაჯულების რეალურ და ეფექტურ განხორციელებას. სწორედ კარგად დაგეგმილი სასჯელის მოხდა

[117] სახელმძღვანელო კურსისთვის: სოციალური მუშაობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში, თბ. 2014, გვ. 47

[118] მ. ლეკვეიშვილი, სასჯელის ინდივიდუალიზაცია, როგორც სასჯელის შეფარდების მნიშვნელოვანი პრინციპი; სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბ. 2016, გვ.199-200

გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს „წააქეზებს“ მიიღოს თამამი გადაწყვეტილება და გაათავისუფლოს უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირი ვადამდე შესაბამისი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში. გათავისუფლების მატერიალური საფუძვლების მიღება შესაძლებელია მხოლოდ დაწყებული სათანადო საშიშროების რისკის შეფასებით, ასევე ინდივიდუალური გეგმის შედგენით და საბოლოოდ გათავისუფლების დაწესებულებაში მოთავსებით, რომელიც მისცემს მსჯავრდებულს „ნორმალურ ცხოვრებასთან“ მიახლოებულ პირობებში ცხოვრების შესაძლებლობას. თუ საბოლოო ჯამში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულის გათავისუფლების შესახებ, გათავისუფლებისათვის მომზადების დაწესებულებაში უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებული აქ ყოფნით იღებს იმ ბენეფიტს, რომ მთელი ცხოვრება არ მოუწევს ყოფნა დახურული/მაღალი რისკის დაწესებულებაში, სადაც ფაქტიურად სასჯელის მოხდის რეჟიმი უტოლდება დამატებით სასჯელს.

თავი III. სასამართლოს მიერ საკითხის განხილვა

ნაშრომში წარმოდგენილი პრობლემა კიდევ უფრო აქტუალური ხდება სასამართლო განხილვის ეტაპზე, რამდენადაც სწორედ ამ დროს ფასდება მსჯავრდებულის მიმართ მანამდე გატარებული ღონისძიებების ეფექტურობა და მათ საფუძველზე კი საპატიმრო სასჯელის მოხდის გაგრძელების მიზანშეწონილობა. უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირების პირობით გათავისუფლების დისკრეცია სასამართლოს არცთუ ისე დიდიხანია მიენიჭა, თუმცა პრაქტიკით ცხადი ხდება, რომ დადებითი გადაწყვეტილების მიღება გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული და იმ შემთხვევაშიც კი თუ, ერთი შეხედვით, გათავისუფლების ყველა პირობა - როგორც ფორმალური, ასევე მატერიალური სახეზეა, სასამართლო თავს იკავებს მსგავსი გადაწყვეტილების მიღებისაგან და არ აკმაყოფილებს მსჯავრდებულის შუამდგომლობას მინიმალური დასაბუთებით, დანაშაულის ჩადენის აბსტრაქტულ საფრთხეზე, უკვე ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეზე ანდა სხვა გარემოებაზე მითითებით. ასეთი მიდგომა კი წარმოშობს სამართლებრივ სივრცეს, სადაც უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირებს პირობით გათავისუფლების უფლება აქვთ მხოლოდ საკანონმდებლო დონეზე და არა რეალურად, რომლის გამომწვევი მიზეზები უნდა იქნეს გაანალიზებული კომპლექსურად - როგორც საკანონმდებლო, ისე პრაქტიკულ ჭრილში.

§1.უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულის გათავისუფლების საკანონმდებლო საფუძვლების ანალიზი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 72^1-ე მუხლის თანახმად, სასამართლო უფლებამოსილია სასჯელის შემდგომი მოხდისაგან პირობით გაათავისუფლოს უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირი, თუ <u>მას ფაქტობრივად მოხდილი აქვს ოცი წელი</u>. ამასთან, სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს *„დანაშაულის ხასიათის, მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდისას გამოვლენილი ქცევის, მის მიერ*

წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტის, ნასამართლობის, დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკის, ოჯახური პირობებისა და მსჯავრდებულის პიროვნების გათვალისწინებით.“

შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებულის შუამდგომლობა ფორმალურ შესაბამისობაშია კანონის მოთხოვნებთან და მოხდილი აქვს მინიმუმ ოცი წელი, სასამართლო ზემოთმოცემული მატერიალური კრიტერიუმების შეფასების შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას შუამდგომლობის დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

მნიშვნელოვანია, რომ სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას არამარტო ფორმალური მითითება გააკეთოს შესაფასებელ გარემოებებზე, არამედ თითოეული მათგანი გააანალიზოს საქმის ინდივიდუალურ გარემოებებთან მიმართებით, რათა სწორად მოახდინოს გათავისუფლების კრიმინალური პროგნოზი, რამდენადაც არახელსაყრელმა (არასწორმა) პროგნოზმა შესაძლოა უსამართლოდ „დააკარგინოს“ თავისუფლება პირს, რაც მას მნიშვნელოვან ტკივილს აყენებს.[119] ამან კი შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს მანამდე გატარებული ღონისძიებებით მიღწეულ დადებით ეფექტზე და „დააშოროს“ მსჯავრდებული რესოციალიზაციის პროცესს. დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობა კი სწორედ თითოეული გარემოების სიღრმისეული ანალიზია. ამ კუთხით, საინტერესოა თეორიულ დონეზე განვიხილოთ კანონით გაწერილი ესა თუ ის გარემოება რა შემთხვევაში შეიძლება მიიჩნიოს შემფასებელმა მსჯავრდებულის სასარგებლოდ ანდა პირიქით, საუარესოდ.

1.1.სასამართლოს მიერ შესაფასებელი გარემოებები

<u>დანაშაულის ხასიათი</u> - მოცემული გარემოების შეფასება სხვა გარემოებებთან შედარებით მოითხოვს სპეციფიურ მიდგომას რამდენიმე თვალსაზრისით, კერძოდ: 1.სასჯელის სახით უვადო თავისუფლების აღკვეთა ინიშნება მხოლოდდამხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში და შესაბამისად, „დანაშაულის ხასიათი“ ვიწრო გაგებით ყოველთვის გამოირჩევა მომეტებული საშიშროებით, რომელზე მითითებით და დაყრდნობით, მისი ცალკეული ელემენტების გაანალიზების გარეშე, სასამართლოს ყოველთვის შეეძლება უარის თქმა მსჯავდებულის გათავისუფლებაზე; 2.აღნიშნული კრიტერიუმი, როგორც სასჯელის დანიშვნისას მხედველობაში მისაღები გარემოება, საწყის ეტაპზე უკვე შეფასებულია სასამართლოს მიერ და „დამძიმებულია“ მსჯავრდებულის მდგომარეობა; 3. წარმოადგენს იმ უცვლელ გარემოებას, რომლის „გამოსწორება“ მიუხედავად რესოციალიზაციის პროცესის წარმატებით გავლისა,

[119] მ. შალიკაშვილი, დ. ჩიხლაძე, პირობით ვადამდე გასათავისუფლებელი მსჯავრდებულისათვის რისკ-ფაქტორების შეფასების კრიმინოლოგიური ანალიზი, თბილისი/ბერლინი, 2013, გვ.18

მსჯავრდებულს არ შეუძლია და შესაბამისად, მისი გადაჭარბებული და კვლავ იმავე ხარისხით გათვალისწინება, როგორც სასჯელის დანიშვნის დროს, შეიძლება ითქვას, რომ გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოსთან „უთანასწორო ბრძოლაში“ ჩააბამს მსჯავრდებულს.

აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ სასამართლოს მიერ აღნიშნული გარემოების ზედაპირული და ამავდროულად, პრიორიტეტული გათვალისწინებით მსჯავრდებულს „ხელიდან ეცლება“ კანონით მინიჭებული გათავისუფლების შესაძლებლობა და იგი შეფასებულ უნდა იქნეს სხვა კრიტერიუმებთან ერთიობლიობაში. სამწუხაროდ, საქმეზე რომელიც ეხებოდა უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირის პირობით ვადამდე გათავისუფლებას, თბილისის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა, რომელიც ასევე გაიზიარა თბილისის სააპელაციო სასამართლომ და შემდეგი დასაბუთებით: „ის გარემოება, რომ მსჯავრდებული იყო ნასამართლობის არმქონე, ხასიათდება დადებითად პენიტენციური დაწესებულების შესაბამისი თანამშრომლის მიერ, მიღებული აქვს მონაწილეობა სოციალურ - სარეაბილიტაციო პროგრამებში, არ გააჩნია დარღვევები და ა.შ. ყოველთვის არ წარმოადგენს გადამწყვეტ ფაქტორს გათავისუფლებისათვის,“ რამდენდაც მხვედელობაში მიიღო „ძალადობრივ ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება და დანაშაულთა ხასიათი,“ ამავდროულად მიუთითა, რომ არ აქვს ინფორმაცია დანაშაულის ჩადენის რისკის შესახებ.[120] გაუგებარია, რა ინფორმაციას გულისხმობდა დანაშაულის ჩადენის რისკის განსაზღვრისთვის სასამართლო და ასეთი ინფორმაციის არ ქონა, რატომ არ იქნა მის სასარგებლოდ განმარტებული. ზემოთ ხსენებული გადაწყვეტილება პირდაპირ მიუთითებს პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე უარის თქმის საფუძველს - მხოლოდ დანაშაულის ხასიათს, რაც განაპირობებს პვგ-ს გამოუყენებლობას.

<u>მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდისას გამოვლენილი ქცევა-</u> აღნიშნულ გარემოებაში მოიაზრება საპატიმრო დაწესებულების რეჟიმის დამორჩილება და შესაბამისი პირების კანონიერი მოთხოვნის შესრულება, აგრეთვე, მისი მზადყოფნა მონაწილეობა მიიღოს გარკვეულ ღონისძიებებში, განივითაროს სამუშაო და სხვა პროფესიული უნარ-ჩვევები, კომუნიკაციის უნარი და დამოკიდებულება როგორც დაწესებულების თანამშრომლებთან, ისე სხვა მსჯავრდებულებთან და ა.შ. ამასთან, მნიშვნელოვანია შეფასდეს მისი ქცევის დინამიკა და სტაბილურობა, რითაც შეფასდება მსჯავრდებულის ნების სიმტკიცე - გამოსწორდეს და სრულფასოვან წევრად დაუბრუნდეს საზოგადოებას.

ამ კუთხით მნიშვნელოვანია მსჯავრდებულის ქცევის დაკვირვება შედარებით თავისუფალ გარემოში, რაც მიიღწევა წარმოდგენილი ნაშრომის მე-2 თავში განხილული ზემოთ უკვე დასახელებული შესაძლებლობებით (რისკების პერიოდული გადაფასებით

[120] თბილისი სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 5 აპრილის განჩინება

და შესაბამისი ტიპი დაწესებულებაში, მათ შორის, გათავისუფლების მომზადების დაწესებულებაში მოთავსებით), რაც სასამართლოს მისცემს შესაბამისი დასკვნების და პროგნოზის გაკეთების საშუალებას.

<u>მსჯავრდებულის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტი და ნასამართლობა</u> - მოცემული კრიტერიუმის თანახმად, სასამართლომ უნდა შეამოწმოს მსჯავრდებულის წარსული ცხოვრება, რაშიც არ იგულისმება ის დანაშაული, რისთვისაც მას განსაზღვრული აქვს უვადო თავისუფლების აღკვეთა. მსჯავრდებულის წარსული ცხოვრების შეფასება ნიშნავს პიროვნების რეპუტაციის შეფასებას, რა დროსაც „მისი ცხოვრების ყველა მომენტი მნიშვნელოვანია." [121] სახელმძღვანელოებში აღნიშნულია, რომ ნასამართლობასთან მიმართებით უნდა გამოირკვეს, საქმე გვაქვს თუ არა ე.წ. „კარიერულ დამნაშავესთან" და თუ აღმოჩნდება, რომ პირი მიდრეკილია იგივეობრივი, განსაკუთრებით კი ძალადობრივი დანაშაულის ჩადენისაკენ, აღნიშნული უნდა განიხილებოდეს ბრალდებულის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად. [122] ამგვარი მიდგომა უნდა გაავრცელოს სასამართლომ მსჯავრდებულთან მიმართებითაც, თუმცა, საყურადღებოა კანონმდებლის ნება, რამდენადაც ჩანაწერიდან გამომდინარე მხედველობაში მიიღება მსჯავრდებულის მიერ წარსულში ჩადენილი ისეთი ქმედებაც, რომლისთვისაც მას ნასამართლობა გაქარწყლებული აქვს. გარკვეული თვალსაზრისით, აღნიშნული ჩანაწერი შესაძლოა წინააღმდეგობაში მოდიოდეს სისხლის სამართლის კოდექსის იმ ნორმასთან, რომლის მიხედვითაც გაქარწყლებული ნასამართლობა მხედველობაში არ მიიღება ნებისმიერი სახის სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების საკითხის გადაწყვეტისას, თუმცა, რამდენადაც საქმე ეხება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენ და შესაძლოა, მომეტებული საშიშროების მქონე პირის გათავისუფლებას, კანონმდებლის ამგვარი მიდგომა გამართლებულია იყოს სახელმწიფოს ვალდებულებით, უზრუნველყოს საზოგადოების უსაფრთხო გარემოში თანაცხოვრება.

<u>დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკი-</u> აღნიშნული წარმოადგენს სასამართლოს მიერ მსჯავრდებულისათვის გათავისუფლებაზე უარის თქმის კიდევ ერთ აქტუალურ საფუძველს, რომლის შეფასებისას მითითება ხდება როგორც წესი ისევდაისევ მის მიერ ჩადენილ მომეტებული საშიშროების დანაშაულზე და მოსამართლის მიერ ამით ფასდება დანაშაულის რეციდივის აბსტრაქტული საფრთხე, რაც ასევე არ არის გამართლებული. [123] ფაქტობრივად, აღნიშნული კრიტერიუმი არის გადამწყვეტი

---

[121] ალ. იაშვილი, სახელმძღვანელო წინადადებები, სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე, თბ. 2015, გვ. 198.

[122] ალ. იაშვილი, სახელმძღვანელო წინადადებები, სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე, თბ. 2015, გვ.198

[123] თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილ 2019 წლის 21 მარტის განჩინებაში, სასამართლო მიუთითებს უარის თქმის საფუძვლად დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკს.

მოსამართლის მიერ გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, რა დროსაც მოსამართლე ეყრდნობა ე.წ. ინტუიციურ მეთოდს, რაც გულისხმობს მსჯავრდებულის ქცევის სუბიექტურ შეფასებას საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილებისა და „ჯანსაღი ადამიანური შეგნების მიხედვით.“[124] ამავდროულად, მოსამართლეზე გავლენას ახდენს საზოგადოების წინაშე არსებული პასუხისმგებლობის გრძნობა, რათა სავარაუდო მოძალადის გათავისუფლებით საფრთხე არ შეუქმნას მათ და სწორედ ამ აბსტრაქტული საფრთხის, რომელიც შესაძლოა არც კი იყოს რელევანტური, თავიდან აცილების მიზნით უარი ეთქმევათ მსჯავრდებულებს. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია სახელმწიფო ატარებდეს კომპლექსურ ღონისძიებებს და სასამართლოსათვის ცნობილი იყოს კონტროლის ეფექტური მექანიზმების შესახებ, რითაც მაღალი ალბათობით თავიდან იქნება აცილებული გათავისუფლებული მსჯავრდებულის მიერ შესაძლო დანაშაულის ჩადენა და დაცული იქნება საზოგადოება მისგან მომდინარე საფრთხისაგან.

<u>ოჯახური პირობები და მსჯავრდებულის პიროვნება</u> - ოჯახის ქონა და ოჯახის წევრებთან ერთად მომავლის რეალური დაგეგმვა მიიჩნევა მსჯავრდებულის გათავისუფლებისათვის ხელსაყრელ პირობად,[125] რამდენადაც, მსჯავრდებულის მჭიდრო ემოციური კავშირი სოციალურად მისაღები ცხოვრების წესის მქონე ოჯახის წევრებთან, პარტნიორთან და სხვა ახლობელ ადამიანებთან წარმოადგენს ერთგვარ საშუალებას მსჯავრდებულის გამოსწორებისათვის. მნიშვნელოვანია აგრეთვე, მსჯავრდებულს მიმღები სოციუმი აკმაყოფილებდეს ცხოვრების ნორმალურ პირობებს (მაგ., სტაბილური შემოსავალი და სამუშაო ადგილი). მსჯავრდებულის ოჯახის წევრების და მათი დამოკიდებულების შესახებ ინფორმაცია სასამართლოს შეუძლია მიიღოს მსჯავრდებულის პირადი საქმიდან (მაგ. პაემნების აღრიცხვის ფურცელი), ასევე დამატებით სასურველია სასამართლომ მოიწვიოს მსჯავრდებულის ოჯახის წევრები ან ახლო ნათესავები და უშაულოდ მათგან გამოარკვიოს რამდენად აქვთ მზაობა მიიღონ და დაეხმარონ მსჯავრდებულს გათავისუფლების შემთხვევაში. სამწუხაროდ, სასამართლო პროცესების დაკვირებამ აჩვენა, რომ სასამართლო საკითხის განხილვის პროცესში მსგავს შესაძლებლობას არ იყენებს.

მსჯავრდებულის პიროვნებისათვის დადებით მახასიათებლებად განიხილება მისი დამოკიდებულება ჩადენილ დანაშაულთან, კერძოდ, გულწრფელი სინანული ჩადენილი ქმედების და დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის გამო, დაზარალებულის მიმართ ემპათია, აგრეთვე მსჯავრდებულის ემოციური სიმშვიდე და არაკონფლიქტური ურთიერთობის უნარი ციხის ადმინისტრაციასთან და სხვა მსჯავრდებულებთან, პროფესიული უნარ-ჩვევები და მისწრაფება ახალი ცოდნის მიღებისაკენ და ა.შ.

---

[124] მ. შალიკაშვილი, დ. ჩიხლაძე, პირობით ვადამდე გასათავისუფლებელი მსჯავრდებულისათვის რისკ-ფაქტორების შეფასების კრიმინოლოგიური ანალიზი, თბილისი/ბერლინი, 2013, გვ.23

[125] მ. შალიკაშვილი, დ. ჩიხლაძე, პირობით ვადამდე გასათავისუფლებელი მსჯავრდებულისათვის რისკ-ფაქტორების შეფასების კრიმინოლოგიური ანალიზი, თბილისი/ბერლინი, 2013, გვ. 83

გარდა კანონით გათვალისწინებული ზემოაღნიშნული გარემოებებისა, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს სხვა გარემოებები, რომლებიც ინდივიდუალურად ახასიათებს მსჯავრდებულს და შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს გადაწყვეტილების მიღების პროცესზე. აღსანიშნავია, რომ პირობით ვადამდე გათავისუფლებისას შესაფასებელ კრიტერიუმებში არ გხვდება ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, როგორიცაა ***დაზარალებულის პოზიცია.*** ინგლისისა და უელსის კანონმდებლობით მნიშვნელოვანი ადგილი უკავია დაზარალებულს პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისას, კერძოდ დაზარალებულს უფლება აქვს პირობით ვადამდე გათავისუფლების საბჭოს მიაწოდეს წინადადებები გამოსაცდელი ვადის განმავლობაში მსჯავრდებულისათვის დასაკისრებელი მოვალეობების შესახებ და თავის მხრივ საბჭო ვალდებულია დაზარალებულს მიაწოდოს ინფორმაცია მსჯავრდებულისათვის დაკისრებული მოვალეობების შესახებ. დაზარალებულს შეუძლია ზეპირი მოსმენის დროს მისცეს გათავისუფლების საბჭოებს ახსნა - განმარტება.[126] ერთის მხრივ დადებითად უნდა შეფასდეს დაზარალებულის ჩართულობა, რომლის საფუძველზეც სასამართლო შეძლებდა უკეთ შეეფასებინა როგორც მსჯავრდებულის დამოკიდებულება დაზარალებულის მიმართ, ასევე ახალი დანაშაულის ჩადენის რისკი, კერძოდ რიგ შემთხვევებში თვითონ პირობით ვადამდე გათავისუფლებული მსჯავრდებული შეიძლება გახდეს დანაშაულის მსხვერპლი - დაზარალებულის მხრიდან შურისძიების ნიადაგზე. დამატებით დაზარალებულის პოზიციის მოსმენა უზრუნველყოფს არამარტო დაზარალებულის ინფორმირებულობას, არამედ მასში დაუცველობის გრძნობის შემცირებასა და მისი როგორც დაზარალებულის მნიშვნელობის გათვალისწინებას სახელმწიფოს მხრიდან. მეორეს მხრივ ზეპირ მოსმენაში მონაწილეობამ შეიძლება გაუზარდოს დაზარალებულს შიში (განხორციელდეს მეორეული ვიქტიმიზაცია),[127] რაც თავიდან უნდა იქნას აცილებული სახელმწიფოს მხრიდან დაზარალებულთან ფსიქოლოგიური მუშაობითა და ინფორმირებულობით. შესაბამისად დაზარალებულის როლის გაზრდასთან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისას, საჭიროებს მეტი სიფრთხილით მიდგომას. სასურველი იქნება იმგვარი საკანონმდებლო რეგულაციების შემუშავება დაზარალებულის ნაწილში, რომელიც მოქმედებს ინგლისსა და უელსში.

მსჯავრდებულის მიერ გათავისუფლების შემდეგ დანაშაულის რეციდივის მაქსიმალური სიზუსტით განსაზღვრისათვის აუცილებელია გაკეთდეს მსჯავრდებულის მთლიანი „ინდივიდუალური კრიმინალური პროგნოზი", რაც გარდა პიროვნულობის ტესტისა და ახლო სოციალური წრის შესახებ ინფორმაციისა, მოიცავს საჭირო

[126] Nicola Padfield, Dirk van Zyl Smit and Frieder Dunkel, Release from prison, European policy and practice, First published 2010, p. 131

[127] მ. შალიკაშვილი, დ. ჩიხლაძე, პირობით ვადამდე გასათავისუფლებელი მსჯავრდებულისათვის რისკ-ფაქტორების შეფასების კრიმინოლოგიური ანალიზი, თბილისი/ბერლინი, 2013, გვ. 132

ინფორმაციას „სოციალური და ეკონომიკური პირობების, ცვლილებების (მაგ. საზოგადოების სოციალური დეზორგანიზაციის ხარისხი)...“ და სხვა ისეთი ფაქტორების შესახებ, როემლსაც ზეგავლენის მოხდენა შეუძლია მსჯავრდებულის ცხოვრებაზე.[128]

სოციალური სახელმწიფოს, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილია სასამართლო, ვალდებულებაა გაითვალისწინოს ქვეყანაში არსებული როგორც სოციალურ-ეკონომიკური ვითარება, აგრეთვე კრიმინალური მდგომარეობა და სისხლის სამართლის პოლიტიკა, რამაც რიგ შემთხვევებში შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს პირის დამნაშავედ გახდომაზე. კერძოდ, საქართველოს რეალობის გათვალისწინებით, მხედველობაშია მისაღები ის გარემნოება, რომ 20 წლიანი პერიოდის ინტერვალით არსებითად შეცვლილია ქვეყანაში არსებული კრიმინალური ვითარება, რამდენადაც 1990-2000 წლების მწვავე პრობლემად სწორედ კრიმინოგენური მდგომარეობა სახელდება, სადაც უკონტროლოდ იყო შესაძლებელი ცეცხლსასროლი იარაღის ბრუნვა, რასაც თან ახლდა სამართალდამცავი ორგანოებისადმი უნდობლობა და კანონისადმი უპატივცემულობა, აგრეთვე მძიმე სოციალური ფონი, ყოველივე აღნიშნული კი მთლიანობაში იწვევდა მძიმე ძალადობრივ დანაშაულების ჩადენას. დღეის მდგომარეობით, კრიმინოგენური მდგომარეობის არსებითი გაუმჯობესება და დანაშაულის კონტროლის მექანიზმების ეფექტური ფუნქციონირება განხილულ უნდა იქნეს დადებით ფაქტორად და ხელს უწყობდეს გათავისუფლების შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღებას.

1.2.საქმის განხილვის წესი და პროცესში მონაწილე პირები (სავალდებულო და არასავალდებულო)

საქართველოს სისხლის სამართლი საპროცესო კოდექსის 285[1]-ე მუხლის თანახმად, სასამართლო მსჯავრდებულის შუამდგომლობას პირობით გათავისუფლების შესახებ განიხილავს ზეპირი მოსმენით, რაც დადებით საკანონმდებლო ცვლილებად უნდა განვიხილოთ, რადგან სასამართლოს აქვს შესაძლებლობა, უშუალოდ მოუსმინოს მსჯავრდებულს, რაც ზრდის მისი პიროვნების შესწავლის შესაძლებლობას. ამასთან, სსსკ-ის 285[1] მუხლის მიხედვით სასამართლო საკითხს მსჯავრდებულის პირობით გათავისუფლების შესახებ განიხილავს თავად მსჯავრდებულისა და სპეციალური <u>პენიტენციური სამსახურის წარმომადგენლის სავალდებულო მონაწილეობით</u>. სპეციალური პენიტენციური სამსახურის წარმომადგენლის მონაწილეობა მიზნად ისახავს მსჯავრდებულის შუამდგომლობის შესახებ პოზიციის დაფიქსირებას, რომლის გათვალისწინების ვალდებულება სასამართლოს არ აკისრია. სასამართლო პროცესებზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ წარმომადგენლის სახით მონაწილეობას იღებს სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის სამართლებრივი

[128] იხ. იქვე, გვ. 27-28

უზრუნველყოფისა და სასამართლოებში წარმომადგენლობის სამმართველოს სპეციალისტი, რომელიც მსჯავრდებულის პიროვნებისა და სასჯელის მოხდის გაგრძელების მიზანშეწონილობის შესახებ პოზიციას აფიქსირებს იმავე დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე, რომელიც სასამართლოშია წარმოდგენილი და რაიმე დამატებითი ინფორმაციის მიწოდების შესაძლებლობას მოკლებულია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასურველია, რომ შუამდგომლობის გულისხმიერად და ყველა გარემოების გამოკვლევის მიზნით, სასამართლო პროცესში მოწმის სახით მოწვეული იქნენ ის პირები, რომლებსაც სასჯელის მოხდის პერიოდში უშუალო შეხება აქვთ მსჯავრდებულთან და შეუძლიათ მის შესახებ გარკვეული დასკვნების გაკეთება, მაგალითად, ფსიქოლოგი ან სოციალური მუშაკი, რომლებსაც პროფესიულ დონეზე შეუძლიათ მსჯავრდებულის ფსიქოლოგიური და პიროვნული თავისებურებების შესახებ სასამართლოს ინფორმირება; აგრეთვე, სასურველია გათავისუფლების შემდეგ მსჯავრდებულის საცხოვრებელი პირობების გამორკვევის მიზნით, მიმღები სოციუმიდან მსჯავრდებულთან ახლო კავშირის მქონე პირების (ოჯახის წევრი, პატრნიორი და სხ.) გამოკითხვა, რომელთაც შეუძლიათ მსჯავრდებულისათვის ფინანსური და სხვა სახის დახმარების გაწევა თავისუფალ გარემოში ადაპტაციის ეტაპზე.

სასამართლო მიერ საკითხის ამგვარი განხილვის შედეგად თავიდან იქნება აცილებული მსჯავრდებულისათვის პატიმრობის „გაუმართლებელი გაჭიანურება“, მაშინ როდესაც სახეზეა პირობით ვადამდე გათავისუფლებისათვის საჭირო წინაპირობები და პატიმარი აკმაყოფილებს „კანონმორჩილი მოქალაქის მინიმალურ მოთხოვნებს“ და არ უქმნის საფრთხეს საზოგადოებას, [129] შესაბამისად კი შემცირებულია მისი მხრიდან დანაშაულის რეციდივის რისკი, რომლის სრულად გამორიცხვის პროგნოზირება შეუძლებელია. ასეთი პირის პირობით ვადამდე გათავისუფლება და მასზე ეფექტური ზედამხედველობით სრულად იქნება მიღწეული სასჯელის რესოციალიზაციის მიზანი.

[129] მ. შალიკაშვილი, დ. ჩიხლაძე, პირობით ვადამდე გასათავისუფლებელი მსჯავრდებულისათვის რისკ-ფაქტორების შეფასების კრიმინოლოგიური ანალიზი, თბილისი/ბერლინი, 2013, გვ.71

თავი IV. პირობით ვადამდე გათავისუფლებულ მსჯავრდებულთა გამოსაცდელი პერიოდი

როგორც აღვნიშნე, პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტემის უპირატესობა სხვა გათავისუფლების სისტემებთან არის გარკვეული პირობის დაწესება გათავისუფლებული პირებისათვის, კონკრეტულად უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირების შემთხვევაში - გამოსაცდელი ვადის დადგენა. გამოსაცდელ პერიოდში სახელმწიფოს ვალდებულებას წარმოადგენს ზედამხედველობა, რომელიც გულისხმობს როგორც მსჯავრდებულის კონტროლს, ისე მის დამხრებას. სსკ-ს 66-ე მუხლის მიხედვით უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულის გათავისუფლების შემთხვევაში გამოსაცდელ პერიოდში კონტროლს და დახმარებას უწევს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო. სახელმწიფოში სათანადო კონტროლის და დახმარების მექანიზმის არსებობა გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს - სასამართლოს ასევე დამატებით უბიძგებს, გათავისუფლების მატერიალური საფუძვლების არსებობისას, გამოიყენოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 72[1] მუხლი და გაათავისუფლოს უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირი. საქართველოს იუსტიციის მინისტრის №391 ბრძანების „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“, მუხლი 2, ნაწ. 1(დ)-ს მიხედვით პრობაციის ეროვნული სააგენტოს მთავარ მიზანს წარმოადგენს „მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია (მათი საზოგადოებაში

ინტეგრაცია) და რეაბილიტაცია (მსჯავრდებულთა გამოსწორება და საზოგადოებაში ჯანსაღ წევრებად დაბრუნება)“, შესაბამისად პრობაციის ეროვნულმა სააგენტომ ყველა სათანადო ღონისძიება უნდა გაატაროს უკვე ყოფილ პატიმართა საბოლოო რესოციალიზაციისთვის, რადგან ეს არის ბოლო „*საფეხური*“ საზოგადოებაში დაბრუნებისთვის. მსჯავრდებულის სრული რესოციალიზაციის მიზნით, მის გათავისუფლებამდე სასურველია სოციალური სამსახურის მიერ მოხდეს მსჯავრდებულის გათავისუფლების შემდგომი პრობლემებისა და საჭიროებების იდენტიფიცირება და მათ შესაბამისად, გამოსაცდელი ვადის დაგეგმვა, რომლის მიმდინარეობისას სათანადო კონტროლი უნდა განახორციელოს პრობაციის ოფიცერმა.

§1. მსჯავრდებულის გამოსაცდელი ვადა

განსხვავებით ვადიანი თავისუფლებაღკვეთილისა, უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირის პირობით გათავისუფლების შემთხვევაში სსკ-ის 64-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე სასამართლო ნიშნავს გამოსაცდელ ვადას არანაკლებ 2 და არაუმეტს 7 წლისა. გამოსაცდელი ვადის პერიოდში მსჯავრდებულმა არ უნდა ჩაიდინოს ახალი დანაშაული და სათანადოდ უნდა შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა. გამოსაცდელ ვადაში განზრახი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში მოხდება სასჯელის დანიშვნა განაჩენთა ერთობლიობის წესით, რაც გულისხმობს პირობითად ჩათვლილი სასჯელის მოუხდელი ნაწილის „გაცოცხლებას“ და უვადო თავისუფლების აღკვეთის მოხდის გაგრძელებას. სწორედ გამოსაცდელი ვადა არის ერთგვარი „შემბოჭავი“ მსჯავრდებულის, რამდენადაც მსჯავრდებულს კარგად გააზრებული აქვს აღნიშნულ ვადაში მოვალეობის დარღვევის და დანაშაულის ჩადენის შედეგები. გამოსაცდელი ვადა უნდა იყოს გონივრული - ჩადენილი დანაშაულის ხასიათის და მსჯავრდებულის პიროვნების შესაბამისი, ხელს უნდა უწყობდეს თავისუფლებაში მყოფი, მაგრამ კონტროლს დაქვემდებარებული მსჯავრდებულის რესოციალიზაციას, ხოლო გამოსაცდელი ვადის დასრულების შემდგომ მსჯავრდებულის სრულ რეინტეგრაციასა და რეაბილიტაციას.

პირობით გათავისუფლებული უვადო თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულთათვის გამოსაცდელი ვადის დადგენა მათზე კონტროლისა და დახმარების განხორციელების მიზნით დადებითად უნდა შეფასდეს, თუმცა გარკვეულ შეუსაბამობას წარმოშობს ასეთ შემთხვევაში გამოსაცდელი ვადის მინიმუმის გათანაბრება იმ პირებთან, რომელთაც სასჯელი განესაზღვრა სასჯელთა შეკრების პრინციპით, მათ შორის, შესაძლოა ნაკლებად მძიმე დანაშაულების ჩადენის შემთხვევაშიც კი. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს აქვს დისკრეცია გამოსაცდელი ვადის დადგენისას, ვფიქრობ, უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირების შემთხვევაში მინიმალური ვადის - 2 წლით

განსაზღვრა შეუსაბამოდ მცირეა გამოსაცდელი ვადის მიზნებთან (კონტროლისა და დახმარების მეშვეობით საბოლოო რესოციალიზაცია) და ზოგიერთ შემთხვევაში, აშკარად არათანაბარი საშიშროების მქონე პირებს აყენებს თანაბარ მდგომარეობაში, რამაც შესაძლოა საფუძვლიანად გამოიწვიოს უსამართლობის განცდა. უვადო თავისუფლებააღვეთილი პირები, რომლებიც მინიმუმ 20 წელი მოწყვეტილნი არიან საზოგადოებას, ფაქტობრივად ხელახლა უწევთ გისოსებს მიღმა ცხოვრების შესწავლა. სწორედ აქედან გამომდინარე აღნიშნული მსჯავრდებულები წარმოადგენენ „მოწყვლად" კატეგორიას და გამოსაცდელი ვადის 2 წლიან პერიოდში რთულია/შეუძლებელია როგორც <u>სათანადოდ კონტროლი და დაკვირვება,</u> ისე მათთვის <u>სათანადო დახმარება</u>, რამაც შესაძლოა მოახდინოს მათი მხრიდან დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების პროვოცირება და შესაბამისად, მიგვიყვანოს ხელახალი მსჯავრის დადებამდე.

§2. გამოსაცდელ ვადაში მსჯავრდებულის კონტროლის და დახმარების მექანიზმი

სოციალური სახელმწიფოს ვალდებულებაა დაიცვას ყველა მოქალაქის ინტერესი. სასამართლოს მიერ დანიშნული გამოსაცდელი ვადის აღსრულება უნდა განხორციელდეს სხვადასხვა ღონისძიებებით, რომელიც დაკავშირებული იქნება ყოფილი მსჯავრდებულის სოციალურ ჩართულობასთან და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის მიზნით განხორციელებულ ზედამხედველობასთან, ხელმძღვანელობასა და დახმარების აღმოჩენასთან.[130] უვადო თავისუფლებააღკვეთილი პატიმრის სასჯელისგან გათავისუფლების შემთხვევაში, დღის წესრიგში დგება შემდეგი 2 საკითხი: 1. ***<u>ოჯახური პრობლემები</u>*** - პატიმრობის პერიოდში სახელმწიფომ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ აცილებულ იქნეს ოჯახური ჯაჭვის გაწყვეტა,[131] მიუხედავად მსჯავრდებულის უფლებებისა, რომელიც განმტკიცებულია პატიმრობის კოდექსის მე-16 - მე-19 და 27-ე მუხლებში,[132] გრძელვადიანმა პატიმრობამ შეიძლება გამოიწვიოს ყოფილი მსჯავრდებულის ოჯახის წევრებთან გაუცხოება.[133] გაუცხოების მიზეზი შეიძლება იყოს, როგორც მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი *დანაშაულის სიმძიმე და შესაბამისად მისი გაკიცხვა/მიუღებლობა,* ასევე გრძელვადიან პერიოდში ოჯახის წევრებთან *დისტანციურად ყოფნა.* 20 წლიანი პატიმრობის პირობებში მსჯავრდებულებს ფაქტობრივად აღარ ჰყავთ

---

[130] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია წევრი სახელმწიფოებისადმი ევროსაბჭოს პრობაციის წესების შესახებ #CM/REC(2010)1, ნაწილი I,

[131] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2003)23 ციხის ადმინისტრაციის მიერ უვადო და სხვა გრძელვადიანი პატიმრების მართვის შესახებ, 22-ე პუნქტი

[132] საქართველოს პატიმრობის კოდექსის მე-16-მე-19 და 27-ე მუხლები ითვალისწინებს მსჯავრდებულის მიმოწერის, პაემნის, იურიდიული დახმარების, ხანმოკლე გასვლის, სატელეფონო საუბრის, ამანათისა და ფულადი გზავნილის მიღება-გაგზავნის უფლებას

[133] პენიტენციური სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით საკმაოდ მცირეა უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირებთან პაემნების რაოდენობა, აქედან 6 მსჯავრდებულის პატიმრობის განმავლობაში არ გამოუყენებია პაემნის უფლება.

ოჯახის წევრები (გარდაცვლილია დედა-მამა), რაც საბოლოო ჯამში იწვევს გათავისუფლების შემდგომ მათ მარტო დარჩენას საზოგადოების წინაშე. 2. ***<u>რთული სოციალური ფონი</u>*** - გათავისუფლების შემთხვევაში დგება საკითხი მსჯავრდებულისათვის მინიმალური საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფის შესახებ. სტატისტიკა ცხადყოფს, რომ ყველა უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირი მოთავსებულია დახურული ტიპის დაწესებულებებში, არცერთი არ არის ჩართული დღევანდელი მდგომარეობით საგანამანათლებლო პროგრამაში და მხოლოდ 7 მსჯავრდებულია დასაქმებული, რაც საკმაოდ უარყოფითად უნდა შეფასდეს, რადგან არაკვალიფიციური განათლების გამო რთულია საზოგადოებაში ინტეგრაცია, რაც თავის მხრივ ზრდის ალბათობას პირმა ჩაიდინოს დანაშაული.[134] ამას მივყვართ შემდეგ შედეგამდე: 1. მსჯავრდებულს არ ექნება რაიმე თანხა დეპოზიტზე, რითაც საწყისს ეტაპზე შეძლებს დამოუკიდებლად ცხოვრებას; 2. 20 წლის განმავლობაში ციხის პირობებში ყოფნამ შეიძლება გამოიწვიოს შრომისუუნარობა, რასაც ემატება ჯანმრთელობის გაუარესება. თავისუფლების აღკვეთა რაც არ უნდა ჰუმანურ პირობებში მიმდინარეობდეს, არის მნიშვნელოვანი დისტრესი და შესაძლოა უარყოფითად აისახოს მსჯავრდებულის ჯანმრთელობაზე.[135] სახელმწიფოს რთული სოციალური ფონი, ნაკლები დასაქმების შესაძლებლობა, განსაკუთრებით კი უვადო თავისუფლებააღკვეთილი პატიმრების შემთხვევაში თითქმის შეუძლებელს ხდის დასაქმების შესაძლებლობას, კერძოდ გათავისუფლების შემთხვევაში სსკ-ს 79-ე მუხლის მიხედვით ნასამართლობის გაქარწყლება ხდება სასჯელის ფაქტობრივად მოხდიდან 8 წლის შემდეგ, ნასამართლევი პირი სამწუხაროდ დასაქმების კუთხით აწყდება შემდეგ პრობლემას, კერძოდ საქართველოს საჯარო სამსახურის შესახებ კანონის, მე-17 მუხლის „ა“ ნაწილის მიხედვით დაუშვებელია განზრახი დანაშაულის ჩამდენი პირის დასაქმება, თუ მას მოხსნილი ან გაქარწყლებული არ აქვს ნასამართლობა. რაც შეეხება კერძო სექტორში დასაქმებას, საქართველოს შრომის კოდექსი მსგავს დათქმას არ ითვალისწინებს, მაგრამ პრაქტიკა ცხადყოფს, რომ კერძო კომპანიებს ძირითადად მოთხოვნა აქვთ ნასამართლობის შესახებ ცნობის წარდგენის თაობაზე, რაც ბუნებრივია ამცირებს ნასამართლევი პირების დასაქმების შესაძლებლობას. მცირერიცხოვან ქვეყნებში მაღალია სტიგმატიზაციის საფრთხე, სადაც მარტივია ინფორმაციის გავრცელება და ამის შესაბამისად „ეტიკეტირება“,[136] ხოლო უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირების მიღება

---

[134] მ. შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, მესამე გამოცემა, თბ. 2017, გვ. 213

[135] პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგად დადგინდა შემდეგი: ერთ წლამდე პატიმრობის შემთხვევაში - პატიმართა 21-23% მიუთითებს ჯანმრთელობის მკვეთრ გაუარესებაზე. პატიმრობის ვადის გაზრდასთან ერთად ეს მაჩვენებელი მკვეთრად იზრდება, კერძოდ 3-დან 6 წლამდე პატიმრობის შემთხვევაში - 37%; 9 წელზე მეტი ვადით პატიმრობის შემთხვევაში - 64%. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, პატიმარობის პირობების გავლენა პატიმართა ჯანმრთელობაზე, 2018, გვ. 128-129

[136] იხ. იქვე, გვ. 45

საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილისთვის წარმოუდგენელია. ამასთან, ეტიკეტირებულმა ადამიანმა შეიძლება მოირგოს დამნაშავის იარლიყი და გაამართლოს ადამიანების მოლოდინი, რომლებიც ფიქრობენ, რომ დამნაშავის გამოსწორება შეუძლებელია.[137] გამოკითხულთა 47 % ფიქრობს, რომ შეუძლებელია დამნაშავის გამოსწორება.[138]აღნიშნულიდან გამომდინარე, სწორედ პრობაციის ოფიცრის მიერ უნდა მოხდეს მსჯავრდებულის ინდივიდუალური შეფასება მის წინაშე არსებული გამოწვევების/საჭიროებების იდენტიფიცირებისა და შესამისი ორგანოების დახმარებით აღმოფხვრის მიზნით.

ოჯახური ურთიერთობების შენარჩუნების მიზნით, პირველ რიგში პენიტენციური დაწესებულების მიერ უნდა განხორციელდეს ყველა იმ უფლების სათანადო რეალიზაცია, რაც აქვს მსჯავრდებულს მინიჭებული საქართველოს კანონმდებლობით. აღნიშნული ასევე გულისხმობს, როგორც სოციალური მუშაკის, ისე ფსიქოლოგის დახმარებით მსჯავრდებულისათვის საჭიროების შემთხვევაში დარწმუნებას, რომ აუცილებელია კონტაქტის დამყარება ოჯახის წევრებთან მისი სულიერი მდგომარეობის შენარჩუნებისათვის (მსჯავრდებულის უარის შემთხვევაში), ხოლო გათავისუფლების შემთხვევაში უკვე, პრობაციის სამსახური უნდა მუშაობდეს არა მარტო ყოფილ მსჯავრდებულთან, ასევე პრობაციონერის ოჯახის წევრებთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომლებიც არანაკლები წნეხის ქვეშ იყვნენ მათი ოჯახის წევრის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის გამო. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი - შესაბამისი ოჯახური გარემო მიგვიყვანს რესოციალიზაციის საბოლოო შედეგამდე.

საწყისშივე, გათავისუფლებული უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულის მიერ ახალი დანაშაულის თავიდან აცილებისთვის აუცილებელია დანაშაულის „ხელშემწყობი“ ფაქტორების განსაზღვრა, რადგან, თუ დავადგენთ დანაშაულის გამომწვევ მიზეზებს, მისი თავიდან აცილების საშუალებებიც გამოიძებნება.[139] საზოგადოებრივ ცხოვრებაში უმუშევრობას და რთულ სოციალურ ფონს დანაშაულთა მიზეზებში განსაზღვრული მნიშვნელობა აქვს[140] და შესაძლოა მსჯავრდებული ცხოვრებისგან დაზარალებულიც კი იყოს, ზუსტად ***„დანაშაულის პრევენციის სოციალური მოდელი ცდილობს გავლენა მოახდინოს იმ ფაქტორებზე, რაც ადამიანის დამნაშავედ გახდომას უწყობს ხელს,“*** [141] მაგ. ცხოვრების არასახარბიელო პირობები, რთული

---

[137] გ. მიქანაძე, მ. შალიკაშვილი, მაია(ზოია) ხასაია, სასჯელაღსრულების სამართალი, სახელმძღვანელო, თბ. 2014, გვ. 473

[138] იხ. დანართი #1

[139] ნ. მამრიკიშვილი, დისერტაცია, აღზრდა, როგორც დანაშაულის პრევენციის პრობლემის გადაჭრის მექანიზმი, ქუთაისი, 2017, გვ. 15

[140] სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, ავტორთა კოლექტივი, სახელმძღვანელო, მესამე გამოცემა, თბ. 2018, გვ. 68

[141] ტ. ბიორგო, დანაშაულის პრევენცია, ყოვლისმომცველი მიდგომა, პირველი ქართული გამოცემა, 2018, გვ. 36

ბავშვობა, ნეგატიური სოციალური გავლენები და სხვ. შესაბამისად, მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისას საყურადღებოა მსჯავრდებულის მატერიალური მდგომარეობა, რადგან მინიმალური პირობების არარსებობამ შესაძლოა მიიყვანოს მსჯავრდებული ხელახალი მსჯავრის დადების წინაშე. აღნიშნულ შემთხვევაში, პირის გათავისუფლების ფორმალური და მატერიალური საფუძვლების არსებობის შემთხვევაშიც კი, სასამართლოს გაუჭირდება „ტვირთის" საკუთარ თავზე აღება და ამ პირის გათავისუფლება. როდესაც სახეზეა გათავისუფლების როგორც ფორმალური, ისე მატერიალური საფუძვლები და სასამართლო არ გამოიყენებს აღნიშნულს სოციალური პირობების გამო, ეს მიგვიყვანს პირობით ვადამდე გათავისუფლების არასწორად განხორციელებამდე, კერძოდ პვგ-ს საფუძვლების არსებობისას *დაუსაბუთებელ შეზღუდვამდე*. სწორედ აქედან გამომდინარე, სახელმწიფომ ყველა შესაძლებლობა უნდა გამოიყენოს, როგორც დასაქმების, ისე საცხოვრებლით უზრუნველყოფის კუთხით. დადებით უნდა შეფასდეს პრობაციის ბიუროს მიერ კერძო და საჯარო სექტორთან მოლაპარაკება და მსგავსი კატეგორიის ადამიანების დასაქმება, მაგრამ აღნიშნული საკმაოდ მცირეა და საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან პრიორიტეტულ დამოკიდებულებას. სახელმწიფოს მხრიდან კერძო სექტორის წახალისება მსჯავრდებულების დასაქმების კუთხით იქნება წინ გადადგმული ნაბიჯი, კერძოდ კერძო სექტორში უნდა შეიქმნას სამუშაო ადგილები თანადაფინანსებით - სახელმწიფოსა და კერძო კომპანიების ჩართულობით. ბენეფიტი იქნება მეტი დასაქმებული პრობაციონერი და ნაკლები რისკი დანაშაულის ჩადენის ეკონომიკური მიზნებიდან გამომდინარე, რამდენადაც უმუშევრობა და განუსაზღვრელად თავისუფალი დროის ქონა ზრდის დანაშაულის რეციდივის საფრთხეს[142], ხოლო ამის საპირისპიროდ, გათავისუფლებული მსჯავრდებულის დროის სწორად გადანაწილება შეამცირებს დანაშაულის განმეორების რისკს და აამაღლებს საზოგადოების დაცულობას. ამავდროულად, აღნიშნული შესაბამისობაში მოდის სასჯელის ეკონომიურობის პრინციპთან. ასევე, იმ მსჯავრდებულთათვის, რომელთაც საცხოვრებელი სახლი არ გააჩნიათ, სასურველია შეიქმნას შესაბამისი თავშესაფრები.

ასევე მნიშვნელოვანია *საზოგადოების ცნობიერების ამაღლება*, იმის გაცნობიერება, რომ ყველა ადამიანს უნდა მიეცეს შესაძლებლობა დაუბრუნდეს საზოგადოებას სრულფასოვან წევრად. რთულია ჰუმანური დამოკიდებულების შენარჩუნება იმ პირობებში, რომ ძირითადად უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულების მიერ ჩადენილი დანაშაული არის სასტიკი და ადამიანების აღშფოთებას იწვევს, მაგრამ როგორც თ. დოსტოევსკი იტყოდა *„ადამიანურ მოპყრობას*

[142] მ. შალიკაშვილი დ. ჩიხლაძე, პირობით ვადამდე გასათავისუფლებელი მსჯავრდებულებისათვის რისკ-ფაქტორების შეფასების კრიმინოლოგიური ანალიზი, თბილისი/ბერლინი, 2013, გვ. 22

შეუძლია შემოაბრუნოს ღვთის პირიდან გადავარდნილიც კი.“ [143] სწორედ ამ მიმართულებით უნდა იმუშაოს სახელმწიფომ, როცა ხალხი მიიღებს მსჯავრდებულს, ეს იქნება საბოლოოდ მსჯავრდებულის რესოციალიზაცია და საზოგადოებაში დაბრუნება.

გამოსაცდელ ვადაში პრობაციის ეროვნული სააგენტოს ფუნქცია გარდა დახმარებისა, ასევე მოიცავს *კონტროლს*, რომელიც გულისხმობს არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის შესახებ საქართველოს კანონი მე-12 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით პირობით ვადამდე გათავისუფლებული პირის მიმართ კანონით დადგენილი რეჟიმის დაცვაზე ზედამხედველობას, კერძოდ პრობაციონერის დადგენილ დროს და ადგილას კვირაში ერთხელ გამოცხადების ვალდებულებას, ასევე შესაძლოა მოიცავდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოვალეობების შესრულებას. პრობაციის ბიუროს ოფიცერი უფლებამოსილია პირობით ვადამდე გათავისუფლებულ პირს, მსჯავრდებულის რისკისა და საჭიროების შეფასების საფუძველზე, დააკისროს საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დადგენილი შესაბამისი სავალდებულო სარეაბილიტაციო კურსის გავლის ვალდებულება.

ვინაიდან უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირები განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირები არიან, და როგორც გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს, ისე საზოგადოებას სჭირდება სათანადო კონტროლის მექანიზმები უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულის გათავისუფლების *„გამართლებისათვის,“* საჭიროა სათანადო კონტროლის მექანიზმების შექმნა. საზოგადოებრივი უსაფრთხოება ბუნებრივია არ უნდა დაგვრჩეს ყურადღების მიღმა, შესაბამისად ვადიანი თავისუფლების აღკვეთის და სხვა ალტერნატიული სასჯელის პრობაციონერისგან, უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულების შემთხვევაში უნდა იყოს განსხვავებული კონტროლის მექანიზმი - საჭიროების შემთხვევაში. რეკომენდაციის მიხედვით, პრობაციის პერიოდის აღსრულება შესაძლებელია მოხდეს ელექტორნული მონიტორინგის განხორციელებით,[144] კერძოდ გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ვფიქრობ სასამართლოს უნდა შეეძლოს გამოსაცდელი ვადის აღსრულება ელექტრონული ზედამხედველობის გამოყენებით, რითაც განხორციელდება *სიტუაციური პრევენცია, რის საფუძველზეც იზრდება დანაშაულის გამოაშკარავების რისკი.* [145] ელექტრონული მონიტორინგის გამოყენების დროს უნდა ვიხელმძღვანელოთ პროპორციულობის პრინციპის საფუძველზე,[146] პრობაციონერს უნდა შეუქმნან ისეთი

---

[143] სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, ავტორთა კოლექტივი, სახელმძღვანელო, მესამე გამოცემა, თბ. 2018, გვ. 68

[144] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია წევრი სახელმწიფოებისადმი ევროსაბჭოს პრობაციის წესების შესახებ #CM/REC(2010)1, 57-ე პუნქტი

[145] ტ. ბიორგო, დანაშაულის პრევენცია, ყოვლისმომცველი მიდგომა, პირველი ქართული გამოცემა, 2018, გვ. 38-39

[146] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია № R (2014) 4 წევრი სახელმწიფოების მიმართ ელექტრონული მონიტორინგის შესახებ, პუნქტი 4

გარემო, რომ აღარ ჩაიდინოს ახალი დანაშაული, მაგრამ ისე, რომ არ შეილახოს მისი პიროვნული ღირსება.[147] აქედან გამომდინარე, უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირის გამოსაცდელ პერიოდში ელექტრონული ზედამხედველობა არ უნდა იყოს აქცესორული ბუნების, განსხვავებით შინაპატიმრობის აღსრულებისა, რაც გულისხმობს მის გამოყენებას სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილებით, რითაც თავიდან აცილებულ იქნება დაუსაბუთებლად უფლებების შეზღუდვა და სტიგმატიზაციის მაღალი საფრთხე.

დასკვნა

ნაშრომში მიმოხილული საკითხების თანახმად, უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულის გათავისუფლების პრაქტიკის ანალიზმა გამოავლინა, რომ უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირების საპატიმრო სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლების ალტერნატიული შესაძლებლობებიდან - შეწყალება, ამნისტია და პირობით ვადამდე გათავისუფლება გამოიყენება მხოლოდ შეწყალება, ხოლო პირობით ვადამდე გათავისუფლების ინსტიტუტი ფაქტობრივად არ ფუნქციონირებს. აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით,[148] პირობით ვადამდე

[147] ჟ. პრადელი, შედარებითი სისხლის სამართალი, ე. სუმბათაშვილის თარგმანი, თბ. 1999, გვ. 420
[148] Kafkaris v. Cyprus, 21906/04, 12.02.2008

გათავისუფლების შესაძლებლობის განუხორციელებლობა არ იწვევს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას, თუკი ქვეყანაში რეალურად მოქმედებს შეწყალების ინსტიტუტი, ხოლო დარღვევას (არაადამიანურ მოპყრობას) ადგილი ექნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უვადო თავისუფლების აღკვეთილი პირები დატოვებული იქნებიან გათავისუფლების შესაძლებლობის გარეშე (გათავისუფლების მოლოდინის არარსებობა).[149]

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, თანამედროვე ლიბერალური და ადამიანზე ორიენტირებული მართლმსაჯულების მოქმედების ფარგლებში საჭიროა უფრო მაღალი და მსჯავრდებულის უფლებების დაცვაზე მორგებული სტანდარტების დაწესება მათთვის გათავისუფლების რეალური შესაძლებლობის მიცემით, რითაც ერთის მხრივ, შეუმსუბუქდებათ ხანგრძლივი პატიმრობით გამოწვეული ტკივილი, თავიდან იქნება აცილებული ფრუსტრირება და შესაბამისად, სასჯელის უმთავრესი მიზანი - რესოციალიზაცია იქნება მიღწეული. გათავისუფლების შესაძლებლობის სახით პირობით ვადამდე გათავისუფლების ინსტიტუტის გამოყენების ცალსახა უპირატესობაზე მიუთითებს, პირველ რიგში, მსჯავრდებულის მიმართ ინდივიდუალური მიდგომა, რაც გამოიხატება სასჯელის მოხდის პერიოდში მისი პიროვნულობის შესწავლით, ხოლო გათავისუფლების შემდეგ - მასზე ზედამხედველობით.

საკანონმდებლო ცვლილებით, რითაც დაიწია მოსახდელი სასჯელის მინიმალური ვადა 25 წლიდან - 20 წლამდე, რაც ერთის მხრივ დადებითად უნდა შეფასდეს, რამდენადაც ზოგადი თვალსაზრისით შემცირებულია სავალდებულოდ მოსახდელი სასჯელის ხანგრძლივობა, თუმცა, მეორეს მხრივ, უკვე შემცირებული ზღვარის პირობებშიც კვლავ შეიძლება დაფიქრება შემცირებაზე, რამდენადაც შესაძლოა მსჯავრდებულის ასაკიდან გამომდინარე დაიკარგოს ინსტიტუტის მიზანი ფაქტობრივად გამოყენების შეუძლებლობის გამო. ასევე გასათვალისწინებელია აღნიშნული ვადის დაწევა ხომ არ გამოიწვევს დაზარალებულში დაუცველობისა და პროტესტის შეგრძნებას, რასთან დაკავშირებითაც სახელმწიფომ უნდა განახორციელოს გარკვეული ღონისძიებები დაზარალებულთან ფსიქოლოგიური მუშაობით, რითაც შეამცირებს დაუცველობისა და პროტესტის რისკს. სახელმწიფოს მხირდან კიდევ ერთ მნიშვნელოვან ნაბიჯად შეიძლება განვიხილოთ აღნიშნული საკითხის განმხილველ ორგანოდ სასამართლოს დასახელება. რაც მიზნად ისახავდა უვადო თავისუფლებააღვეთილი პირების პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვის უფრო მაღალი სტანდარტის დაწესებას. ამ ორი მნიშვნელოვანი ცვლილების მიუხედავად, გათავისუფლების ნულოვანი მაჩვენებელი მიუთითებს ამ კუთხით მუშაობის აუცილებლობას.

---

[149] Oclan v. Turkey, 46221/99, 12.05.2015; vinter and others v. the United kingdom, 66069/09, 130/10 and 3896/10, 09.07.2013

კვლევის ფარგლებში გამოვლენილი საკანონმდებლო და პრაქტიკული დაბრკოლებების იდენტიფიცირების საფუძველზე შესაძლებელი გახდა გარკვეული რეკომენდაციების შემუშავება, რაც ხელს შეუწყობს პირობით ვადამდე გათავისუფლების რეალურ და ეფექტურ განხორციელებას, კერძოდ:

- ✓ სასჯელის სახით უვადო თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისთანავე, სასამართლო უნდა უმარტავდეს მსაჯვრდებულს პირობით ვადამდე გათავისუფლების უფლების გამოყენების საფუძვლებს, რაც ხელს შეუწყობს ერთის მხრივ მსჯავრდებულის ინფორმირებულობას, ხოლო მეორეს მხრივ შეამცირებს მასში ხანგრძლივი სასჯელის მოლოდინით გამოწვეულ ტკივილს;
- ✓ მსგავსად ვადიანი თავისუფლებააღკვეთილი პირებისა, უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირების მიმართ დანიშნული სასჯელის გადახედვის მოთხოვნით შესაბამისი ორგანოსათვის მიმართვაზე პასუხისმგებლობის დაკისრება დაწესებულის ადმინისტრაციისათვის ხელს შეუწყობს ყველა მსჯავრდებულის მიერ (თანხმობის შემთხვევაში) აღნიშნული უფლებით რეგულარულ სარგებლობას;
- ✓ მსჯავრდებულების რისკის პერიოდული შეფასების საფუძველზე, მათთვის შესაძლებლობის მიცემა საპატიმრო სასჯელი მოიხადონ არამარტო დახურულ, არამედ ნახევრად ღია ან ღია ტიპის დაწესებულებებში და ისარგებლონ ამ დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულებისთვის მინიჭებული უფლებებით, მოხდილი სასჯელის ვადის გათვალისწინებით. აღნიშნული შეიძლება განხორციელდეს ეტაპობრივად (მაგ. 10 წლის შემდეგ ნახ. ღია დაწესებულებაში გადაყვანა; 15 წლის მერე დაბალი რისკის დაწესებულებაში გადაყვანა).
- ✓ უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირების განცალკევება არ უნდა მოხდეს გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, რაც უნდა ემსახურებოდეს კანონიერი მიზნის მიღწევას.
- ✓ უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირების გადაყვანა გათავისუფლებისათვის მომზადების დაწესებულებაში (სავარაუდო გათავისუფლებამდე ერთი წლით ადრე, 19 წლის ვადის გასვლის შემდგომ), ერთის მხრივ უზრუნველყოფს მათ თავისუფალ გარემოსთან ადაპტაციას, ხოლო მეორეს მხრივ შესაბამის ორგანოებს მისცემს მათი ქცევის უკეთ დაკვირვების და შესწავლის შესაძლებლობას, რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობს მსჯვარდებულის დანაშაულებრივი ქცევის პროგნოზირებას და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას;
- ✓ გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს მიერ გათავისუფლებაზე უარის თქმის შესახება გადაწყვეტილება არ უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ „<u>დანაშაულის ხასიათს,</u>“ როგორც უცვლელ გარემოებას, რომლის გამოსწორებაც მსჯავრდებულის შესაძლებლობას აღემატება;

- ✓ სასამართლოში საკითხის განხილვისას მოწვეულ უნდა იქნას ყველა ის პირი, ვისაც მსჯავრდებულის პიროვნებისა და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდება შეუძლია (მაგ. მსჯავრდებულთან უშუალო შემხებლობაში მყოფი ფსიქოლოგის და სოციალური მუშაკის მოწვევა);
- ✓ სასურველია კანონით გათვალისწინებული იყოს დაზარალებულის პოზიციის მოსმენის ვალდებულება პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისას. ვიდრე კანონით დარეგულირდება აღნიშნული საკითხი, სასამართლო პრაქტიკა უნდა შეიცვალოს ამ მიმართულებით და საქმის განმხილველმა მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს დაზარალებულის მონაწილეობა საქმის განხილვაში;
- ✓ მსჯავრდებულის გათავისუფლების შემთხვევაში შესაბამისმა ორგანოებმა ერთობლივი მუშაობის საფუძველზე მსაჯვრდებულის ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით დაგეგმონ და განახორციელონ ზედამხედველობა, რომელიც გულისხმობს არამარტო მსაჯვრდებულის დახმარებასა და კონტროლს, არამედ ასევე მის ოჯახთან და მიმღებ საზოგადეობასთან მუშაობას (მაგ. რეკომენდაციის გაწევა პოტენციურ დამსაქმებელთან).
- ✓ პირობით ვადამდე გათავისუფლების ინსტიტუტის რეფორმის განხორციელება, რაც გულისხმობს <u>ნაცვლად დისკრეციული გათავისუფლებისა, შერეული სისტემის შემოღებას</u> და გათავისუფლებაზე უარის თქმის საფუძვლების მტკიცების ტვირთის სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლებზე გადატანას. ასეთი სამართლებრივი სივრცე ხელს შეუწყობს მსჯავრდებულების გათავისუფლებაზე უარის თქმას მხოლოდ „საგამონაკლისო შემთხვევებში“ და შესაბამისად, დადებითი გადაწყვეტილებების გაზრდას.

და ბოლოს, აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს მხრიდან განხორციელდა გარკვეული მნიშვნელოვანი ცვლილებები უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულებისათვის პირობით ვადამდე გათავისუფლების უფლების რეალიზაციის მიზნით. თუმცა მიმაჩნია, რომ ამ კუთხით გარკვეული ნაბიჯებია გადასადგმელი და ჩემს მიერ კვლევის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციები, დასახელებელი პრობლემის აღმოთხვრის გზაზე მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს.

<u>**გამოყენებული მასალა:**</u>

<u>ნორმატიული მასალა:</u>

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს კანონი „სისხლის სამართლის კოდექსი“;
3. საქართველოს კანონი „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“;
4. საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსი“;
5. საქართველოს კანონი „პატიმრობის შესახებ“;
6. სსსრკ სისხლის სამართლის კოდექსი (1960წ. რედაქცია);
7. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №387, თბ., 1997 წლის 25 ივლისი;
8. საქართველოს კანონი „სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიების – სიკვდილით დასჯის სრული გაუქმების შესახებ“, თბ. 1997;
9. საქართველოს კანონი „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის შესახებ“;
10. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება 08.05.2019 წ. #395, „მსჯავრდებულის რისკის სახეების, რისკის შეფასების კრიტერიუმების, რისკის შეფასებისა და გადაფასების წესის, მსჯავრდებულის იმავე ან სხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანის წესისა და პირობების, აგრეთვე მსჯავრდებულთა საშიშროების რისკების შეფასების გუნდის საქმიანობისა და უფლებამოსილების განსაზღვრის წესის თაობაზე“;
11. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება №71 15.07.2015 წ. №16 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ;
12. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 31 დეკემბრის №178 ბრძანება ელექტრონული ზედამხედველობის გამოყენების წესისა და მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ;
13. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №391, 27.03.2019წ. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ;
14. საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
15. საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“;
16. Code of criminal procedure of France

<u>საერთაშორისო აქტები:</u>

1. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი;
2. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, რეკომენდაცია Rec(2003)22, პირობით ვადამდე გათავისუფლების თაობაზე;
3. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, რეკომენდაცია R.(99)22, ციხის გადატვირთულობის და ციხის მოსახლეობის გაზრდის თაობაზე;
4. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2003)23 ციხის ადმინისტრაციის მიერ უვადო და სხვა გრძლევადიანი პატიმრების მართვის შესახებ;
5. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია № R (2014) 4 წევრი სახელმწიფოების მიმართ ელექტრონული მონიტორინგის შესახებ;
6. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია წევრი სახელმწიფოებისადმი ევროსაბჭოს პრობაციის წესების შესახებ #CM/REC(2010)1.

17.

<u>სამეცნიერო ლიტერატურა:</u>

1. ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმის მონიტორინგი, მიზანი 4.1;
2. ალ. იაშვილი, სახელმძღვანელო წინადადებები, სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე, თბ. 2015
3. ა. ქელბაქიანი, ნ. ცაგარელი, დ. ჭყოიძე, მაღალი რისკის პენიტენციური დაწესებულების მართვა;
4. გ. არსოშვილი, მ. შალიკაშვილი, გ. მიქანაძე, პრობაციის სამართალი, თბ. 2015,
5. გ. მიქანაძე, არასრულწლოვან, ქალთა და უვადო თავისუფლებააღკვეთილ პატიმრებთან მოპყრობის თავისებურებანი, თბ., 2008;
6. გ. მიქანაძე, მ. შალიკაშვილი, მაია(ზოია) ხასაია, სასჯელაღსრულების სამართალი, სახელმძღვანელო, თბ., 2014;
7. გ. მიქანაძე, პატიმრობის პირობით ვადამდე განთავისუფლების უფლება, ევროპული გამოცდილება და საქართველოს რეალობა, წიგნში: კ. კორკელია, ადამიანის უფლებათა დაცვა, მიღწევები და გამოწვევები, სტატიათა კრებული, თბ., 2012;

8. გ. მიქანაძე, პატიმრობის პირობით ვადამდე განთავისუფლების რეალობა საქართველოში მსჯავრდებულთა სპეციალური კატეგორიებისთვის, წიგნში: კ. კორკელია, ადამიანის უფლებათა დაცვა, კანონმდებლობა და პრაქტიკა სტატიათა კრებული, თბ., 2018;
9. გ. ხუბუა, სამართლის თეორია, გვ. 111
10. ე. გოცირიძე და სხვ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2013;
11. ევროკავშირი საქართველოსთვის, უვადო თავისუფლებააღკვეთილ და მაღალი რისკის პატიმართა უფლებრივი მდგომარეობა პენიტენციურ სისტემაში, ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები, თბ., 2018;
12. ზ. გოთუა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სასჯელი, თბ., 2001;
13. თ. ცქიტიშვილი, სასჯელის პროპორციულობა, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბ., 2016;
14. თ. ავალიანი, გ. ჩიტაძე, ადამიანის უფლებათა ცენტრი, შეწყალების უფლებამოსილება ქართული მოდელი და საერთაშორისო გამოცდილება, თბ. 2016;
15. ი. დვალიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელის და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, მერიდიანი, 2013;
16. ი. ვარძელაშვილი, სასჯელის მიზნები, თბ., 2016;
17. ი.ი. ამინოვი, იურიდიული ფსიქოლოგია, მეორე გამოცემა, თბ. 2014;
18. მ. შალიკაშვილი, ვიქტიმოლოგია - მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ, თბ., 2011;
19. მ. შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, მესამე გამოცემა, თბ. 2017, გვ. 213;
20. მ. შალიკაშვილი, გ. მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, სახელმძღვანელო, მეორე გამოცემა, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016;
21. მ. შალიკაშვილი, დ. ჩიხლაძე, პირობით ვადამდე გათავისუფლებული მსჯავრდებულებისათვის რისკ-ფაქტორების შეფასების კრიმინოლოგიური ანალიზი, თბილისი/ბერლინი, 2013;
22. მ. ჩანქსელიანი, სასჯელის მიზნების სასჯელის ევოლუციის თეორიაში, აკადემიური მაცნე, თბ., 2012;
23. ნ. კრისტი, ტკივილის საზღვრები. სასჯელის როლი სასჯელაღსრულების პოლიტიკაში, პირველი ქართული გამოცემა, 2017;
24. ნ. მამრიკიშვილი, დისერტაცია, აღზრდა, როგორც დანაშაულის პრევენციის პრობლემის გადაჭრის მექანიზმი, ქუთაისი, 2017;

25. ო. ფარტენაძე, თავისუფლების აღკვეთის აღსრულების ეფექტურობა, ბათუმი, 2009;
26. პენიტენციალური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან, სახელმძღვანელო პენიტენციალური სისტემის თანამშრომლებისათვის, თბ., 2007;
27. ჟ. პრადელი, შედარებითი სისხლის სამართალი, ე. სუმბათაშვილის თარგმანი, თბ. 1999;
28. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. ავტორთა კოლექტივი, თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, თბ., 2013;
29. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, პატიმარობის პირობების გავლენა პატიმართა ჯანმრთელობაზე, 2018;
30. სახელმძღვანელო ნელსონ მანდელას წესების შესახებ, პატიმრებთან მოპყრობის შესახებ გაეროს განახლებული მინიმალური სტანდარტული წესების განხორციელება;
31. სახელმძღვანელო კურსისთვის: სოციალური მუშაობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში, თბ., 2014;
32. საქართველოს სახალხო დამცველის საანგარიშო მოხსენება საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2008 წლის მეორე ნახევარი;
33. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის No190509/01 წერილის დანართი (27/06/2019წ);
34. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს კანონის პროექტზე განმარტებითი ბარათი, სსკ-ს 72^1-73.7 მუხლები;
35. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, ავტორთა კოლექტივი, სახელმძღვანელო, მესამე გამოცემა, თბ., 2018;
36. ტ. ბიორგო, დანაშაულის პრევენცია, ყოვლისმომცველი მიდგომა, პირველი ქართული გამოცემა, 2018;
37. ჯ. ხეცურიანი, სიკვდილით დასჯა, არგუმენტები და ფაქტები, თბ., 1997;
38. ჯ. ხეცურიანი, დამოუკიდებლობიდან სამართლებრივი სახელმწიფოსაკენ, თბ., 2006;
39. Criminal Code of the Republic of Hungary (2012);
40. Nicola Padfield, Dirk van Zyl Smit and Frieder Dunkel, Release from prison, European policy and practice, First published 2010;
41. Report to the Hungarian Government on the visit to Hungary carried out by the European Committee for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment, CPT/Inf (2007)24.

<u>სტატიები:</u>

1. გ.ნაჭყებია, სასჯელის მიზნების საკანონმდებლო განსაზღვრებისა და თავისუფლების უვადოდ აღკვეთის მიმართების პრობლემა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, სამართლის ჟურნალი, მართლმსაჯულება და კანონი, #2(37), თბ., 2013;
2. ზ. ნანობაშვილი, ამნისტიისა და შეწყალების სამართლებრივი ბუნება, ალმანახი, #13, 2000;
3. კ. ნიკოლეიშვილი, პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განმხილველი ადგილობრივი საბჭოს დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა, სამართლის ჟურნალი, #1, 2014.

<u>სასამართლო გადაწყვეტილებები:</u>

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს 16.04.2019 წლის განჩინება;
2. თბილისის საქალაქო სასამართლოს 08.02.2018 წლის განჩინება;
3. თბილისის სააპელაციო სასამართლო 12.07.2018 წლის განჩინება
4. თბილისის სააპელაციო სასამართლო 20.12.2018 წლის განჩინება
5. თბილისის სააპელაციო სასამართლო 05.04.2019 წლის განჩინება
6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 11.04.2019 წლის განჩინება
7. Kafkaris v. Cyprus, # 21906/04, 12.02.2008;
8. Oclan v. Turkey, 46221/99, 12.05.2015;
9. vinter and others v. the United kingdom 66069/09, 130/10 and 3896/10, 09.07.2013.

<u>ვებ-მასალა:</u>

1. https://www.npr.org/2019/03/12/702873258/gov-gavin-newsom-suspends-death-penalty-in-california
2. https://www.echr.coe.int/Documents/FS_Life_sentences_ENG.pdf
3. https://www.rivg.ge/media/1001537/2018/03/06/2f3906a210ed963918ac070a6ffe37ae.pdf
4. http://www.hrm.org.ge/sites/default/files/documents/%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%96%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%204.1%20-%2018.09.2018_ka.pdf
5. https://www.legislationline.org

6. http://www.ombudsman.ge

დანართი #1

ასაკი 16 -დან 53 წლამდე

სქესი	
მდედრობითი	79%
მამრობითი	21%
გამოკითხულთა რაოდენობა	160

პასუხი / კითხვა	კი	არა
1. ხართ თუ არა მომხრე სისხლის სამართლის კოდექსი სასჯელის სახედ ითვალისწინებდეს სიკვდილით დასჯას?	8%	92%
2. ეთანხმებით თუ არა სასჯელის სახის არსებობას უვადო თავისუფლების აღკვეთას?	88%	12%
3. გამართლებულად მიგაჩნიათ თუ არა, რომ სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირებისათვის გათავისუფლების შესაძლებლობას?	64%	36%
4. მიგაჩნიათ, რომ მძიმე ძალადობრივი დანაშაულის ჩამდენი პირის გამოსწორება შესაძლებელია?	54%	46%
5. მიგაჩნიათ, რომ უვადო თავისუფლების აღკვეთა გამართლებულია არაძალადობრივი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში?	27%	73%

6. შეაფასეთ გათავისუფლებული უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირის განმეორებით დანაშაულის ჩადენის რისკი:	დაბალი	საშუალო	მაღალი
	11%	49%	40%